ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 18 მაისი, 2009 №23 (3516) | ფასი 1 ლარი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატასტროფა!

ჩვენ გვჯერა, რომ „სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ ღირსეული თამაში იყო;

ჩვენ გვჯერა, რომ ამ ჩემპიონატში გარიგებული თამაში არ ყოფილა;

ჩვენ გვჯერა, რომ რასაც სხვები ამბობენ, ყველაფერი ბინძური ჭორია და მეტი არაფერი;

ჩვენ გვჯერა, რომ ქართულ ფეხბურთს ებრძვიან და ჩაწყობილი თამაშების მოგონებით ჩირქს სცხებენ;

ჩვენ გვჯერა, რომ მტერს არ სძინავს და ჩვენი საქმე ასე ბეჯითად უნდა გავაგრძელოთ;

ჩვენ გვჯერა, რომ ჩემპიონატის ფინიში არანაირ კითხვის ნიშანს არ ბადებს;

ჩვენ გვჯერა, რომ „ვიტ ჯორჯია“ დამსახურებულად გახდა საქართველოს ჩემპიონი;

ჩვენ გვჯერა, რომ ბოლნისის „სიონი“ ძალიან სუსტი გუნდია და მისი სტუმრად დამარცხება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს;

ჩვენ გვჯერა, რომ ლუკა რაზმაძის, ალექსანდრე კვახაძის და ირაკლი კლიმიაშვილის არყოფნა არანაირ დაღს არ ასვამს „ვიტ ჯორჯიას“ თამაშს;

ჩვენ გვჯერა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ შეუძლია ძალები მოიკრიბოს და საჭირო დროს 1:3 4:3-ად შემოატრიალოს;

ჩვენ გვჯერა, რომ ასეთ დროს „სიონისთვის“ ძნელია, კონცენტრაცია აღიდგინოს და მეტოქეს ერთხელ მაინც შეუტიოს;

ჩვენ გვჯერა, რომ 3:1-ის შემდეგ ვიტჯორჯიელების საკუთარ საჯარიმოსთან დანახვისას ბოლნისელებს ბუნებრივად უკანკალებდათ ფეხები;

ჩვენ გვჯერა, რომ „სიონს“ სულაც არ უნდოდა წაგება, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ არ დაანება;

ჩვენ გვჯერა, რომ ბოლნისელმა გულშემატკივარმა ტყუილად აგინა „სიონის“ ფეხბურთელებს;

ჩვენ გვჯერა, რომ ქომაგი ტყუის, როცა თავის გუნდს წაგებას ვერ პატიობს;

ჩვენ გვჯერა, რომ გრიგოლ ჭანტურია პროვოკაციაზე წამოაგეს და ამიტომ გააძევეს მოედნიდან;

ჩვენ გვჯერა, რომ ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე ძალიან კარგი მეკარეა და მისთვის ბურთის დარტყმას აზრი არა აქვს — გოლს მაინც ვერ გაუტან;

ჩვენ გვჯერა, რომ მატჩის წინ უხელფასობა-უპრემიობაზე ლაპარაკი დამთხვევა იყო და მეტი არაფერი;

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია არაფერ შუაში არიან;

ჩვენ გვჯერა, რომ დასასჯელი არავინაა და პროფლიგა-ფედერაციამაც მშვიდად უნდა გააგრძელოს მუშაობა;

ჩვენ გვჯერა, რომ...




# თქვენ ჩვენ სულელები ხომ არ გგონივართ?!






# ივერიელი და მათე-ბიჭი

## ქართველებმა გერმანიაში კლუბი დააარსეს

გუშინ საინტერესო და უდავოდ მისასალმებელი ამბავი მოხდა მიუნხენში.

გერმანიის ქართულმა სათვისტომომ ახლადშექმნილი ქართული სპორტის ქომაგთა კლუბის საზეიმო პრეზენტაცია მოაწყო.

გერმანიაში მცხოვრებმა ქართველებმა ეს მართლაც არაჩვეულებრივი იდეა უკვე განახორციელეს და კლუბს „ივერიელი“ დაარქვეს.

კლუბი საქართველოს სხვადასხვა სახეობის ნაკრებების საგარეო მატჩებზე ორგანიზებულ წასვლას, ჩვენი სპორტსმენების ქომაგობას და სხვა მრავალ სასიკეთო ნაბიჯებს გვპირდება.

გუშინდელ საზეიმო გახსნაზე „ივერიელმა“ „მიუნხენ 1860“-ის ქართველი ლეგიონერი მათე ღვინიანიძე მიიწვია.

გულთბილი შეხვედრა, რა თქმა უნდა, ერთმანეთის გამხნევებით და საუკეთესო სურვილებით იყო გაჯერებული.

მათეს კლუბის წევრთა შეკითხვებზე პასუხების გაცემაც მოუხდა — ასე ვთქვათ, სახალხო ინტერვიუ შედგა.

ამის შემდეგ კი ტორტიც გაიჭრა და...

სარბიელელები წარმატებებს და ქართული სპორტის გამარჯვებებს ვუსურვებთ „ივერიელს“!

# ქალთა ტურნირი უეფას ეგიდით

**11-დან** 16 მაისის ჩათვლით საქართველომ უეფას ეგიდით საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ქალ ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებებს შორის.

ოთხგუნდიან ტურნირში ჩვენების გარდა თურქეთის, მაკედონიის და აზერბაიჯანის ნაკრებები მონაწილეობდნენ.

პირველ დღეს მამუკა სვანაძის შეგირდებმა 1:3 წააგეს მაკედონიასთან; თურქებმა კი 1:0 სძლიეს აზერბაიჯანელებს.

მეორე ტურში ჩვენმა გოგონებმა ულაპარაკოდ, 0:4 დათმეს თურქებთან, აზერბაიჯანელებმა კი ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს მაკედონია.

და ბოლოს, 16 მაისს საქართველოს ნაკრებმა შეძლო და, პირველი ქულა აიღო — 2:2 გაახერხა აზერბაიჯანთან.

თურქეთმა კი 0:1 წააგო მაკედონიასთან...

სამწუხაროდ, ეს ტურნირი ონლაინ-რეპორტაჟებითაც კი გააშუქა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდმა, როცა სფფ-ის ვებგვერდზე ის ინფორმაციაც კი არ დევს, რომ საერთოდ ასეთი ტურნირი ტარდება. აღარაფერს ვამბობთ შედეგებისა თუ სხვა დამატებითი ცნობის მოწოდებაზე...

იმედია, ასეთი რამ მომავალში აღარ მოხდება...

**ლუკა თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **თურქეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| **მაკედონია** | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| **აზერბაიჯანი** | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| **საქართველო** | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

# დევდარიანი ათამაშდა და თან როგორ

## ორჰუსი და ქართველი უკვე ერთნი არიან

**დავით დევდარიანმა** ტრავმა მოირჩინა, მოედანს დაუბრუნდა და თავის გუნდს გოლითაც შეეწია.

დიახ, დანიური „ორჰუსის“ ქართველი ლეგიონერი ტურიდან ტურამდე უმატებს და უკვე ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაც პრობლემად აღარ აქვს.

ეგ კი არა, დევდარიანს პრესაც კარგი აქვს და მწვრთნელებიც აქებენ ხოლმე.

ბოლო ორ ტურში „ორჰუსმა“ ჯერ 3:1 დაამარცხა „ესბიერგი“ და ჩვენიანმა მეორე ბურთი შეაგდო, გუშინ კი სტუმრად საჭირო ქულა აართვა (1:1) „რანდერსს“.



# ქეცბაიას პრეზენტაცია 25 მაისს იგეგმებაო

## ანორთოსისის ცრემლი და დიპლომი




**კვიპროსულმა** „ანორთოსისმა“ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თემურ ქეცბაიას და განაცხადა, რომ კლუბის აბსოლუტურად ყველა წევრი და გულშემატკივარი ძალიან დამწუხრებულია ქართველი მწვრთნელის გუნდიდან წასვლის გამო.

„ანორთოსისის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქეცბაიას გადაწყვეტილება დიდი და მოულოდნელი დარტყმა იყო გუნდისთვის და „ანო“ ყოველთვის იამაყებს, რომ თემური მისი ისტორიის ნაწილია.

ამის დასამტკიცებლად ფამაგუსტურმა კლუბმა ქეცბაიას საგანგებო დიპლომიც გადასცა.

ამასობაში კი, ბერძნული გაზეთები ამტკიცებენ, რომ ქეცბაია „ოლიმპიაკოსთან“ 25 მაისს გააფორმებს კონტრაქტს.

ამჟამად პირეოსული კლუბის პრეზიდენტი სოკრატის კოკალისი ტაილანდშია დასასვენებლად და როგორც კი შინ დაბრუნდება, ქეცბაიასთან საბოლოო შეხვედრას გამართავს.

ჩვენი ბერძენი კოლეგების ცნობით, ქართველი მწვრთნელი 25 მაისვე ოფიციალურად წარუდგება პრესას, როგორც „ოლიმპიაკოსის“ თავკაცი.

**კახა ფალამბერიძე**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი

30 მაისი ლოკომოტივის სტადიონი



ოლიმპი
რუსთავი

დინამო
თბილისი

სპონსორები
ვითიბი VTB

საინფორმაციო მხარდამჭერა
ოლიმპი 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები უცხოეთში

# იაშვილმა კარლსრუეს პლეი ოფის იმედი ჩაუსახა...

## ევროპელი ქართველები გამოფხიზლდნენ

**გერმანია:** ალექსანდრე იაშვილმა ზედიზედ ორ ტურში ორი ბურთი შეაგდო და მის „კარლსრუესაც“ მცირე იმედი გაუჩნდა...

„ვერდერთან“ 3:1 მოგებით „კარლსრუემ“ ბოლო წუთამდე გადადო მეორე ბუნდესლიგაში გავარდნა-არგავარდნის საკითხი.

თუ იაშვილის გუნდმა ბოლო ტურში მოიგო და მისმა კონკურენტებმა ქულები დაკარგეს, საპლეიოფო მე-16 ადგილის დაკავებას შეძლებს.

გელზენკირხენის „შალკემ“ სტუმრად 0:0 ითამაშა ბერლინის „ჰერტასთან“.

**ლევან კობიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ლევან ყენია კი სათადარიგო იყო.

მეორე ბუნდესლიგაში „მიუნხენ 1860“-მა შინ 1:1 ითამაშა „ალემანიასთან“.

**მათე ღვინიანიძე** განაცხადში არ იყო.

ბუნდესლიგის საგზურდაგულებულმა „ფრაიბურგმა“ სტუმრად 0:1 წააგო „ობერჰაუზენთან“.

**დავით თარგამაძე** 61-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

„აუგსბურგმა“ და „ვეენმა“ ქულები გაიყვეს და ამ მატჩში **ოთარ ხიზანეიშვილმა** ბოლო 18 წუთი ითამაშა. ვეენელი **ლევან ცქიტიშვილი** კი განაცხადში არ იყო.

**ინგლისი:** „ბლექბერნმა“ სტუმრად 0:2 დათმო „ჩელსისთან“ და დიდი პაუზის შემდეგ ამ შეხვედრაში **ზურაბ ხიზანიშვილი** გამოჩნდა. ქართველი მცველი 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და გაფრთხილებაც მიიღო.

**იტალია:** სერია ა-ში ორი ქართველი გვყავს და ორივემ ტრავმის გამო გამოტოვა ტური.

**კახა კალაძის** „მილანმა“ 1:2 წააგო „უდინეზესთან“, **ლევან მჭედლიძის** „პალერმომ“ კი შინ 2:0 სძლია „ლაციოს“.

**ავსტრია:** გრაცის „შტურმმა“ სტუმრად 3:3 ითამაშა „კაპფენბერგთან“, არადა, 3:1 იგებდა.

**ილია კანდელაკმა** და **გიორგი შაშიაშვილმა** სრულად ითამაშეს, „შტურმი“ კი 57 ქულით მესამე ადგილზეა.

**რუსეთი:** ყაზანის „რუბინმა“ სტუმრად 2:2 ითამაშა პერმის „ამკართან“ და საჭირო ქულები დაკარგა.

**დავით ქვირკველიამ** სრულად ითამაშა, **ნუკრი რევიშვილი** და **ლაშა სალუქვაძე** კი განაცხადში არ იყვნენ.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ 4:0 მიანგრია გროზნოს „ტერეკი“, რომელსაც ტრავმირებული ლევან გვაზავა არ ჰყავდა.

რკინიგზელთა შორის კი **დავით მუჯირი** 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ბოლო წამებზე კუთხურიდან გოლიც გაიტანა — დიახ, „მუმუმ“ ლამაზად ჩააზვია ბურთი კარში.

„მოსკვამ“ სტუმრად 1:1 გააზერხა „ხიმკისთან“ და **გია გრიგალავამ**, როგორც ყოველთვის, სრულად ითამაშა.

ფრე, 1:1 ითამაშა სტუმრად ნალჩიკის „სპარტაკმაც“. ყაბარდოელებმა „როსტოვთან“ გაიყვეს ქულები.

**ალეკო ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა და გაფრთხილებაც მიიღო, **გოგიტა გოგუა** კი დისკვალიფიცირებული იყო.

**უკრაინა:** სიმფეროპოლის „ტავრია“ 2:2-ზე გაეყარა „ლვოვს“.

ქართველთაგან **ვასილ გიგიაძე** „ტავრიას“ განაცხადში იყო, თუმცა ბოლომდე სათადარიგოდ დარჩა, **ლადო ბურდული** კი საერთოდ არ გამოჩენილა.

კიევის „არსენალმა“ 2:0 მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ და ერთი ბურთი **ლაშა ჯაკობიამ** შეაგდო.

ამ მოგებით კიეველებმა, ფაქტობრივად, გაინაღდეს უმაღლეს ლიგაში დარჩენა.

ჯაკობია 79-ე წუთზე გამოცვალეს და იქამდე ყვითელი ბარათიც გამოირჩა.

ლვოვის „კარპატიმ“ 1:4 წააგო აწ უკვე ჩემპიონ კიევის „დინამოსთან“.

სტუმართა შორის **მალხაზ ასათიანი** 90 წუთი გაისარჯა, ლვოველი **სანდრო გურული** კი 62-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ოდესის „ჩერნომორეცმა“ შინ 1:0 დაამარცხა ხარკოვის „მეტალისტი“.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ოდესელთა შორის ისევ გამოჩნდა **ირაკლი მოდებაძე** — 84-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და გაფრთხილების მიღებაც მოასწრო.

ლუგანსკის „ზარია“ შინ 0:3 განადგურდა დონეცკის „შახტართან“.

**გიორგი ციმაკურიძემ** სრულად ითამაშა.

დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ სტუმრად 1:0 მოუგო „კრივბასს“ და ამჯერადაც ქართველების გარეშე.

**სანდრო კობახიძე** და **ბექა გოცირიძე** (ჯაბა კანკავა ტრავმირებულია) არ გამოჩენილან.

**უნგრეთი:** „ნიირეძიჰაზა“ 1:1-ზე გაეყარა „დიორ ეტოს“.

**დავით იმედაშვილმა** სრულად ითამაშა, სტუმართაგან კი არც **დავით ოდიკაძე** გამოჩენილა და არც **რატი ალექსიძე**.

**ბელარუსი:** „მტზ-რიპომ“ სტუმრად 3:1 მოუგო „მინსკს“ და ამაში თავისი წვლილი **გივი კვარაცხელიამაც** შეიტანა — რიპოელთა ქართველმა კაპიტანმა 47-ე წუთზე გამოიჩინა თავი.

**აზერბაიჯანი:** როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაკი“ ჩემპიონი გახდა — ბოლო მატჩში ბაქოელებმა 4:0 გაანადგურეს „მუღანი“ და ერთი ბურთი **გიორგი ადამიამ** შეაგდო.

ამგვარად, ადამია, **ამირან მუჯირი** და **გიორგი დემეტრაძე** აზერულ ოქროს დაეუფლნენ.

ადამია 65-ე წუთზე შეცვალეს, მუჯირი სრულად გაისარჯა, დემეტრაძეს კი არ უთამაშია.

**ბახა შალამბერიძე**



ალექსანდრე იაშვილმა ზედიზედ ორ მატჩში გაიტანა



დავით მუჯირი

# ჯორჯიამ მეკარეები მოიგო



„ჯორჯიამ“ უკვე დაასრულა ამსტერდამული ტურნირი. ქართველმა ბავშვებმა შვიდი მატჩიდან ექვსი წააგეს და ოდენ ერთი მოიგეს.

ტურნირის გამარჯვებული კი „ანდერლეხტი“ გახდა, რომელმაც ფინალში 3:1 დაამარცხა „აიაქსი“.

„ფონდი არველაძეს“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ტურნირის ორგანიზატორებმა საუკეთესო მეკარის პრიზი ორ ქართველს, ნიკა ადეიშვილს და ოთარ გოშაძეს გადასცეს.

**ლუკა თალაკვაძე**

**16 მაისი**

**ჯორჯია 0:2 ჩელსი**

**SV RAP 0:2 ჯორჯია**

**0:1 გოშთელიანი, 0:2 ზარია**

**ჯორჯია 0:1 კაშიმა**

**ინტერი 1:0 ჯორჯია**

**17 მაისი**

**ჯორჯია 0:3 აიაქსი**

**ანდერლეხტი 4:0 ჯორჯია**

**ჯორჯია 0:1 ალკმაარი**

*მეკარეები: 1. ნიკა ადეიშვილი (35-ე სკოლა), 12. ოთარ გოშაძე (საბურთალო);*

*მცველები: 2. გიორგი თვარაძე (ოლიმპი), 3. გიორგი ადამია (ოლიმპი), 4. ირაკლი ფირცხალავა (35-ე სკოლა), 5. ნიკა ლაშხია (ბაია), 14. დავით შუბითიძე (35-ე სკოლა), 16. ნიკა კველიშვილი (ლოკომოტივი);*

*ნახევარმცველები: 6. გუგა ფირცხალავა (35-ე სკოლა), 7. ნიკა ქორიძე (35-ე სკოლა), 8. სანდრო ალტუნაშვილი (ოლიმპი), 17. გიორგი პაპუაშვილი (მთვარის გლობუსი), 18. ირაკლი ბიძინაშვილი (ოლიმპი), 19. გურამ გოშთელიანი (ოლიმპი);*

*თავდამსხმელები: 9. გეგი ხართანია (ოლიმპი), 10. ვატო არველაძე (35-ე სკოლა), 11. გიორგი არველაძე (SV RAP, ჰოლანდია), 15. გიორგი ზარია (35-ე სკოლა).*

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

32 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 მაისი. 16.10 საათი

სიონი ბოლნისი
ვიტ ჯორჯია თბილისი 3:4

ბოლნისი. თ. სტეფანია. 300 მაყურებელი

0:1 კვალინიძე (17), 1:1 ბობოხიძე (24), 2:1 გოცირიძე (42), 3:1 ხიდეშელი (50), 3:2 ბექვაია (55), 3:3 კვარაცხელია (58), 3:4 ლიპარტია (70პ)

სიონი: ქანტურია, ქემოკლიძე, დ. სვანიძე (ლ. ბაჯელიძე 60), ი. ვამაკიძე, ჯ. მუჯირი, დიდავა (კ. ალადაშვილი 53), ზ. ქელიძე, გ. ხიდეშელი, ლ. ხანიკიძე, ბობოხიძე, რ. გოცირიძე (დავითაშვილი 58)

სათადარიგონი: ბობლიაშვილი, შალამბერიძე, კაკაშვილი, მიკუჩაძე

მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, დ. ლომაია, ხურცილავა (მაისაშვილი 65), ყველაშვილი, ჯაფარიძე, კვალინიძე (გ. ჯანელიძე 53), გ. მელქაძე, ბექვაია, გ. დათუნაიშვილი, ლიპარტია, ბერიაშვილი (ვ. კვარაცხელია 51)

სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე, მგელაძე, ზაქრაძე, ადამაძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ქანტურია (43), გოცირიძე (48)

გაძევება: ქანტურია (75)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, მ. ელიკაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, მ. ურუშაძე

# ვიტ ჯორჯია საქართველოს ჩემპიონია

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## 32 ტური



# მე-20 ეროვნულს ქვევიდან თუ შეეხედება

**ბოლნისურმა** სპექტაკლმა აზრი დაუკარგა თბილისის „დინამოს“ ზუგდიდში სტუმრობას, თუმცა ეს თამაში მაინც საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

მით უმეტეს, მატჩის მიმდინარეობისას სტადიონის დიქტორი პერიოდულად აცხადებდა „სიონი“ — „ვიტ ჯორჯიას“ ანგარიშს და პირველი ტაიმისას თბილისელებს იმედი რომ ექნებოდათ, რა სათქმელია...

ამ დროს „სიონი“ 2:1 იგებდა და ჯერი „დინამოზე“ იყო, მაგრამ...

სწორედ პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა გოლი, რომელმაც კახა კაჭარავას გუნდი თაჩალუნული გაიყვანა შესვენებაზე. 44-ე წუთზე საჯარიმოში მომხდარი არეულობისას ყველაზე უკეთ პაატა ბაკარანძე გაერკვა სიტუაციაში და ახლოდან შეძლო გოლის გატანა — 1:0.

საინტერესო ამბავი იქამდეც მოხდა — მე-7 წუთზე დანილო ტომიჩის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა და...

მსაჯთან სამწუთიანი საქმის გარჩევა, როგორც იქნა, დასრულდა — როინ ონიანმა და გიორგი ჭედიამ ყვითლები მიიღეს და ამით დამშვიდნენ, თუმცა რა იცოდნენ, რომ ალექსანდრე კოშკაძე ბურთს კარს ააცილებდა. დიახ, მე-10 წუთზე „დინამომ“ პენალტი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში სტუმრებს ბლომად მომენტი ჰქონდათ, თუმცა ანგარიშის გათანაბრება ვერა და ვერ მოახერხეს და „მგლებმაც“ ის სამი ქულა ჩაიწერა, სატურნირო ცხრილში თბილისის „ლოკომოტივზე“ წინ რომ დააყენა...

„ლოკომოტივი“ ვახსენეთ, და საკმაოხნიანი პაუზის შემდეგ ამ გუნდმა მე-6 ადგილი მაინც დაკარგა — შინ რუსთავის „ოლიმპთან“ 1:3 წააგო.

ამ გამარჯვებით „ოლიმპმა“ ბრინჯაო გაინაღდა, რამეთუ მისმა კონკურენტმა „ზესტაფონმა“ სტუმრად წაიფორხილა აუტსაიდერ „სპარტაკთან“.

ცხინვალელებმა წამატებულ წუთებზე ექსზესტაფონელი თორნიკე თარხნიშვილის მიერ გატანილი გოლით დაიტოვეს უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედი — თუ „სპარტაკი“ მომავალ, ბოლო ტურში სტუმრად ახალციხის „მესხეთს“ დაამარცხებს...

თავის მხრივ, ის მატჩი გადამწყვეტია „მესხეთისთვისაც“.

კობა თედიაშვილის გუნდმა 0:2 წააგო „გაგრასთან“, რომელმაც სეზონი უკვე დაასრულა და ახლა ბოლო ტურს ელის — იქ უნდა გადაწყდეს მისი ბედი, მაგრამ გაგრელთა შანსებს დიდ პროცენტს ნაღდად ვერ დავუწერთ. როგორი საქმეა, „მესხეთმა“ და „სპარტაკმა“ ფრე უნდა ითამაშონ, ამით თავიანთი თავები უნდა დაილუპონ და სანაცვლოდ, „გაგრა“ აზეირონ.

მოკლედ, ჩემპიონატის ბოლო ბოლოადგილოსნებისთვისღა დარჩა საინტერესო, თორემ ამ ჩვენს ბედოვლათ მე-20 ეროვნულში დანარჩენი უკვე გარკვეულია...

**ოთარ მხეიძე**

17 მაისი. 16.10 საათი
**მგლები ზუგდიდი – დინამო თბილისი 1:0**
ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 1 000 მაყურებელი

1:0 ბაკარანძე (44)

*კოშკაძემ ვერ გაიტანა პენალტი (10, ააცილა)*

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, რ. ონიანი, აქუბარდია, რაქვიაშვილი, გუჩუა, პ. დათუნაიშვილი, ქარია (ინჯგია 82), ჭკადუა (მალიჩავა 89), ბაკარანძე (ა. ბაჯელიძე 67), ჭედია

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

დინამო: ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, გველესიანი, ტომიჩი, ხმალაძე, შ. კაშია, კოშკაძე, გ. მერებაშვილი, ჯიუსი (სიხარულიძე 75)

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: ონიანი (7), ჭედია (7), ქარია (81)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია, პ. დოგრაშვილი

17 მაისი. 16.10 საათი
**სპარტაკი ცხინვალი – სკ ზესტაფონი 1:0**
გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

1:0 თარხნიშვილი (92)

სპარტაკი: კოდალაევი, ქურასბედიანი, კ. ავალიანი (სახოკია 81), შ. ლონდაძე (ოქროპირიძე 46), ბ. ხაჭიპერაძე, ქორიძე, ჯანგიძე (გ. თურმანიძე 61), ზ. მეტრეველი, თ. შონია, თარხნიშვილი, მაისურაძე

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, მგალობლიშვილი, ი. კობახიძე, გ. გაბელაია

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

ზესტაფონი: მამალაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, მაკარიანი, დაუშვილი, შ. გრიგალაშვილი, ძარია (კენჭოშვილი 86), ბენაშვილი, გელაშვილი (იონანიძე 73), ლ. მელქაძე (ნ. კვასხვაძე 57)

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, ბერიძე, ლიბრაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ძარია, ბენაშვილი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე; ლ. კვარაცხელია

17 მაისი. 16.10 საათი
**სკ გაგრა – მესხეთი ახალციხე 2:0**
თბილისი. ამერი. 300 მაყურებელი

1:0 გაბედავა (62), 2:0 ფილია (90)

გაგრა: თევდორაძე, კუპრეიშვილი, გიგაური, კოზლენკო, ტყეშელაშვილი, ცხადაია, ლ. ნოზაძე, შარიქაძე, ოვონიკოკო (დ. ჩხაიძე 83), ფილია (თუხარელი 90), გაბედავა

*სათადარიგონი:* კოტრიკაძე, გედენიძე, ჩარგეიშვილი, მოსიაშვილი, კალანდაძე

მწვრთნელი: გოჩა ჩიქოვანი

მესხეთი: ბათიაშვილი, ლეკიშვილი, ფარულავა, ლ. მერებაშვილი, ზ. ჩხეტიანი, მემარნიშვილი, გაბიდაური (ბეჟანიძე 65), ლ. თედიაშვილი, გ. მიქაბერიძე (სუდაძე 74), სამადაშვილი, გონჩაროვი (პ. ხორგუაშვილი 56)

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, თელიაშვილი, ვ. ხორგუაშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: ბათიაშვილი (38), შარიქაძე (64), მემარნიშვილი (73), მერებაშვილი (76)

გაძევება: მემარნიშვილი (73)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ზ. ერქვანია, გ. ვადაჭკორია

17 მაისი. 16.10 საათი
**ლოკომოტივი თბილისი – ოლიმპი რუსთავი 1:3**
თბილისი. მ. მესხი. 100 მაყურებელი

0:1 მეგრელაძე (10), 1:1 მახარაძე (40), 1:2 მეგრელაძე (42), 1:3 სეთურიძე

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. ფიფია, ბ. ქიქინაძე, ლ. სილაგავა

**ჩემპიონატის რეგლამენტი.** თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება შემდეგ კომპონენტებს: 1. მოგებათა მეტი რაოდენობა; 2. ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულები, ბურთები); 3. ჩემპიონატში გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობა; 4. გატანილი გოლების რაოდენობა; 5. სტუმრად გატანილი გოლების რაოდენობა; 6. ფეირ პლეის პრინციპი; 7. კენჭისყრა

## საქართველოს ყველა ჩემპიონი

1990 — იბერია თბილისი
1991 — იბერია თბილისი
1992 — იბერია თბილისი
1993 — დინამო თბილისი
1994 — დინამო თბილისი
1995 — დინამო თბილისი
1996 — დინამო თბილისი
1997 — დინამო თბილისი
1998 — დინამო თბილისი
1999 — დინამო თბილისი
2000 — ტორპედო ქუთაისი
2001 — ტორპედო ქუთაისი
2002 — ტორპედო ქუთაისი
2003 — დინამო თბილისი
2004 — ვიტ ჯორჯია თბილისი
2005 — დინამო თბილისი
2006 — სიონი ბოლნისი
2007 — ოლიმპი რუსთავი
2008 — დინამო თბილისი
2009 — ვიტ ჯორჯია თბილისი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 29 | 19 | 9 | 1 | 53:19 | 34 | 66 | 13 | 8 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 28 | 16 | 11 | 5 | 0 | 30:10 | 20 | 38 |
| 2 დინამო | 29 | 18 | 6 | 5 | 58:21 | 37 | 60 | 14 | 11 | 3 | 0 | 37:11 | 26 | 36 | 15 | 7 | 3 | 5 | 21:10 | 11 | 24 |
| 3 ოლიმპი | 29 | 16 | 9 | 4 | 40:19 | 21 | 57 | 14 | 7 | 6 | 1 | 21:6 | 15 | 29 | 15 | 8 | 4 | 3 | 19:13 | 6 | 28 |
| 4 ზესტაფონი | 29 | 16 | 4 | 9 | 42:24 | 18 | 52 | 14 | 10 | 0 | 4 | 27:11 | 16 | 30 | 15 | 6 | 4 | 5 | 15:13 | 2 | 22 |
| 5 სიონი | 29 | 10 | 11 | 8 | 34:29 | 5 | 41 | 14 | 4 | 6 | 4 | 18:15 | 3 | 18 | 15 | 6 | 5 | 4 | 16:14 | 2 | 23 |
| 6 მგლები | 29 | 10 | 6 | 13 | 36:37 | -1 | 36 | 16 | 9 | 1 | 6 | 25:13 | 12 | 28 | 13 | 1 | 5 | 7 | 11:24 | -13 | 8 |
| 7 ლოკომოტივი | 29 | 9 | 8 | 12 | 32:32 | 0 | 35 | 16 | 5 | 4 | 7 | 15:14 | 1 | 19 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:18 | -1 | 16 |
| 8 გაგრა | 30 | 7 | 7 | 16 | 23:48 | -25 | 28 | 16 | 5 | 5 | 6 | 17:19 | -2 | 20 | 14 | 2 | 2 | 10 | 6:29 | -23 | 8 |
| 9 მესხეთი | 29 | 6 | 8 | 15 | 22:42 | -20 | 26 | 13 | 5 | 3 | 5 | 16:14 | 2 | 16 | 16 | 2 | 4 | 10 | 6:28 | -22 | 10 |
| 10 სპარტაკი | 29 | 6 | 7 | 16 | 28:55 | -17 | 25 | 15 | 4 | 4 | 7 | 16:22 | -6 | 16 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:23 | -11 | 9 |
| 11 ბორჯომი | 29 | 2 | 7 | 20 | 21:73 | -52 | 13 | 15 | 1 | 5 | 9 | 12:28 | -16 | 8 | 14 | 1 | 2 | 11 | 9:45 | -36 | 5 |

## ბომბარდირები

20 — ნიკა გელაშვილი — ზესტაფონი
13 — გიორგი მერებაშვილი — დინამო
11 — გია თოდუა — მგლები
10 — მათე ვაწაძე — დინამო
გურამ სამადაშვილი — მესხეთი

## ბოლო ტური

23 მაისი. შაბათი

ოლიმპი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
მესხეთი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – მგლები
დინამო – ბორჯომი



ზაზა ზამთარაძე



გიორგი კიკნაძე

სარბიელის არქივიდან

# როდის გადადგება დიმიტრი რამიშვილი

## ლოკომოტივის მწვრთნელები გარიგებებს არ ურიგდებიან და...

**შაბათს თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელებმა, გიორგი კიკნაძემ და ზაზა ზამთარაძემ პრესკონფერენცია გამართეს. ბუნებრივია, თემა გარიგებული მატჩები იყო... საუბარი ემოციური გამოვიდა, თუმცა დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია...**

**გიორგი კიკნაძე:** ადრევე ვთქვით, რომ პრესკონფერენცია გვექნებოდა. ამ ბოლო ხანს გახშირებულ ლაპარაკებს გარიგებული მატჩების თაობაზე დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და ვფიქრობთ, რომ ვინმე თუ არ დაისაჯა, არაფერი გვეშველება. აქამდე კი ასეთი რამ არ მომხდარა. რამდენი ხანია, ეჭვებზე ლაპარაკობენ, მაგრამ დასჯილი არავინ გვინახავს...

ამ სამი წლის განმავლობაში, რაც „ლოკომოტივში“ ვართ მე და ზაზა ზამთარაძე, მსგავს სიბინძურეში არ გავრეულვართ. თუ ვინმე ერთ ფაქტს მაინც დაგვისახელებს, მზად ვართ, პასუხი ვაგოთ...

გეცოდინებათ, ბოლნისის „სიონთან“ მატჩის შემდეგ გუნდიდან წასვლა გვინდოდა, მაგრამ გუშინ პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს შევხვდით და მან გადაგვაფიქრებინა. ჩვენი და პროფლიგის ახალი ინიციატივა ასეთია: მომავალი სეზონიდან ყველა კლუბი უნდა შევთანხმდეთ ფეარ პლეის პრინციპებით თამაშზე და თუ სადმე რამე საეჭვო იქნება, ჩვენვე გადავწყვიტოთ სასჯელის ზომა...

ჩვენსა და რამიშვილს შორის პრესის საშუალებით გაუგებრობა მოხდა, თუმცა მასთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ ერთ აზრზე ვყოფილვართ — ორივე მხარეს ძალიან გვაწუხებს შექმნილი მდგომარეობა და გამოსავალი უნდა ვეძიოთ. მარტო პროფლიგა ვერ შეებრძოლება ამ სენს.

**ზაზა ზამთარაძე:** ამ სეზონში იმდენი დისკვალიფიკაცია მოვიხადე, რომ თვლაც ამერია. ახლაც დისკვალიფიცირებული ვარ, თუმცა გპირდებით, რომ მეტს აღარ ვიჩხუბებ და აყალმაყალს აღარ ავტეხავ. უბრალოდ, „სიონთან“ მატჩისას მსაჯის ქმედებებმა წყობიდან გამომიყვანა... ის თამაში არაფერს გვაძლევდა, მაგრამ ჩვენი მიზანი ნებისმიერი მატჩის მოგებაა და რატომ არ უნდოდა ეს ვიღაცას, ვერ გავიგე... დიმიტრი რამიშვილთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ თანამოაზრეები ვყოფილვართ და ამიერიდან თანამებრძოლებიც გავხდებით...

— კონკრეტულად რას გულისხმობთ თანამშრომლობაში?

**გიორგი კიკნაძე:** ყველა კლუბის პრეზიდენტი, მწვრთნელი და ფეხბურთელი უნდა შევკრიბოთ და შევთანხმდეთ, რომ ეს უბედურება დასამთავრებელია. ამაში თქვენი, ჟურნალისტების იმედიც გვაქვს. თქვენ ბევრი კარგის გაკეთება შეგიძლიათ და მჯერა, გვერდში დაგვიდგებით...

— კი მაგრამ, რა შედეგი უნდა მოიტანოს ამან?

**გიორგი კიკნაძე:** პატარა ბავშვები არ ვართ, რომ ვიღაცის ნათქვამი დავიჯეროთ. მაგრამ რამიშვილმა გვითხრა, რომ თუ მომავალ სეზონში ეს პრობლემა არ მოგვარდება და გარიგებულ მატჩებზე ისევ მოგვიწევს ლაპარაკი, რამიშვილიც და ჩვენც ერთად წავალთ ფეხბურთიდან!

**ზაზა ზამთარაძე:** არიან ისეთი კლუბები, რომლებშიც ვიღაც-ვიღაცები არიან და ამ დროს არ უნდა იყვნენ. სამწუხარო ის არის, რომ ყველამ ყველაფერი იცის და არავინ არაფერს ამბობს. თერთმეტი გუნდიდან შვიდი რომ გარიგებულ თამაშებში იქნება ეჭვმიტანილი, იქ რამე შეიძლება გამოვიდეს?! ეს არ არის პროკურატურის საქმე, ეს შიდა პრობლემაა და სანამ ყველა არ შევთანხმდებით სამართლიან თამაშზე, არაფერი გამოვა.

— აქამდეც შეხვედრილან კლუბების პრეზიდენტები ერთმანეთს და შეთანხმებულან კიდეც, მაგრამ მერე ეს ყველას ავიწყდება. ძნელი დასაჯერებელია, აქედან რამე გამოვიდეს...

**გიორგი კიკნაძე:** და არ ვცადოთ?! რას მეუბნებით მაგით, რომ დავიხუროთ ქუდი და სახლში წავიდეთ?! ამას ისედაც ვაპირებდით, მაგრამ დიმიტრი რამიშვილთან შეხვედრამ გადაგვაფიქრებინა. ამ საქმეს შველა უნდა და სახლში რომ წავიდე, გამოვა რამე?!

— გასაგებია, მაგრამ წელან რომ ვიღაც-ვიღაცები ახსენეთ. მოდით, დავასახელოთ ისინი. თქვენ ამბობთ, რომ მათ კლუბების ხელმძღვანელები დასჯიან და გუნდიდან გაუშვებენ? ეს ხომ ძალიან არადამაჯერებელია...

**გიორგი კიკნაძე:** როცა კლუბები ერთმანეთს შევხვდებით და მე ერთ პრეზიდენტს ვეტყვი, რომ ესა და ეს კაცი ამას და ამას აკეთებს, მას სხვა გზა აღარ ექნება. თუ არ მოიშორებს და ესე იგი, თავადაც გარეული ყოფილა სიბინძურეში და ეს მაინც გვეცოდინება. აბა, რა ვქნა, ლილზე კამერა დავიმაგრო და ვიღაცებს ჩუმად გადავუღო?! ისედაც ხომ ვიცით, რაც ხდება?!

— ვიცით, მაგრამ დღემდე ვერავინ ვერაფერი დაამტკიცა...

**გიორგი კიკნაძე:** უბედურებაც ეგ არის. ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ დღეს საქართველოში სამი გუნდია, რომელთანაც ჩვენ, „ლოკომოტივი“ სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ამ საკითხთან დაკავშირებით — ესენი არიან „ამერი“, „გაგრა“ და „ზესტაფონი“, ოღონდ ეს გუნდი მას შემდეგ, რაც იქ გია გეგუჩაძე და გიორგი ჭიაბრიშვილი მივიდნენ. თუ არც ასე გამოვიდა რამე, წავალთ ქართული ფეხბურთიდან!

**ზაზა ზამთარაძე:** სამწუხაროდ, აქ ერთ და ორ თამაშზე არ არის ლაპარაკი, ეს სისტემური პრობლემაა და იმედი გვაქვს, რომ ჟურნალისტები გაგებით მოეკიდებით ამ ინიციატივას.

**გიორგი კიკნაძე:** ჩვენი წასვლა გამოსავალია?! რა შუაშია ასეთ რამეებთან პროკურატურა, ეს ფედერაციის და პროფლიგის გასარჩევია. როცა რამიშვილი ასეთ რამეს გვთავაზობს, ვფიქრობ, უარი არ უნდა ვთქვათ და ვცადოთ...

**ქახა შალამბერიძე**

# ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

SBM

LG

## დაძაბულობა და ფიფა ბიზნესის ლიგაში

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგის გათამაშება დასასრულს უახლოვდება და დაძაბულობაც ტურიდან ტურამდე მატულობს.

ორივე ლიგის სატურნირო ცხრილებს თუ ჩახედავთ, დარწმუნდებით, რომ ჩემპიონობის შანსი ერთბაშად რამდენიმე გუნდს აქვს — სუპერლიგაში ხუთი გუნდი იბრძვის ოქროსთვის, უმაღლეს ლიგაში კი ექვსი!

მოკლედ, გათამაშების ფინიში მართლაც საინტერესო ამბებს გვპირდება და დაველოდოთ...

და ერთიც: ორგანიზატორებმა ფუტსალში ფიფას მსაჯები, შოთა ქუხილავა და არსენ ნონიკაშვილი მოიწვიეს მსაჯებად და უნდა ითქვას, რომ ისინი მშვენივრად ართმევენ თავს საქმეს.

**ოთარ მხეიძე**

### სუპერლიგა

**პალიტრა 0:3 პატრული**

0:1 თავაძე (23), 0:2 გელაშვილი (28), 0:3 გაფრინდაშვილი (29)

**დეპარტამენტი 1:0 პეპსი**

1:0 მაზიაშვილი (15)

**შერატონი 1:3 სარბიელი**

0:1 ბარბაქაძე (15), 0:2, 0:3 გაბისკირია (18, 26), 1:3 მალულარია (28)

**ოლ. ვარსკვლავი 1:2 ვისოლი**

0:1 ხარჩილაძე (26), 1:1 ახალმოსულიშვილი (27), 1:2 ხარჩილაძე (30)

**ალგორითმი 3:4 იბერია**

0:1, 0:2 არველაძე (10, 12), 1:2 სეფერთელაძე (18), 1:3 მაყაშვილი (21), 1:4 არველაძე (25), 2:4 ჩანთლაძე (26)

**გადადებული მატჩი**

**პალიტრა 2:4 ვისოლი**

0:1 ვაჩეიშვილი (5), 0:2 მანაგაძე (7), 0:3, 0:4 ვაჩეიშვილი (8, 10), 1:4, 2:4 ხარქისიანი (24, 29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეუ | 8 | 5 | 1 | 2 | 33:24 | 16 |
| ალგორითმი | 7 | 5 | 0 | 2 | 29:13 | 15 |
| იბერია ბ/ჯ | 8 | 4 | 3 | 1 | 24:13 | 15 |
| ვისოლი | 8 | 4 | 3 | 1 | 17:13 | 15 |
| დეპარტამენტი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:8 | 13 |
| ოლ. ვარსკვლავი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:16 | 11 |
| შერატონი | 8 | 3 | 0 | 5 | 14:22 | 9 |
| სარბიელი | 8 | 2 | 3 | 3 | 19:29 | 9 |
| პატრული | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 8 |
| პალიტრა | 8 | 1 | 3 | 4 | 16:26 | 6 |
| პეპსი | 9 | 0 | 2 | 7 | 8:25 | 2 |

### უმაღლესი ლიგა

**იუ ჯი თი 5:1 დინამო**

0:1 გაგნიძე (6), 1:1 ალექსიძე (10), 2:1 ქოქუაშვილი (13), 3:1 ქუქჩიშვილი (24), 4:1, 5:1 ქოქუაშვილი (25, 27)

**ალგორითმი-2 3:1 სტან. ბანკი**

1:0 ფხოველიშვილი (5), 2:0 კახელაშვილი (19), 3:0 დაუშვილი (22), 3:1 სირაძე (24)

**უნივერსიტეტი 2:0 თიბისი**

1:0 ჭოხონელიძე (19), 2:0 ჯანგავაძე (30)

**საძ. ბანკი 4:3 აფხაზეთი**

1:0 ცაგარეიშვილი (3), 1:1 ქუთელია (11), 2:1 დარახველიძე (13), 2:2 სიჭინავა (15), 3:2 ცაგარეიშვილი (18), 3:3 გადელია (19), 4:3 ცაგარეიშვილი (29)

**სპორტმედია 0:5 AMTS-JAMC**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 28:17 | 16 |
| იუ ჯი თი | 7 | 4 | 2 | 1 | 21:10 | 14 |
| სტანდარტბანკი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:11 | 13 |
| დინამო | 7 | 4 | 1 | 2 | 22:19 | 13 |
| უნივერსიტეტი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 13 |
| თიბისი ბანკი | 7 | 4 | 0 | 3 | 15:11 | 12 |
| საქ. ბანკი | 7 | 3 | 2 | 2 | 17:15 | 11 |
| ალგორითმი-2 | 7 | 2 | 0 | 5 | 13:16 | 6 |
| AMTS-JAMC | 7 | 1 | 0 | 6 | 5:33 | 3 |
| სპორტმედია | 7 | 0 | 0 | 7 | 9:17 | 0 |

## აფხაზეთის ღია ჩემპიონატი

### 1991-92-წლიანები

**XXVI ტური**

იმედი-92 4:0 იმედი-91

35-ე სკოლა-3 9:1 ალგეთი

35-ე სკოლა-1 5:2 განთიადი-91

მიმინო-99 4:3 ნ. დინამო-1

აკადემია-1 2:1 სოხუმი

ფორვარდი 0:1 აკადემია-2

ვეფხვები 2:1 35-ე სკოლა-2

ნ. დინამო-2 0:2 ამირანი-2

35-ე სკოლა-2 4:1 იმედი-92

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა-1 | 25 | 21 | 2 | 2 | 81:32 | 65 |
| იმედი (რ) | 24 | 20 | 4 | 0 | 68:12 | 64 |
| აკადემია-2 | 24 | 17 | 3 | 4 | 54:16 | 54 |
| 35-ე სკოლა-3 | 25 | 15 | 4 | 6 | 98:45 | 49 |
| იმედი-92 (რ) | 25 | 13 | 3 | 9 | 46:40 | 42 |
| აკადემია-1 | 25 | 11 | 4 | 10 | 37:35 | 37 |
| ამირანი-2 | 24 | 11 | 4 | 9 | 43:44 | 37 |
| მიმინო-99 | 25 | 10 | 4 | 11 | 41:37 | 34 |
| ნ. დინამო-1 | 23 | 9 | 5 | 9 | 46:44 | 32 |
| განთიადი-91 | 24 | 9 | 1 | 14 | 43:66 | 28 |
| ალგეთი | 24 | 8 | 3 | 13 | 28:54 | 27 |
| ნ. დინამო-2 | 25 | 7 | 4 | 14 | 28:43 | 25 |
| ვეფხვები | 24 | 6 | 7 | 11 | 41:52 | 25 |
| 35-ე სკოლა 2 | 24 | 6 | 1 | 17 | 25:59 | 19 |
| სოხუმი | 24 | 5 | 4 | 15 | 27:56 | 19 |
| იმედი-91 (რ) | 24 | 5 | 4 | 15 | 39:72 | 19 |
| ფორვარდი | 25 | 3 | 5 | 17 | 31:70 | 14 |

## მესამე იმედის ლიგა

**XXII ტური**

ოლიმპ-დინამო 1:0 აკადემია

ამირანი 1:2 ვეფხვები

ამერი-3 1:3 აფხაზეთი

პირამიდა 4:4 35-ე სკოლა

შავნაბადა 0:2 დიოსკურია

ავაზა 4:1 კოლხა

აფხაზეთი 3:0 პირამიდა

სამგორი — ნ. დინამო-3

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-3 | 21 | 15 | 4 | 2 | 67:20 | 49 |
| აკადემია | 22 | 15 | 4 | 3 | 49:15 | 49 |
| სამგორი | 21 | 14 | 4 | 3 | 60:30 | 46 |
| ავაზა | 22 | 14 | 2 | 6 | 44:25 | 44 |
| აფხაზეთი | 22 | 11 | 5 | 6 | 43:35 | 38 |
| ოლიმპ-დინამო | 22 | 11 | 4 | 7 | 56:40 | 37 |
| ვეფხვები | 22 | 9 | 1 | 12 | 46:50 | 28 |
| შავნაბადა | 22 | 9 | 1 | 12 | 39:70 | 28 |
| დიოსკურია | 22 | 7 | 3 | 12 | 35:49 | 24 |
| პირამიდა | 21 | 7 | 1 | 13 | 38:54 | 22 |
| კოლხა | 21 | 7 | 1 | 13 | 38:56 | 22 |
| ამერი-3 | 22 | 5 | 4 | 13 | 20:34 | 19 |
| 35-ე სკოლა | 22 | 4 | 4 | 14 | 33:48 | 16 |
| ამირანი | 22 | 4 | 2 | 16 | 24:66 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეცბაია ძველ ხელობას იხსენებს

## ნიუკასლში გესქოინთან ერთად



**სანამ** პირეოსის „ოლიმპიაკოსში" მუშაობას შეუდგება, თემურ ქეცბაია ძველ დროს გაიხსენებს და შავ-თეთრ მაისურას მოირგებს.

დიახ, 41 წლის ქართველი მწვრთნელი „ნიუკასლთან" ერთად გავა მოედანზე და ვეტერანთა ტურნირში ითამაშებს.

ეს ერთდღიანი გათამაშება 7 ივნისს ნიუკასლში გაიმართება და ქეცბაიასთან ერთად „კაჭკაჭების" გუნდში ლეგენდარული პოლ გესქოინიც ითამაშებს, ვისაც ბოლო ხანებში საქმეები აერია და კინაღამ ლოთობას გადაჰყვა...

ბრიტანული სააგენტოების ცნობით, ასეთი ტურნირები მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩატარდება და გამარჯვებულები სექტემბერში ქვეყნის ჩემპიონს გამოავლენენ.

ქეცბაიას და გესქოინის გარდა „ნიუკასლში" ბრაიან კილკლაინი, ალექს მატიე, კევინ სკოტი, ჯონ ბერესფორდი, კევინ გალაჰერი და რობ ლი ითამაშებენ.

მეტოქეებად კი ნიუკასლელებს „სანდერლენდი", „მიდლსბრო", „კარლაილი", „ჰარტლპული" და „დარლინგტონი" ეყოლებათ.

**ქახა შალამბერიძე**

# კვარაცხელია ფინალამდე და ფინალის შემდეგ

**22 მაისს** ქართველი მწვრთნელი ბადრი კვარაცხელია ბაქოში ჩავა და აზერბაიჯანის თასის ფინალს („ყარაბახი" — „ინტერი") დაესწრება.

შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძის გადადგომის შემდეგ კვარაცხელია „სტანდარდს" თავკაცობდა, თუმცა სეზონი ვერ დაასრულა და გუნდიდან წამოსვლა მოუწია.

„აზერისპორტის" ცნობით, ფინალის შემდეგ კვარაცხელია რამდენიმე აზერბაიჯანულ კლუბთან გამართავს მოლაპარაკებას და შესაძლოა, ახალი სამსახურიც იშოვოს...

# სტრაკამ უჰრინს აჯობა

**ჩეხეთის** ნაკრების ახალ მწვრთნელად 50 წლის ფრანტიშეკ სტრაკა დაინიშნა.



ამ ინფორმაციამ იმად დაგვაინტერესა, რომ სტრაკამ თბილისის „დინამოს". ყოფილ თავკაც დუშან უჰრინს აჯობა — ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ასე გადაწყვიტა.

უჰრინი ადრეც წვრთნიდა ჩეხეთის ეროვნულ გუნდს და 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც გაიყვანა, „დინამოდან" წასვლის შემდეგ კი ისე აქტიურად აღარ მუშაობდა...

# ასათიანის კიევი — მოსკოვი



**მალხაზ ასათიანი** უკრაინის ჩემპიონი გახდა და ახლა მისი საკითხი კვლავ ღიაა — მაისის ბოლოს ქართველ მცველს საიჯარო ხელშეკრულება უმთავრდება.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა იქნება მომავალში — ასათიანი ან მოსკოვის „ლოკომოტივში" დაბრუნდება, ან სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს...

„რა თქმა უნდა, „ლოკომოტივში" მიმდინარე პროცესებს თვალ-ყურს ვადევნებ, თუმცა ჯერჯერობით იქ კარგს ვერაფერს ვხედავ. რამდენი წელი გავატარე ამ გუნდში და ასეთი საზიზღარი სიტუაცია არასოდეს ყოფილა. ასეთი გუნდის დაღუპვა როგორ იქნებოდა?! მას შემდეგ, რაც კიევის „დინამოში" გამანათხოვრეს, „ლოკომოტივიდან" ჩემთან არავის დაურეკავს. ჯერჯერობით კონტრაქტი „დინამოსთან" მაქვს და რა მოხდება ამის შემდეგ, ვერ გეტყვით" — განუცხადა ასათიანმა უკრაინელ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივი" დატოვა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა, ვისი ათვალწუნების გამოც მოუხდა მალხაზს კიევში გადაბარგება.

„შარშან კიევის „დინამოში" გაცილებით მეტი მატჩი ჩავატარე, წლეულს კი იშვიათად მიწევდა მოედანზე გასვლა, თუმცა ნაწყენი მაინც არ ვარ. აქ გვიან ჩამოვედი, გუნდი უკვე აწყობილი იყო და იური სიომინსაც უკიდურეს შემთხვევებში თუ უხდებოდა შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელება" — განმარტა ასათიანმა.

**ქახა შალამბერიძე**



# ჩემპიონობა დასრულდა

## კალაძემ ახალ სეზონს გახედა

კახა კალაძის „მილანი" საბოლოოდ დაემშვიდობა ჩემპიონობაზე ფიქრს. „შავ-წითლებს" იმედი გასულ ტურში „იუვენტუსთან" შინ ნათამაშებმა 1:1-მა გადაუწურა. კალაძე რომ ტრავმის გამო დიდი ხანია, ვერ ეხმარება გუნდს, გეცოდინებათ, თუმცა, ცხადია, ის ყოველ თამაშს ესწრება და ტრიბუნიდან ქომაგობს თავისიანებს. „იუვენტუსთან" მატჩის შემდეგაც კახამ თავის ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუ მისცა...

— ამ ფრემ გარკვეულწილად იმედგაცრუება დაუტოვა გულშემატკივრებს...

— წარმოიდგენია... მესმის მათი, თუმცა ვიცოდით, რომ „იუვენტუსთან" იოლი გასეირნება არ გვექნებოდა. მათ თვენახევრიანი რთული პერიოდი გამოიარეს და სწორედ „სან სიროზე" სურდათ გარკვეულწილად რეაბილიტირება. ყველაფერთან ერთად, რანიერის გუნდისთვის წაგება ნიშნავდა მესამე ადგილის ეჭვის ქვეშ დაყენებასაც და აქედან გამომდინარე, მათ კარგად დაიცვეს თავი. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, შევეცადეთ, თამაშისთვის ინტენსიურობა მიგვეცა, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებდით სივრცეების გამოძებნას, რომლებშიც თავდამსხმელები შეიჭრებოდნენ...

— ბევრს სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ჩამორჩენის აღმოფხვრა, ახლა კი...

— არ წავიღებ უკან იმ სიტყვებს, რაც ამ თამაშამდე ვთქვი. ახლა ვიტყვი, რომ უმჯობესია, დაველოდოთ ჩემპიონატის დასრულებას. რა თქმა უნდა, არ ვარ ილუზიებში, ამ ეტაპზე „ინტერს" ნამდვილად ძალიან ცოტა აკლია ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამდე. ჩვენ ვიყოჩაღეთ და მოვახერხეთ ჩემპიონატის გამოცოცხლება და დადებითი შედეგების სერიის გამოჭედვა. რა თქმა უნდა, „იუვენტუსთან" გამარჯვება ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა და დიდ ზეწოლას განვახორციელებდით „ინტერზე"...

— „იუვენტუსთან" მატჩისას გატუზო გამოჩნდა სათადარიგოთა სკამზე...

— ამით ყველანი კმაყოფილები ვართ. რინო თითქმის მზად იყო უკვე რამდენიმე კვირის წინ და ეს საღამო ერთგვარი ჯილდო აღმოჩნდა მისი ერთგულებისთვის. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ყველა სხვა ტრავმირებული ფეხბურთელიც მონდომებით მუშაობს. ყველაფერი კარგად მიდის და ყველას გვჯერა, რომ მზად ვიქნებით ახალი სეზონისთვის...

# ადრიანო გალიანიმ ცენტრი გამოაცხადა

**იტალიური** „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის დიდი იმედი აქვს, რომ მომავალი სეზონიდან ალესანდრო ნესტა და კახა კალაძე დაცვის ცენტრს გაამაგრებენ.



აი, რა უთხრა გალიანიმ „მილანის" ოფიციალურ ვებგვერდს: „დიდი იმედი მაქვს, რომ „მილანის" დაცვაში ნესტა-კალაძის წყვილს ვნახავ. ეს სერიოზული ძალა უნდა იყოს ჩვენთვის".

ნესტაც და კალაძეც ამ სეზონში ტრავმებმა გააწამეს და „მილანის" შედეგებზე ამან დიდი გავლენა მოახდინა.

**ოთარ მხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვან გაალმა არველაძეს იმედი გაუცრუა

## ალკმაარი თუ აიაქსი? ხმები უკვე ისმის...




**ლუის ვან გაალი** მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელად დაინიშნა და თან შოთა არველაძე არ წაიყვანა.

არადა, საქმე ისე იყო, „ალკმაარის" თავკაცის გერმანიაში გადაბარგება თითქმის შოთას იქ წასვლასაც ნიშნავდა.

ჰოლანდიური საავენტოები დაუფარავად წერდნენ, ვან გაალი „ბაიერნში" არველაძეს და ლე ბურს წაიყვანსო, თუმცა ასე არ მოხდა...

ამგვარად, ახალბედა ქართველ მწვრთნელს ახლა „ალკმაარში" თავისი მომავლის გარკვევა მოუწევს.

აქა-იქ ისიც ითქვა, შესაძლოა, მთავარ მწვრთნელად დანიშნონო, რაც ოფიციალურად ჯერ არავის გაუხმაურებია.

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, შოთას ამსტერდამის „აიაქსში" მისვლაზეცაა ლაპარაკი...

მოკლედ, ყველაფერი დროის ამბავია და ვნახოთ, რას გადაწყვეტს ჩვენიანი. ჰოლანდიური პრესა კი წერს, ვან გაალის საქციელმა არველაძეს იმედი გაუცრუაო...

**ბაჩა ზალამბერიძე**

# იაშვილი და ცქიტიშვილი ახალს ელიან




ალექსანდრე იაშვილი



ლევან ცქიტიშვილი

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ორ ფეხბურთელს ალბათ მაინც მოუწევს ამ ზაფხულში კლუბის გამოცვლა — ორივე გერმანიაში თამაშობს და ორივეს გუნდი ცალით ფეხით ქვედა ლიგაშია.

მიხვდებოდით, ალექსანდრე იაშვილს და ლევან ცქიტიშვილს ვგულისხმობთ.

იაშვილს „კარლსრუესთან" ისეთი კონტრაქტი აქვს, რომ ბუნდესლიგიდან გავარდნისას თავისუფალი აგენტი ხდება. თითქმის იგივე სიტუაციაა ცქიტიშვილთან დაკავშირებითაც — „ვენი" უკვე მესამე ბუნდესლიგაშია და ქართველ ფეხბურთელსაც ახალ ვარიანტებზე ფიქრი მოუწევს.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ცქიტიშვილმა კუნთი უკვე მოირჩინა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს გუნდთან ერთად, თუმცა მისთვის ეს სეზონი, ფაქტობრივად, ჩავარდნილია...

**ბაჩა ზალამბერიძე**

რუსული „მოსკვას" ოფიციალურ ვებგვერდზე გია გრიგალავას ონლაინ-კონფერენცია შედგა. ვფიქრობთ, ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელისა და გულშემატკივრების კითხვა-პასუხი ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს და ამ ინტერვიუს აქვე გთავაზობთ...




# გია გრიგალავას ორივე მხრიდან ექაჩებიან: რუსეთი აჯობებს თუ საქართველო?

**— რას იტყვით „მოსკვას" ქომაგებზე?**

— ძალიან კარგი ქომაგები გვყავს და ყველას მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის.

**— თვითმფრინავების გეშინიათ?**

— არა. როცა ტურბულენტურ ზონაში მოხვდები, კარგი შეგრძნება არ დაგეუფლება, მაგრამ ზოგადად, არ მეშინია.

**— აქვს „მოსკვას" ევროთასებზე თამაშის შანსი?**

— წლეულს არა, მაგრამ მომავალ სეზონში ამის დიდი იმედი გვაქვს.

**— მოგწონთ „მოსკვა"?**

— გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, ყველასთან მეგობრულად ვარ და აქაურობა მომწონს.

**— თქვენ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი ხართ. შეიძლება, რომელიმე მატჩის შემდეგ სურათი გადავიღოთ?**

— გმადლობთ მხარდაჭერისთვის. სურათის გადაღება, რა თქმა უნდა, შეიძლება. მთავარია, თამაშის შემდეგ ჩემი დაჭერა მოახერხოთ...

**— „მოსკვა" ძალიან ახალგაზრდული გუნდია და როგორ გრძნობთ თავს გამოცდილ მეტოქეებთან თამაშისას?**

— როცა მოედანზე გადიხარ, მეტოქის გამოცდილებაზე საერთოდ არ ფიქრობ. მთავარია, მწვრთნელის დავალება შეასრულო.

**— ფეხბურთის გარდა რითი ერთობით?**

— მიყვარს ბილიარდი, პლეისტეიშენი, მაგიდის ჩოგბურთი...

**— რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

— ვცდილობ, რაც შეიძლება, მეტი დრო გავატარო მეგობრებთან ერთად.

**— რატომ აირჩიეთ „მოსკვა" და არა „სპარტაკი"?**

— დიდხანს ვფიქრობდი ამაზე და საბოლოოდ „მოსკვა" ავირჩიე, რითიც ძალიან კმაყოფილი ვარ. ალბათ ბევრი ოცნებობდა ბავშვობაში „სპარტაკში" თამაშზე, თუმცა მე მათ შორის არ ვარ.

**— გაიხსენეთ თქვენი პირველი ოფიციალური მატჩი. რას გრძნობდით მაშინ მოედანზე გასვლისას და რას გრძნობთ ახლა?**

— ეს 2007 წელს იყო. „როსტოვში" ვიყავი და „ხიმკის" ვხვდებოდით. სიმართლე გითხრათ, დიდად არ მინერვიულია. ადრევე ვიცოდი, რომ ძირითადში მომიწევდა თამაში. ახლაც განსაკუთრებულს ვერაფერს ვგრძნობ, გავდივარ მოედანზე და ვცდილობ, რაც შეიძლება, უკეთ გავაკეთო ჩემი საქმე.

**— საქართველოს მოქალაქეობის მიღება და ნაკრებში თამაში არ გინდათ?**

— დასაწყისისთვის მთავარია, კლუბში ფეხი მოვიკიდო და ამის შემდეგ ვიფიქრებ ნაკრებზე.

**— რას იტყვით „აიაქსში" გატარებულ მცირე დროზე?**

— იქ ყველაფერი მაღალ დონეზეა მოწყობილი. სხვა რა უნდა ვთქვა? აი, თქვენ რომ მიგიწვიონ „აიაქსში", დარწმუნებული იყავით, იქიდან ცუდ შეგრძნებას ვერ გამოიყოლებთ.

**— რამ შეგიშალათ ხელი „აიაქსთან" კონტრაქტის გაფორმებაში?**

— მაპატიეთ და ამ შეკითხვას უპასუხოდ დავტოვებ.

**— რომელია თქვენი პირველი, მშობლიური კლუბი?**

— როსტოვის „ლოკომოტივი". იქ დავიწყე თამაში.

**— გუნდში ახალი მოსული ხართ, მაგრამ უკვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლებით. ეს იმის ბრალია, რომ ბევრი ტრავმირებული გვყავს, თუ მიოდრაგ ბოჟოვიჩს ძალიან მოსწონს თქვენი თამაში?**

— ყველა გუნდი ცოცხალი ორგანიზმია — ზოგ ფეხბურთელს ტრავმა აქვს, ზოგი ჯანმრთელადაა. ისე მოხდა, რომ ახლა მე ვთამაშობ, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— ზოგი წყარო ცენტრალურ მცველად გიხსენიებთ, „მოსკვაში" კი მარცხნივ თამაშობთ. მაინც რომელია თქვენი ადგილი? და კიდევ: მთავარია, ნერვები მოთოკოთ და ნაკრები გელოდებათ...**

— აქამდე მარცხენა ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი ხოლმე, ახლა კი ფლანგი მომაბარეს. თუმცა ამის გამო დისკომფორტს არ ვგრძნობ. რაც შეეხება ნერვებს, საიდან მოიტანეთ? ეს, უბრალოდ, ემოციებია.

**— როგორ ფიქრობთ, „მოსკვას" გულშემატკივარი მოუმრავლდება?**

— კი. მით უმეტეს, თუ ჩემპიონები გავხდებით...

**— რომელია თქვენი საყვარელი წიგნი და ფილმი?**

— საყვარელი წიგნი არ მაქვს. ფილმი კი რამდენიმეა — განსაკუთრებით მიყვარს ალ პაჩინოს და რობერტ დე ნიროს მონაწილეობით გადაღებული ფილმები. მაგალითად, „ნათლიმამა" და „ერთხელ ამერიკაში".

**— შორს ცხოვრობენ თქვენი მშობლები? და კიდევ: რას იტყვით რუსეთის ასაკობრივ ნაკრებებში ჩატარებულ მატჩებზე?**

— მშობლები და უფროსი ძმა თბილისში ცხოვრობენ. მათ ტელეფონით ვუკავშირდები ხოლმე. რაც შეეხება ასაკობრივ ნაკრებებს, ოფიციალურ მატჩში არ მითამაშია.

**— დიდხანს გადევნებთ თვალს და ძალიან მომწონს თქვენი თამაში. იმედია, მალე რუსეთის ნაკრებშიც გიხილავთ. ახლა კი კითხვა, როგორც ნახევრად აფხაზისგან: ერთად რომ თამაშობდეთ, როგორი ურთიერთობა გექნებოდათ, მაგალითად, აფხაზ ანრი ხაგუშთან?**

— მადლობა კომპლიმენტებისთვის. რაც შეეხება კითხვას — ურთიერთობაში ეროვნებისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. მთავარია, ადამიანი იყოს კარგი. ასე რომ, ხაგუშთან ურთიერთობაშიც ვერ შევხედავდი პრობლემას.

**— ვინ არის თქვენი კერპი მსოფლიო ფეხბურთში, ოღონდ თქვენი ამპლუის მოთამაშე?**

— კერპი არ მყავს. ისე კი, ძალიან მომწონს მანჩესტერელი პატრის ევრა. ცენტრალური მცველებიდან კი რეალელი პეპე და ბაიერნელი ლუსიო...

**— ვისთან მეგობრობთ „მოსკვაში"?**

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— გინდათ „მოსკვაში" დარჩენა და ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება?**

— დიახ. თუკი კლუბი შემომთავაზებს...

**— გია, საქართველოდან გწერთ, გგულშემატკივრობთ და ძალიან გვიყვარხარ. წარმატებებს გისურვებთ...**

— ყველას მადლობა.



## მიხეილ აშვეთია ქვევით გოლაობს

**რუსეთის** ჩემპიონატის მეორე ლიგაში ბარნაულის „დინამომ“ 1:0 დაამარცხა კემეროვოს „კუზბასი“ და ეს ერთადერთი ბურთი მიხეილ აშვეთიამ გაიტანა.

ბარნაულელთა თავკაც სერგეი იროძაშვილის განცხადებით, აშვეთიამ ტკივილგამაყუჩებლებით ითამაშა და პირველი ტაიმის შემდეგ მის შეცვლასაც აპირებდა, თუმცა გადაიფიქრა და გაუმართლა კიდეც — 64-ე წუთზე ქართველმა თავდამსხმელმა პენალტით იხეირა.

აშვეთიას დარად, სრულად ითამაშა „დინამოს“ მეორე ქართველმა, მცველმა ვალერი აბრამიძემ.

კახა ზალამბერიძე

## ალეკო ამისულაშვილს პენალტი გაუცუდდა

**რუსული** პრემიერლიგის მერვე ტურში ნალჩიკის „სპარტაკი“ შინ უგოლოდ გაეყარა „ხიმკის“.



ამ მატჩში დისკვალიფიცირებულ გოგიტა გოგუას არ უთამაშია, ალექსანდრე ამისულაშვილი კი სრულად გაისარჯა და სწორედ მას შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა — 89-ე წუთზე პენალტი გააცუდა.

ოთარ მხეიძე

## ანჟიმ დიზელთან იამხანაგა

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ რუსეთის პირველ დივიზიონში ტური გამოტოვა და სანაცვლოდ, ამხანაგური მატჩი გამართა.

დაღესტნელებმა 2:0 დაამარცხეს კასპიისკის „დაგდიზელი“.

ომარ თეთრაძემ ოთხი ქართველი (კახა ალადაშვილი, ედიკ საჯაია, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი) პირველ ტაიმში ათამაშა. გიორგი ნავალოვსკი, ოთარ მარცვალაძე და სანდრო იაშვილი კი ვერც ამჯერად დაეხმარნენ თავიანთ გუნდს.

ოთარ მხეიძე

## დარასელია დაწინაურდა



**ელიშა ლევისა** და გიორგი დარასელიას გაწვრთნილმა ჰაიფას „მაკაბიმ“ შინ 2:0 დაამარცხა რამათგანის „მაკაბი“ და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს ისრაელის ჩემპიონატს.

ჰაიფელების კონკურენტმა თელავივის „ჰაპოელმა“ ორი ქულა დაკარგა (1:1) იმ „იჰუდთან“, რომელმაც წინა ტურში დარასელიას გუნდსაც აართვა ქულა.

ამგვარად, ქართველი მწვრთნელის „მაკაბი“ ორი ქულით დაუსხლტა უახლოეს მდევარს და ჩემპიონატის დასრულებამდე სამიოდ ტურით ადრე კარგი შანსი აქვს, ოქრო მოიპოვოს.

კახა ზალამბერიძე

## გეფერიძე ლიდერია

**მომავალ** სეზონში ისრაელის უმაღლეს ლიგაში ირაკლი გეფერიძის თამაშს წინ აღარაფერი უდგას.

ჰაიფას „ჰაპოელმა“ 3:1 მოუგო კირიათ-ათას „მაკაბის“ და კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს პირველი ლიგის ცხრილს.

გეფერიძეს ამჯერად გოლი არ გაუტანია — მწვრთნელმა ის 54-ე წუთზე შეცვალა.

ოთარ მხეიძე

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

ქართველების „ბაკი“ აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა და ჩვენი იქაური კოლეგების ამ გუნდისადმი ინტერესიც, ცხადია, გაიზარდა. აზერბაიჯანულმა „ექსტრატაიმმა“ ინტერვიუ ჩამოართვა გიორგი დემეტრაძეს, ვინაც ბაქოელებმა დიდი იმედებით შეიძინეს, თუმცა სიმართლე ვთქვათ, დემემ თავი ისე ვერ წარმოაჩინა, როგორც მისგან ელოდნენ...



## მეოთხე მუშკეტერი ძალიან გვაკლია

— წინა ტურში თოვუზში რატომ არ ახლდით გუნდს?

— ყვითელი ბარათების გამო არ შემეძლო თამაში და ამიტომ თბილისში ჩავედი. პასპორტი გამიფუჭდა და გამოსაცვლელი იყო — მეც უქმობის დროს ამ დოკუმენტების მოგვარება ვარჩიე.

— „ყარაბახთან“ კი ერთი ტაიმი ითამაშეთ, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინეთ. რამ შეგიშალათ ხელი იმ მატჩში?

— არ გვიმართლებდა. ვიგებდით, მაგრამ კონცენტრაცია დავკარგეთ და...

— თუმცა დიდად არ გინერვიულიათ ამ მარცხის გამო...

— რა თქმა უნდა, წაგება არავის სიამოვნებს, მაგრამ ეს სათასო მატჩი იყო და ამიტომაც დიდად არ შევწუხებულვართ. ჩვენთვის თავიდანვე ჩემპიონობა იყო უმთავრესი მიზანი.

— არის დღეს აზერბაიჯანში ისეთი გუნდი, რომელსაც კლასით „ბაკის“ გაუთანაბრებთ?

— ფაქტია, რომ ყველას ჩვენ ვჯობივართ, თუმცა ღირსეული კონკურენტებიც გვყავდა — თუნდაც „ინტერი“. მაგრამ მე ყველაზე მეტად „ხაზარი“ მომეწონა.

— მეორე წრეში ძალიან იშვიათად გიწევდათ თამაში. რატომ მოხდა ასე?

— ტრავმები მქონდა და ამის გამო მოსამზადებელი ეტაპი გამიცდა.

— მომავალ სეზონსაც „ბაკიში“ გაატარებთ?

— ალბათ კი. კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს მიმთავრდება და ალბათ დავრჩები კიდეც. თუმცა ჯერ კლუბის ხელმძღვანელობასთან არ მისაუბრია. რამდენიმე დღეში მათ შევხვდები და დაველაპარაკები.

— „ბაკიში“ დარჩენის სურვილს თქვენი ქართველი თანაგუნდელები, ამირან მუჯირი და გიორგი ადამიაც გიძლიერებენ?

— ესეც არ თამაშობს უმნიშვნელო როლს. ადამია მეორე წრის დაწყებამდე შემოგვიერთდა და გუნდი აშკარად გააძლიერა. მისი წარმატებები ორმაგად მიხარია. ისე, კიდევ ერთი ქართველი გვჭირდება — მეოთხე მუშკეტერი გვაკლია...

— ვინმეს გაუწევდით რეკომენდაციას?

— არა, ამ საქმით არ ვარ დაკავებული. გვყავს მწვრთნელი, რომელიც თავად გადაწყვეტს ამ საკითხს. ჩვენს თავკაცს დიდ პატივს ვცემ და იმედია, ერთად კიდევ არაერთ წარმატებას მივაღწევთ.

## აფციაური გინესისთვის დასაჯეს



**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში თორნიკე აფციაურმა წითელი ბარათი მიიღო და ორმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი.

„გაბალას“ ქართველი ნახევარმცველი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევეს.

თავად კლუბი კი ფეხბურთელის ამგვარი საქციელის გამო 2000 მანათით დაჯარიმდა.

ოთარ მხეიძე

## გოგობერიშვილის წერტილი

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის 25-ე ტურში ბაქოს „ოლიმპიკმა“ 6:1 გადაურბინა თანაქალაქელ მოიკ-ს და ერთი ბურთი (ბოლო) ალექსანდრე გოგობერიშვილმა შეაგდო.

გოგობერიშვილმა სრულად ითამაშა, რომან ახალკაცი 59-ე წუთზე შევიდა მოედანზე, „ოლიმპიკის“ კიდევ ერთ ქართველ რევაზ გეწაძეს კი არ უთამაშია.

ოთარ მხეიძე

## თურქეთს საქართველო და კარგი ფეხბურთელი მირჩევნია



**დავით ბოლქვაძის,** კახა ჩხეტიანის, მიხეილ მახვილაძის და გრიგოლ დოლიძის „სიმურგმა“ აზერბაიჯანული ბრინჯაო მოიპოვა და თავის ისტორიაში პირველად ითამაშებს ევროტურნირზე.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტებიც ზაქათალური კლუბის სამომავლო გეგმებით დაინტერესდნენ და, როცა „სიმურგის“ უკრაინელი მწვრთნელისგან, რომან პოკორასგან შეკრების საქართველოში დაგეგმვის თაობაზე შეიტყვეს, ცოტა არ იყოს, გაბრაზდნენ...

„ამჯერადაც იუარეთ შეკრების თურქეთში გავლა. კი მაგრამ, რატომ?“ — ამ კითხვაზე პოკორამ მშვიდად უპასუხა ჩვენს კოლეგებს:

„მირჩევნია, კარგი ფეხბურთელი ვიყიდო, ვიდრე თურქულ შეკრებაში ფული დავხარჯო. მით უმეტეს, საქართველოში, სადაც შეკრებას გავდივართ ხოლმე, კარგი პირობებია“.

შეგახსენებთ, რომ „სიმურგი“ ბოლო წლებია, ზამთარ-ზაფხულ საქართველოში ატარებს შეკრებებს...

კახა ზალამბერიძე



# მჭედლიძის კუნთი იოლად გადარჩა

**იტალიური** „პალერმოს" ქართველ თავდამსხმელ ლევან მჭედლიძეს ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა და რამდენიმედღიანი უქმობა მოუწევს.

როგორც შევიტყვეთ, 18 წლის ფეხბურთელი ხვალიდან განაახლებს ვარჯიშს.

„სერიოზული არაფერია. კარში ვურტყამდი და საყრდენი ფეხი მოშიცურდა, რის გამოც უკანა კუნთი დამეჭიმა. კიდევ კარგი, გადავრჩი" — გვითხრა ლევანმა.

საბედნიეროდ, მჭედლიძე კუნთის გაწყვეტას გადაურჩა, თორემ უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა გამოსაჯანმრთელებლად...

**კახა შალამბერიძე**

# ყენიას ფეხს კბილი მოურჩენს

**დღეს** ლევან ყენია კბილებზე მინი-ოპერაციას გაიკეთებს — გელზენკირხენის „შალკეს" ნახევარმცველს ექიმებმა სიბრძნის კბილების ამოღება ურჩიეს.



არ გაიკვირვოთ და, ექიმები ამით ასკვნიან, რომ 18 წლის ნიჭიერ ფეხბურთელს კუნთების ტკივილი აღარ შეაწუხებს.

მოკლედ, საქმე არცთუ რთულ, თუმცა საინტერესო ამბავთან გვაქვს.

ისე კი, ასეთი უცნაური ოპერაციები გერმანიაში გასაკვირი არც არის — წლების წინ ამ მეთოდმა რამდენიმე სპორტსმენს მოუტანა შვება...

**ოთარ მხეიძე**

# ალადაშვილი ვიზიანია
## მარცვალაძე და იაშვილი კი ზაფხულს ელიან



ომარ თეთრაძე

**მახაჩყალის** „ანჟის" მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძის განცხადებით, კახა ალადაშვილმა რუსეთის ვიზა უკვე აიღო და გუნდთან ერთადაა, ოთარ მარცვალაძის და სანდრო იაშვილის საკითხი კი ჯერ ბოლომდე არ გადაწყვეტილა.

შეგახსენებთ, რომ სეზონის წინ „ანჟიმ" სამი ჩვენიანი — კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და სანდრო იაშვილი გადაიბირა, თუმცა რუსეთმა მათ ვიზები არ მისცა და...

„იაშვილი და მარცვალაძე ჯერაც შინ არიან. კლუბი მათ საბუთებს აგვარებს და ზაფხულისთვის ყველაფერი დასრულდება. მგონი, აღარ არის საჭირო იმის განმარტება, თუ რატომ მოხდა ასე. ეს უკვე ძალიან მოსაწყენი ისტორიაა" — განუცხადა თეთრაძემ „სპორტ-ექსპრესს".

**ოთარ მხეიძე**

# ისეთ ასაკში აღარ ვარ
## მიხეილ აშვეთია: პიკი ლოკომოტივში მქონდა



რუსეთის მეორელიგელი ბარნაულის „დინამოს" თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია არცთუ დიდი ხნის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი იყო. „ფეხბურთელი, რომელიც „ლოკომოტივში", „რუბინში", „ალანიასა" და საქართველოს ნაკრებში თამაშობდა, ახლა ჩვენი გუნდის მოთამაშეა" — ასე იწყებს ინტერვიუს „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი...

**— პირველი კითხვა ლოგიკურია: როგორ აღმოჩნდით ბარნაულის „დინამოში"? ეს ძალიან მოულოდნელი სიახლე იყო...**

— ეს ყველაზე მეტად მწვრთნელის დამსახურებაა. ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო არ რჩებოდა და არ მინდოდა, ისეთ გუნდში მივსულიყავი, რომელსაც არანაირი მიზანი არ ექნებოდა. აი, ასე აღმოჩნდი „დინამოში". ჯერჯერობით ზაფხულამდე და მერე ვნახოთ...

**— მწვრთნელ სერგეი ირომაშვილს აქამდეც იცნობდით?**

— კი, 10 წელია, უკვე.

**— როგორ მოგეწონათ ბარნაული?**

— კარგი ქალაქია, მშვიდი, პატარა, სუფთა...

**— შარშან ბარნაულში „ანჟის" ჩამოჰყევით. დაგამახსოვრდათ ეს ქალაქი?**

— კი, მით უმეტეს, აქ ორი დღე ვიყავით.

**— ჩვენს ქომაგებზე რას იტყვით?**

— მათზე უკვე მითხრეს. იგრძნობა, რომ მათ უყვართ ფეხბურთი, ესმით... საერთოდაც, ტრიბუნებზე მათი რაოდენობის ზრდა ჩვენზეა დამოკიდებული.

**— სეზონის სტარტს როგორ შეაფასებთ?**

— უკეთაც შეგვეძლო. მით უფრო, შინ არ უნდა წაგვეგო... მეტოქე ვერ შევაფასეთ...

**— „დინამო" როგორი გუნდია?**

— კარგი ბიჭები არიან, უმეტესად ახალგაზრდები... მთავარია, რწმენა გაუჩნდეთ, რომ წარმატების მიღწევა შეუძლიათ...

**— ვალერი აბრამიძის გარდა ვინმეს ადრე იცნობდით?**

— არა.

**— არის ბარნაულში ისეთი ადგილები, რომლებიც უკვე დაგამახსოვრდათ?**

— ასეთი ძირითადად ორია: სახლი და ბაზა.

**— გაქვთ რამე კონკრეტული მიზანი ამ სეზონში? მაგალითად, რამდენი გოლის გატანას გეგმავთ...**

— ისეთ ასაკში აღარ ვარ, რომ პირად მიზნებზე ვიფიქრო. ჩემთვის მთავარია, გუნდს დავეხმარო. ახალგაზრდობის წლები უკვე გავიდა და რამდენს გავიტან, ეს გამოჩნდება...

**— საინტერესოა, როგორ მოხვდით დიდ ფეხბურთში...**

— ჩვენთან, საქართველოში, ყველა პატარა თამაშობს ფეხბურთს. მერე მოვხვდი ქუთაისის „ტორპედოში"... საერთოდ, არ მიყვარს ერთ გუნდში დიდხანს გაჩერება, მრავალფეროვნება უფრო მომწონს...

**— სტატისტიკას თუ გადავხედავთ, თბილისის „დინამოში" 1998-99 წლებში 57 მატჩში 49 გოლი გაიტანეთ. ძალიან შედეგიანი სეზონი გქონდათ...**

— მართალია. იქამდე სულ მეორე ვიყავი ბომბარდირებში, იმ სეზონში "კი" საუკეთესო გავხდი.

**— ვინ არის თქვენი კერპი?**

— მსოფლიო ვარსკვლავებს თუ ავიღებთ, მარადონას ფანი ვიყავი ყოველთვის. ისე კი, კარგი ფეხბურთელები ბევრნი არიან: ზიდანი, რონალდო... ძნელია გამორჩევა...

**— თქვენს კარიერაში რომელ პერიოდს მიიჩნევთ საუკეთესოდ?**

— ალბათ მოსკოვის „ლოკომოტივში" მქონდა ასეთი პერიოდი. „ალანიაშიც" კარგად ვთამაშე, თუმცა „ლოკომოტივი" საუკეთესო მგონია. მაშინ ფორმის პიკში ვიყავი, თან რუსეთის ჩემპიონიც გავხდი... ამის მერე კი დაიწყო ტრავმები...

**— და საუკეთესო მატჩი?**

— 2003 წელს დონეცკის „შახტართან". „ინტერთანაც" კარგად ვითამაშე, თუმცა „შახტარის" და ჩვენი შეხვედრა უფრო ფასეული იყო.

**— ახლაც უყურებთ ხოლმე ამ თამაშებს?**

— ხანდახან... განწყობას მიმაღლებს...

**— მართალია, რომ „შახტართან" მატჩის შემდეგ გასახდელში ლეზგინკა იცეკვეთ?**

— კი. იქ მთელი გუნდი ცეკვავდა.

**— საუკეთესო მწვრთნელი, ვისთანაც გიმუშავიათ...**

— რა თქმა უნდა, იური სიომინი. ის საუკეთესო მწვრთნელია რუსეთში.

**— მისი წასვლის შემდეგ „ლოკომოტივის" მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?**

— რა არის აქ შესაფასებელი?! დაშალეს გუნდი. არ შეიძლება, ყოველ ექვს თვეში მწვრთნელის შეცვლა. თუ დანიშნე, მაშინ დროც უნდა მისცე. იმედი მაქვს, ახლა მამინოვი შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას. თუ არა და, სიომინი უნდა დააბრუნონ.

**— უკავშირდებით ხოლმე მას?**

— კიევის „დინამოში" მალხაზ ასათიანი თამაშობს და მისი დახმარებით გუშინ მოკითხვა გადავეცი. ისე კი, მოსკოვში ვხვდებოდი ხოლმე. მას ძალიან დიდ პატივს ვცემ.

**— „ლოკომოტივიდან" ვინმესთან მეგობრობთ?**

— კი, სენნიკოვთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მუჯირიც ჩემი მეგობარია...

**— არ გღომებიათ, რომელიმე ბარნაულში ისტუმროთ?**

— მათ დრო არა აქვთ, სჯობს, მე ჩავალ მოსკოვში...

**— 2006 წელს „რუბინში" იყავით. იფიქრებდით, რომ ორიოდ წელიწადში ეს გუნდი რუსეთის ჩემპიონი გახდებოდა?**

— კი. ყურბან ბერდიევი კარგი მწვრთნელი და კარგი ფსიქოლოგია. „რუბინს" კარგი ინფრასტრუქტურა აქვს და ჩემი აზრით, წლეულსაც იბრძოლებენ ჩემპიონობისთვის. „რუბინი", ცსკა და „ზენიტი" — ამათ ბრძოლაში ალბათ ველარავინ ჩაერევა. წლეულს რუსეთის ჩემპიონატი ძალიან სუსტია...

**— გერმანულ „კარლ ცაისშიც" თამაშობდით. ეს გუნდი კი 1981 წელს თბილისის „დინამომ" თასების თასის ფინალში დაამარცხა. არ ახსენებდით ხოლმე თანაგუნდელებს ამ ამბავს?**

— ვახსენებდი და მაშინვე ბოროტები ხდებოდნენ, ძალიან ბრაზდებოდნენ... საერთოდ, გერმანელებმა წაგება არ იციან...

**— გაიხსენეთ ყველაზე ლამაზი სტადიონი, სადაც გითამაშიათ და ყველაზე ბევრი მაყურებელი...**

— საქართველოს ნაკრებთან ერთად იტალიას რომ შევხვდით, ეროვნული სტადიონი გადაჭედილი იყო. საერთოდ, შინ თამაშს განსაკუთრებული აურა აქვს. სხვა ლამაზ სტადიონებზეც მითამაშია, თუნდაც მოსკოვის „ლოკომოტივზე"...

**— რას უსურვებთ „დინამოს" ქომაგებს?**

— გუნდის უფრო კარგად ათამაშებას!



# ვისთვის როგორ
## კუპერმა სარბიელს უპასუხა

„არასოდეს მითქვამს, რომ სამშაბათის ვარჯიშზე ეროვნული ჩემპიონატის ტურებში გამორჩეულ ფეხბურთელებს მივიწვევდი. მე იმათ ვიწვევ, რომლებიც ნაკრებს კონკრეტულ პოზიციებზე გამოადგება და ჩემს ტაქტიკურ მონახაზში ჩაჯდებიან. ნაკრების ბირთვი უკვე ჩამოყალიბდა, თუმცა შესაძლოა, მასში გარკვეული ცვლილებები კიდევ მოხდეს" — ასეთი კომენტარით უპასუხა ჰექტორ რაულ კუპერმა 11 მაისის „სარბიელში" დაბეჭდილ წერილს, სადაც არგენტინელი სპეციალისტის მიერ „სამშაბათობებისთვის" ერთიდაიგივე შემადგენლობის გამოძახება გავაკრიტიკეთ.

ჩვენ ჩვენი ვთქვით და, ლანარჩენი თქვენთვის მოგვინდვია... მაგრამ როცა კაცი ამბობს, მორჩა, ბირთვი უკვე ნაპოვნიაო, შეკამათების სურვილი ბუნებრივად გვიჩნდება...

თუმცა გემოვნებაცაა და გემოვნებაც — ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო, ხომ გაგიგიათ. კეთილი, იყოს ასე, ჰქონდეს არჩეული ბირთვი, ოღონდ, ემანდ ისე არ გამოვიდეს, კარგი მოვძებნოთ და უკეთესი გამოგვრჩეს...

აქვე იმ სიას გთავაზობთ, გასულ სამშაბათს „მიხეილ მესხზე" რომ ავარჯიშა ჰექტორ რაულ კუპერმა...

*მეკარეები: გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი);*

*მცველები: უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), დავით გიგაური (ვაგრა), გურამ კაშია (დინამო);*

*ნახევარმცველები: ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ცხადაია (ვაგრა);*

*თავდამსხმელები: გიორგი გაბედავა (ვაგრა), ნიკა გელაშვილი (ზესტაფონი).*

ოთარ მხეიძე

# რაპიდი თუ ნალჩიკი?

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე რუმინეთში ჩავიდა და ბუქარესტის „რაპიდში" რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა.

სირაძე უკვე თბილისშია და ახლა ფიქრობს, რა პასუხი გასცეს რუმინელებს.

თუ ის „რაპიდის" ვარიანტს დაიწუნებს, მაშინ თავის ყოფილ კლუბ ნალჩიკის „სპარტაკში" დაბრუნდება, რადგან უკვე რუსებისგანაც მიიღო შემოთავაზება...

ოთარ მხეიძე

# მეორე ლიგა

## აღმოსავლეთი

ლიახვი 5:0 სამგორი
ერთობა 1:0 დუშეთი
ალგეთი 4:2 ნ. დინამო 2
იმედი 0:2 ამერი 2
არაგველები 3:1 35-ე სკოლა
იბსუ 3:0 სპარტაკი 2
ზოოვეტი 1:2 ჰერეთი 2
გარეჯი 0:0 ლოკომოტივი 2
ალაზანი 3:0 ბორჯომი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 28 | 18 | 5 | 5 | 65:29 | 59 |
| იბსუ | 28 | 18 | 2 | 8 | 70:38 | 56 |
| ამერი 2 | 28 | 17 | 4 | 7 | 50:24 | 55 |
| დუშეთი | 28 | 16 | 5 | 7 | 52:30 | 53 |
| სპარტაკი 2 | 28 | 15 | 6 | 7 | 63:33 | 51 |
| გარეჯი | 28 | 15 | 5 | 8 | 46:28 | 50 |
| ლიახვი | 28 | 15 | 4 | 9 | 57:41 | 49 |
| 35-ე სკოლა | 28 | 15 | 4 | 9 | 57:44 | 49 |
| ჰერეთი 2 | 28 | 11 | 4 | 13 | 48:43 | 37 |
| სამგორი | 28 | 10 | 7 | 11 | 56:46 | 37 |
| არაგველები | 28 | 10 | 6 | 12 | 37:40 | 36 |
| ალგეთი | 28 | 10 | 5 | 13 | 40:58 | 35 |
| იმედი (რ) | 28 | 8 | 8 | 12 | 34:51 | 32 |
| ერთობა | 28 | 9 | 3 | 16 | 34:66 | 30 |
| ალაზანი | 28 | 8 | 3 | 17 | 24:43 | 27 |
| ზოოვეტი | 28 | 6 | 6 | 16 | 31:55 | 24 |
| ბორჯომი 2 | 28 | 7 | 1 | 20 | 23:67 | 22 |
| ნ. დინამო 2 | 28 | 3 | 4 | 21 | 20:70 | 13 |

## დასავლეთი

ტორპედო 2 2:2 ბაია 2
ნ. ტორპედო 3:0 მერანი 2 (მ)
მარგვეთი 4:3 იმერეთი
სქური 0:1 ადელი
კოლხეთი 2 1:2 მერცხალი
სამტრედია 2 3:0 ჭიათურა 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 20 | 15 | 5 | 0 | 39:11 | 50 |
| ბაია 2 | 21 | 11 | 6 | 4 | 44:23 | 39 |
| კოლხეთი 2 | 21 | 11 | 2 | 8 | 33:23 | 35 |
| იმერეთი | 20 | 11 | 1 | 8 | 32:26 | 34 |
| მერანი 2 (მ) | 20 | 10 | 4 | 6 | 29:22 | 34 |
| სამტრედია 2 | 21 | 9 | 4 | 8 | 25:22 | 31 |
| მარგვეთი | 20 | 7 | 5 | 8 | 27:35 | 26 |
| გურია 2 | 20 | 7 | 4 | 9 | 33:33 | 25 |
| ადელი | 20 | 7 | 4 | 10 | 29:35 | 25 |
| ნ. ტორპედო | 20 | 7 | 2 | 11 | 23:29 | 23 |
| ტორპედო 2 | 20 | 6 | 4 | 10 | 31:38 | 22 |
| სქური | 20 | 5 | 3 | 12 | 21:34 | 18 |
| ჭიათურა 2 | 20 | 4 | 0 | 16 | 17:52 | 12 |

„ჭიათურა 2" მოხსნილია გათამაშებიდან

# 700 000 ევრო და ოვონო ლე მანში



## ფრანგებს დინამოც დაუმეგობრდება

თბილისის „დინამოს" გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო მომავალი სეზონიდან ფრანგულ „ლე მანში" ითამაშებს.

ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია და ოვონო სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

როგორც შევიტყვეთ, მის სანაცვლოდ „დინამო" დაახლოებით 700 ათას ევროს მიიღებს, რაც ქართულ კვალობაზე საკმაოდ სარფიანი ტრანსფერი გამოდის.

გავრცელებული ხმებით, მალე თავად „დინამოს" ხელმძღვანელობაც გააფორმებს ოფიციალურ ხელშეკრულებას „ლე მანთან" თანამშრომლობის თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში უკვე სამი ქართველი ირიცხება — ექსვაგრელები, მცველი ამირან სანაია და თავდამსხმელი ვახტანგ ფანცხავა და ექსდინამოელი მეკარე გიორგი მაკარიძე. ისინი სარეზერვო შემადგენლობაში თამაშობენ...

კახა შალამბერიძე

# სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

## 1992-93-წლიანები

### I ჯგუფი

ბერმუხა 6:1 მთ. გლობუსი
გედა 3:0 სასკო
XXI საუკუნე-1 5:1 35-ე სკოლა
XXI საუკუნე-3 1:3 განთიადი
მეტალურგი 0:2 ნ. დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| XXI საუკუნე-1 | 17 | 13 | 1 | 3 | 63:27 | 40 |
| განთიადი | 17 | 12 | 3 | 2 | 54:15 | 39 |
| გედა | 17 | 11 | 4 | 2 | 45:13 | 37 |
| ბერმუხა | 16 | 10 | 2 | 4 | 47:23 | 32 |
| ნ. დინამო | 16 | 9 | 2 | 5 | 42:32 | 29 |
| მეტალურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 32:25 | 24 |
| 35-ე სკოლა | 17 | 7 | 0 | 10 | 40:56 | 21 |
| XXI საუკუნე-3 | 17 | 4 | 0 | 13 | 23:46 | 12 |
| სასკო | 17 | 3 | 1 | 13 | 20:45 | 10 |
| მთ. გლობუსი | 17 | 0 | 0 | 17 | 17:101 | 0 |

### II ჯგუფი

სკალდი 0:4 ნ. დინამო
XXI საუკუნე-2 3:0 გეორგია
ოლიმპიკი 0:3 შავნაბადა
თეთრი არწივი — ერთობა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი (რ) | 15 | 13 | 1 | 1 | 54:11 | 40 |
| ნ. დინამო | 15 | 9 | 2 | 4 | 44:16 | 29 |
| ერთობა | 13 | 8 | 2 | 3 | 34:18 | 26 |
| შავნაბადა | 15 | 8 | 2 | 5 | 30:24 | 26 |
| სკალდი | 14 | 7 | 1 | 6 | 23:33 | 22 |
| თეთრი არწივი | 14 | 6 | 1 | 7 | 27:30 | 19 |
| XXI საუკუნე-2 | 15 | 5 | 1 | 9 | 17:29 | 16 |
| გეორგია | 15 | 2 | 3 | 10 | 12:34 | 9 |
| ოლიმპიკი | 16 | 0 | 3 | 13 | 11:57 | 3 |

## 1994-წლიანები

განთიადი 3:0 ლომები
ნ. დინამო-1 4:0 35-ე სკოლა-1
შევარდენი 1:1 ნ. დინამო-2
ავაზა 0:3 35-ე სკოლა-2
იმედი (თბ) 0:5 გედა
აიაქსი 0:3 იმედი (რ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გედა | 21 | 18 | 1 | 2 | 93:19 | 55 |
| განთიადი | 20 | 17 | 1 | 2 | 49:17 | 52 |
| იმედი (რ) | 19 | 16 | 0 | 3 | 51:11 | 48 |
| ნ. დინამო-1 | 20 | 13 | 1 | 6 | 49:29 | 40 |
| ნ. დინამო-2 | 20 | 9 | 5 | 6 | 44:37 | 32 |
| ლომები | 19 | 9 | 3 | 7 | 42:34 | 30 |
| XXI საუკუნე | 19 | 8 | 4 | 7 | 31:31 | 28 |
| შევარდენი (რ) | 19 | 7 | 5 | 7 | 31:28 | 26 |
| ავაზა | 20 | 8 | 1 | 11 | 34:39 | 25 |
| 35-ე სკოლა-1 | 20 | 7 | 0 | 13 | 30:56 | 21 |
| 35-ე სკოლა-2 | 20 | 3 | 0 | 17 | 34:71 | 9 |
| იმედი (თბ) | 20 | 2 | 1 | 17 | 21:75 | 7 |
| აიაქსი | 21 | 1 | 0 | 20 | 7:69 | 3 |

## 1995-წლიანები

მეტეხი-4 5:3 იბერია-ამერი
მეტეხი-3 1:5 35-ე სკოლა
ოლიმპიკი 0:6 ნ. დინამო-1
35-ე სკოლა-2 3:4 ნ. დინამო-2
35-ე სკოლა-1 0:6 ნ. დინამო-3
დიდგორი 3:0 იმედი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 18 | 16 | 2 | 0 | 93:14 | 50 |
| ნ. დინამო-3 | 17 | 15 | 1 | 1 | 83:6 | 46 |
| ოლიმპიკი | 17 | 11 | 0 | 6 | 42:23 | 33 |
| მეტეხი-4 | 17 | 10 | 2 | 5 | 62:42 | 32 |
| იბერია-ამერი | 17 | 10 | 0 | 7 | 54:40 | 30 |
| ნ. დინამო-2 | 17 | 10 | 0 | 7 | 40:40 | 30 |
| იმედი | 17 | 5 | 1 | 11 | 30:66 | 16 |
| 35-ე სკოლა | 17 | 5 | 0 | 12 | 25:74 | 15 |
| მეტეხი-3 | 18 | 4 | 1 | 13 | 31:59 | 13 |
| 35-ე სკოლა-1 | 18 | 3 | 1 | 14 | 30:78 | 10 |
| 35-ე სკოლა-2 | 17 | 2 | 0 | 15 | 17:65 | 6 |

# ახალწვეული უკრაინიდან
## ანტონ პრიხოდკო ზესტაფონში ისინჯება

„ზესტაფონში" ახალი ფეხბურთელი ისინჯება — 20 წლის უკრაინელი ანტონ პრიხოდკო რამდენიმე დღის წინ ჩავიდა იმერეთში და გუნდში ვარჯიშიც დაიწყო.

თუ ის გია გეგუჩაძეს თავს მოაწონებს, კონტრაქტიც გაფორმდება...

ამ ფეხბურთელზე ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია კი ასეთია: თამაში დაიწყო კიევის „ლოკომოტივში", საიდანაც ჯერ კიევის „დინამო 3"-ში გადავიდა, მერე კი „დინამო 2"-ის წევრი გახდა.

უთამაშია უკრაინის 17, 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში.

შარშან „დინამო 2"-დან პოლონურ „ზაგლებიეში" იყო გასინჯვაზე, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა და ჩერკასის „დნეპრში" ამოჰყო თავი.

მოკლედ, საინტერესო ახალგაზრდა ჩანს და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს „ზესტაფონში"...

კახა შალამბერიძე



# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა 31 ტური

### აღმოსავლეთი

**ჰერეთი 2:1 ამერი**

1:0 ნვერავა (13), 1:1 სუხიაშვილი (33), 2:1 ნვერავა (78)
ჰერეთი: ჯალიაშვილი, მაჭარაშვილი, ზ. ფოფხაძე, კ. ნვერავა, ტაკაშვილი, ოქრუაშვილი, ყორღანაშვილი, ტაბატაძე, თანდაშვილი, ყაველაშვილი (ვ. კურტანიძე 68), რეხვიაშვილი (ბ. ფოფხაძე 90)
სათადარიგონი: კ. კურტანიძე, მურმანიშვილი, თაბუკაშვილი
მოთამაშე-მწვრთნელი: კარლო ნვერავა
ამერი: ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე, გვამბია, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, სუხიაშვილი, ტიკურიშვილი (ლაფერაშვილი 80), ბენდელიანი (ი. მოდებაძე 83), დ. ჯანელიძე (ნ. ქებაძე 71), ჩიმაკაძე
სათადარიგონი: გვენცაძე, ცხოვრებაშვილი, მელიქიშვილი, ბოჯგუა
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
გაფრთხილება: ჯალიაშვილი, მაჭარაშვილი
მსაჯი: მ. ურუშაძე

**ჩიხურა 4:0 ნ. დინამო**

1:0 მიქაძე (14), 2:0 კობახიძე (63), 3:0 პეტრიაშვილი (68), 4:0 ტყებუჩავა (73)
ჩიხურა: დოლაძე, დოლონაძე, ბარაბაძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ჭილლაძე, ზ. ნოზაძე (იველიშვილი 73), როგავა (ბ. პეტრიაშვილი 55), მიქაძე (ცნუქიძე 76), ლ. კობახიძე
სათადარიგონი: მწყერაშვილი, ხვედელიძე, ცარციძე, ქამუშაძე
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
ნ. დინამო: აზნიაშვილი, ხიზანიშვილი, გაბრიჩიძე (კამლაძე 46), ჯორჯიკია, ავაქოვი (ჩუთლაშვილი 46), გურაბანიძე, თურმანიძე, მამულაშვილი, მათნაძე, ი. ქავთარაძე, ა. კობახიძე (დაბრუნდაშვილი 46)
სათადარიგო: არავინ
მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე
გაფრთხილება: ჭილლაძე
მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

**დილა 3:0 ვიტ ჯორჯია 2**

1:0, 2:0 ბეგლარიშვილი (9, 77), 3:0 ცერცვაძე (86)
დილა: კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, გ. თარგამაძე, ი. თოდუა, მინდიაშვილი, ქარდავა (ცერცვაძე 54), მაჭავარიანი, ბეგლარიშვილი, ფაილოძე (ფოცხვერია 86), ბარამიძე (ტიელიძე 81)
სათადარიგონი: დგებუაძე, კანდელაკი, დაჩანიძე, გ. მეტრეველი
მწვრთნელი: პაატა მეტრეველი
ვიტ ჯორჯია 2: ლურბელეიშვილი, იოსელიანი (გამრეკელიძე 68), ადამაძე, კახრაძე, ვეკუა, ვასაძე, ფურცელაძე, ზ. დათუნაშვილი, ლანიაშვილი, რისტიაშვილი (ზაქრაძე 46), ცხოვრებაძე (ი. ხვანიძე 68)
სათადარიგონი: ეზიეშვილი, გოგიაშვილი, ხოკერაშვილი, მიხანაშვილი
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი
გაფრთხილება: ბეგლარიშვილი, შარანგია, ბარამიძე, დათუნაშვილი, ლურბელეიშვილი, ცერცვაძე
მსაჯი: ლ. სილაგავა

**გაგრა 2 0:2 დინამო 2**

0:1 მამუჩიშვილი (67), 0:2 ჩადუნელი (74)
გაგრა 2: ა. კოტრიკაძე, ტეტუნაშვილი, სეფიაშვილი, ძაგანია, გედენიძე, კილაძე (დემეტრაშვილი 68), ბაგალიშვილი, თუხარელი, თ. მეტრეველი (ხართანია 46), ოქრიაშვილი, მოსიაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია, მარგიანი, ყოფიანი, ლ. სეთურიძე, ფანცხავა
მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე
დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გუთიაშვილი, გ. ქავთარაძე, ნ. ჯიშკარიანი, მამუჩიშვილი (კოპაძე 78), მამრაში (ზ. ლობჟანიძე 46), ვ. ბოლქვაძე, გ. ჯოხაძე, ზ. ქანთარია (ჩადუნელი 46), ლეკვთაძე
სათადარიგონი: ნადირაძე, პეპელია, ხაზალია, გ. ჩიკვაიძე
მწვრთნელი: დავით პეელიშვილი
მსაჯი: ხ. გაგნიძე

**თბილისი 8:1 კახეთი**

1:0 შუშიაშვილი (11), 2:0 ხოხონიშვილი (14), 3:0 ჯაში (36), 4:0 შუშიაშვილი (44), 5:0 ტორონჯაძე (53), 6:0 სებისკვერაძე (55), 7:0 სარაჯიშვილი (73), 8:0 კორიფაძე (75), 8:1 გენგაშვილი (88)
თბილისი: გედენიძე, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი (კორიფაძე 63), ჭაფოძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, ხოხონიშვილი, კბილცეცხლაშვილი (ტორონჯაძე 46), ზვიადაძე, შუშიაშვილი, ჯაში (ოდიშარია 63)
სათადარიგონი: გიორგობიანი, გოგოხია, ბროლაძე, გუჯარაიძე
მწვრთნელი: გელა გომელაური
კახეთი: კობრიაშვილი, ლ. აბდულაევი, მეგუთნიშვილი, ჭურღულაშვილი, ლებანიძე (ბორჩაშვილი 46), ბერგიშვილი, გენგაშვილი, ხუროშვილი, ნინიკელაშვილი, ტეტიაშვილი
სათადარიგო: ბ. მჭედლიშვილი
მწვრთნელი: ვეფხია ტარულაშვილი
გაფრთხილება: ზვიადაძე, სებისკვერაძე, ლებანიძე
მსაჯი: ზვ. ახკაროლელი

### გადადებული მატჩები

**ნ. დინამო 0:4 გაგრა 2**

0:1 თუხარელი (12), 0:2 მეტრეველი (36), 0:3 ოქრიაშვილი (77), 0:4 აბაშიძე (89)
ნ. დინამო: აზნიაშვილი, ხიზანიშვილი (ავაქოვი 83), კამლაძე (ჯორჯიკია 46), ტოსტიაშვილი, ხვთისავრიშვილი, აფხაზავა, უხუნჭუნაშვილი, მამულაშვილი, მათნაძე (გაბრიჩიძე 70), ლაპარტყავა, გურაბანიძე
სათადარიგონი: ა. კობახიძე, თურმანიძე, ჩუთლაშვილი, ბ. მამარდაშვილი
მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე
გაგრა 2: ა. კოტრიკაძე, ტეტუნაშვილი, სეფიაშვილი (დემეტრაშვილი 75), ძაგანია, გედენიძე, კილაძე, თუხარელი, ოქრიაშვილი, ა. აბაშიძე, თ. მეტრეველი, ბაგალიშვილი (ყოფიანი 65)
სათადარიგონი: დ. მამარდაშვილი, მარგიანი, ჭაავა
მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე
გაფრთხილება: ჯორჯიკია
მსაჯი: ვ. ელიზბარაშვილი

**სიონი 2 2:3 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 29 | 21 | 5 | 3 | 57:15 | 68 |
| ჩიხურა | 28 | 17 | 7 | 4 | 54:21 | 58 |
| დინამო 2 | 28 | 16 | 8 | 4 | 54:24 | 56 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 28 | 16 | 6 | 6 | 43:17 | 54 |
| დილა | 28 | 11 | 8 | 9 | 39:28 | 41 |
| თბილისი | 28 | 12 | 4 | 12 | 52:43 | 40 |
| სიონი 2 | 28 | 8 | 6 | 14 | 34:61 | 30 |
| გაგრა 2 | 29 | 8 | 3 | 18 | 38:57 | 27 |
| ჰერეთი | 28 | 6 | 8 | 14 | 31:54 | 26 |
| ნ. დინამო | 28 | 3 | 7 | 18 | 27:61 | 16 |
| კახეთი | 28 | 3 | 6 | 19 | 19:67 | 15 |

### XXXII ტური

19 მაისი
კახეთი – ჰერეთი
დინამო 2 – ნ. დინამო
ვიტ ჯორჯია 2 – სიონი 2
თბილისი – დილა
გაგრა 2 – ჩიხურა

### დასავლეთი

**ბაია 2:1 კოლხეთი**

1:0 აფაქიძე (61), 2:0 კუტალია (63), 2:1 ლუსტა (90)
ბაია: ზარქუა, ფანია, სიხარულია, გუგუშია, კ. შონია, რაფავა (დ. კუტალია 46), ვართაგავა, წურწუმია, ქირია (ნ. შონია 46), სვირავა, აფაქიძე (ცქონია 75)
სათადარიგონი: ჯალალონია, ქვარცხავა, ჩანგელია, ქაშაკაშვილი
მწვრთნელი: ზაალ ბუკია
კოლხეთი: გ. შენგელია, გაგელია, ცხვიტარია, თურქია, გელაჭეიშვილი, ლუსტა, გოგონაია, გვალია (ვახანია 70), ლემონჯავა (კუკულაძე 83), აბურჯანია, გოგნაძე
სათადარიგონი: ჩემია, გაბუნია, სინაურიძე
მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი
გაფრთხილება: გოგნაძე, კუტალია
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

**მერანი (მ) 2:0 სამტრედია**

1:0 ჩხიკვაძე (16), 2:0 ჩომახიძე (68)
მერანი (მ): ქვილითაია, ჩხიკვაძე, ლომიძე, იობაშვილი, კვიტატიანი, წოწორია, ილურიძე, ჩომახიძე (ო. ტორაძე 86), ჩალაძე (არდაშელია 89), ლ. ტორაძე (დ. თოდუა 68), ციცხვაია
სათადარიგონი: შეროზია, ფარცვანია, ა. ნოზაძე, ძველაია
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
სამტრედია: ი. შენგელია, გოგია, თ. შალიკაშვილი, კირთაძე, ძაგანია, ბაკურაძე (ვ. ტყემალაძე 67), გუბელაძე, ნინუა, ეცადეიშვილი (ბოხუა 75), ჯიქიძე (ბეგოიძე 46), ზ. ხაჭიპერაძე
სათადარიგონი: გიორგაძე, ადეიშვილი, თელია, სტურუა
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი
გაფრთხილება: კირთაძე, იობაშვილი
მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

**მეშახტე 1:0 ზესტაფონი 2**

1:0 გვენეტაძე (78)
მეშახტე: დ. მემარნიშვილი, გოგუა, მაჩალაძე, დონაძე, ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, ი. კუტალია (გ. გვენეტაძე 46), სიჭინავა, გოდერიძე, ლ. ჯოხაძე, ავალიშვილი (ხაბურძანია 90)
სათადარიგონი: თევზაძე, რ. კალანდაძე
მწვრთნელი: დავით გვენეტაძე
ზესტაფონი 2: ძაძამია, ტაბატაძე, ხიხაძე (ა. ლაბაძე 78), ხაჩიძე, კირკიტაძე, ლიბრაძე (ბერუაშვილი 75), არეშიძე, ჯულელი (ი. ხვადაგიანი 71), ჭანკოტაძე, ბერიძე, კენჭოშვილი
სათადარიგონი: მუმლაძე, ვეფხვაძე, კვიკვინია, ჭელიძე
მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე
გაფრთხილება: ხაჩიძე, გვენეტაძე
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

**ჭიათურა 0:1 ტორპედო**

0:1 დანელია (33)
ჭიათურა: ბადურაშვილი, ტატაშიძე (პაპიძე 23), სამხარაძე (თემურ მიშველიძე 71), ბრეგვაძე, ცუცქირიძე, ვაშაძე, თემირ მიშველიძე, შეყილაძე, ასანიძე, სევასტოპულო, ლაშხი
სათადარიგონი: რობაქიძე, იობიძე, აბესაძე, დარბაიძე
მწვრთნელი: დავით იობაშვილი
ტორპედო: კუჭუხიძე, ხარაბაძე, ხარებავა, ჩხარტიშვილი, ჭანკვეტაძე, დანელია, ლომაშვილი, გურული, ბ. ჩხეტიანი (კობერიძე 65), იმედაძე (ზაქარაშვილი 86), ქუთათელაძე (ცაგარეიშვილი 64)
სათადარიგონი: ოდიშარია, კირკიტაძე, ქაშიბაძე, ჩიხლაძე
მწვრთნელი: იასონ ბზიკაძე
გაფრთხილება: ხარებავა, ჭანკვეტაძე, ლაშხი
გაძევება: კობერიძე, ლომაშვილი
მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

**ბათუმი 1:0 ხობი**

1:0 ჯორბენაძე (71)
ბათუმი: კაკალაძე, სამხეიშვილი, ფარტენაძე, თედორაძე, რამიშვილი, გ. გოგიტიძე (დემურაძე 49), ზ. ლობჟანიძე, ზოიძე (ლ. კალანდაძე 49), მ. ჯორბენაძე, გ. გრიგალაშვილი (ბ. მახარაძე 58), ტულუში
სათადარიგონი: მალაზონია, გოგიტაური, მამეიშვილი, თოთლაძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე
ხობი: ჭურლულია, ლ. გოგენია, ა. კვირკველია, გ. გოგენია, ჩაჩიბაია, ჩარგაზია (ბ. ბუკია 68), კ. გოგენია, ფირცხელავა, ჩიტაია (ცობეხია 63), გ. ლომაია, გაგუა
სათადარიგონი: გელაშვილი, ფიფია
მწვრთნელი: ლევან ნოდია
გაფრთხილება: გაგუა, ჩიტაია, კაკალაძე
მსაჯი: გ. დოგრაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 29 | 21 | 2 | 6 | 56:23 | 65 |
| ბაია | 28 | 18 | 6 | 4 | 54:18 | 60 |
| მერანი (მ) | 28 | 18 | 6 | 4 | 44:20 | 60 |
| ტორპედო | 28 | 12 | 3 | 13 | 29:21 | 39 |
| კოლხეთი | 28 | 11 | 6 | 11 | 38:38 | 39 |
| ჭიათურა | 29 | 12 | 2 | 15 | 36:46 | 38 |
| ხობი | 28 | 11 | 3 | 14 | 29:43 | 36 |
| ბათუმი | 28 | 9 | 7 | 12 | 31:40 | 34 |
| გურია | 28 | 9 | 5 | 14 | 35:47 | 32 |
| ზესტაფონი 2 | 28 | 6 | 6 | 16 | 25:41 | 24 |
| მეშახტე | 28 | 3 | 4 | 21 | 17:57 | 13 |

### XXXII ტური

19 მაისი
კოლხეთი – მერანი (მ)
ტორპედო – ხობი
ზესტაფონი 2 – გურია
ბაია – მეშახტე
ჭიათურა – ბათუმი

# ელიტ-ლიგა

### 1992-წლიანები

დინამო 3:1 ქართლი
ამერი 3:0 ამერი-2
35-ე სკოლა 2:3 ავაზა
აკადემია-92 3:1 გარეჯი
ოლიმპიკი 4:0 აკადემია
თბილისი 0:3 ნ. დინამო
იმედი 1:0 შევარდენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 20 | 1 | 1 | 88:11 | 61 |
| ქართლი | 22 | 15 | 5 | 2 | 49:19 | 50 |
| ამერი | 22 | 14 | 4 | 4 | 47:17 | 46 |
| ნ. დინამო | 22 | 13 | 2 | 7 | 49:33 | 41 |
| ავაზა | 22 | 13 | 1 | 8 | 50:35 | 40 |
| 35-ე სკოლა | 22 | 12 | 2 | 8 | 44:27 | 38 |
| ოლიმპიკი | 22 | 9 | 7 | 6 | 35:29 | 34 |
| თბილისი | 22 | 9 | 5 | 8 | 40:33 | 32 |
| იმედი | 22 | 8 | 2 | 12 | 33:47 | 26 |
| გარეჯი | 22 | 6 | 3 | 13 | 26:57 | 21 |
| შევარდენი | 22 | 5 | 5 | 12 | 26:42 | 20 |
| აკადემია-92 | 22 | 5 | 4 | 13 | 24:49 | 19 |
| ამერი-2 | 22 | 3 | 2 | 17 | 22:64 | 11 |
| აკადემია | 22 | 0 | 1 | 21 | 8:78 | 1 |

### 1993-წლიანები

იმედი 1:1 ვეფხვები-2
ვეფხვები 1:2 35-ე სკოლა-2
შევარდენი 6:0 35-ე სკოლა-3
აკადემია-2 0:1 საბურთალო
აკადემია-1 1:1 ოლიმპიკი
ავაზა 2:0 მთ. გლობუსი
ნ. დინამო-1 3:1 35-ე სკოლა-4
ამერი 1:4 35-ე სკოლა-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 23 | 21 | 1 | 1 | 117:12 | 64 |
| აკადემია-1 | 22 | 18 | 1 | 3 | 74:27 | 55 |
| შევარდენი | 23 | 16 | 5 | 2 | 57:21 | 53 |
| ავაზა | 23 | 14 | 3 | 6 | 65:28 | 45 |
| ოლიმპიკი | 23 | 13 | 6 | 4 | 59:25 | 45 |
| 35-ე სკოლა-1 | 21 | 13 | 3 | 5 | 61:29 | 42 |
| საბურთალო | 23 | 12 | 5 | 6 | 49:26 | 41 |
| მთ. გლობუსი | 21 | 8 | 5 | 8 | 48:35 | 29 |
| ნ. დინამო-2 | 22 | 8 | 4 | 10 | 37:41 | 28 |
| 35-ე სკოლა-2 | 24 | 7 | 6 | 11 | 37:60 | 27 |
| ვეფხვები-2 | 23 | 6 | 6 | 11 | 24:34 | 24 |
| ამერი | 22 | 6 | 3 | 13 | 28:53 | 21 |
| აკადემია-2 | 23 | 5 | 3 | 15 | 30:64 | 18 |
| იმედი | 24 | 5 | 3 | 16 | 25:73 | 18 |
| 35-ე სკოლა-4 | 22 | 4 | 4 | 14 | 19:47 | 16 |
| ვეფხვები | 21 | 3 | 2 | 16 | 23:71 | 11 |
| 35-ე სკოლა-3 | 24 | 2 | 2 | 20 | 23:130 | 8 |

### 1994-წლიანები

I ჯგუფი

ავაზა 3:2 საბურთალო
ერთობა 0:1 ლოკომოტივი
35-ე სკოლა-3 3:2 აკადემია-1
ნ. დინამო-1 2:1 აკადემია
ამერი 3:1 ვეფხვები
35-ე სკოლა-1 7:1 თბილისი-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 19 | 17 | 2 | 0 | 91:5 | 53 |
| 35-ე სკოლა-1 | 18 | 16 | 1 | 1 | 63:13 | 49 |
| ნ. დინამო-1 | 20 | 15 | 2 | 3 | 49:12 | 47 |
| ამერი | 20 | 12 | 1 | 7 | 42:26 | 37 |
| საბურთალო | 19 | 11 | 2 | 6 | 60:44 | 35 |
| აკადემია | 20 | 7 | 7 | 6 | 28:30 | 28 |
| თბილისი-2 | 20 | 8 | 2 | 10 | 33:50 | 26 |
| ვეფხვები | 20 | 7 | 5 | 8 | 39:49 | 26 |
| 35-ე სკოლა-3 | 20 | 5 | 2 | 13 | 28:53 | 17 |
| ავაზა | 20 | 4 | 1 | 15 | 24:72 | 13 |
| ერთობა | 20 | 3 | 1 | 16 | 17:49 | 10 |
| აკადემია-1 | 20 | 0 | 0 | 20 | 7:78 | 0 |

II ჯგუფი

იმედი 0:1 ოლიმპიკი
გორი 1:2 აკადემია-94
ამერი-2 0:2 ნ. დინამო-2
თბილისი-1 6:1 ვეფხვები-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 17 | 14 | 1 | 2 | 40:13 | 43 |
| აკადემია-94 | 17 | 13 | 2 | 2 | 43:14 | 41 |
| იმედი | 17 | 12 | 0 | 5 | 50:17 | 36 |
| თბილისი-1 | 17 | 10 | 6 | 1 | 46:15 | 36 |
| ოლიმპიკი | 17 | 8 | 4 | 5 | 28:19 | 28 |
| 35-მეტეხი | 18 | 7 | 1 | 10 | 34:40 | 22 |
| ვეფხვები-2 | 17 | 6 | 4 | 7 | 28:40 | 22 |
| 35-ე სკოლა-2 | 17 | 5 | 0 | 12 | 27:60 | 15 |
| გორი | 17 | 4 | 1 | 12 | 19:39 | 13 |
| ამერი-2 | 17 | 2 | 2 | 13 | 18:41 | 8 |
| ნ. დინამო-2 | 17 | 2 | 1 | 14 | 14:49 | 7 |

### 1995-წლიანები

აკადემია-95 2:1 ჰერეთი
35-ე სკოლა-2 0:5 ნ. დინამო
35-ე სკოლა-1 3:5 საბურთალო
ავაზა-1 0:3 35-ე სკოლა-3
აკადემია-1 1:0 ავაზა-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 18 | 16 | 0 | 2 | 76:6 | 48 |
| აკადემია-95 | 18 | 13 | 1 | 4 | 58:16 | 40 |
| აკადემია-1 | 18 | 12 | 1 | 5 | 31:14 | 37 |
| ავაზა-2 | 18 | 11 | 0 | 7 | 41:33 | 33 |
| საბურთალო | 18 | 9 | 3 | 6 | 53:40 | 30 |
| ჰერეთი | 18 | 9 | 3 | 6 | 35:34 | 30 |
| 35-ე სკოლა-1 | 18 | 7 | 1 | 10 | 47:48 | 22 |
| ავაზა-1 | 18 | 3 | 0 | 15 | 18:48 | 9 |
| 35-ე სკოლა-3 | 18 | 2 | 2 | 14 | 26:80 | 8 |
| 35-ე სკოლა-2 | 18 | 2 | 1 | 15 | 14:80 | 7 |

### 1996-წლიანები

იმედი 6:8 საბურთალო
ოლიმპი 3:4 ჩემპიონი
ვეფხვები-1 6:1 ვეფხვები-2
ოლიმპიკი 0:0 ამერი
ლოკომოტივი 1:2 35-ე სკოლა
აკადემია-2 0:8 გორი
ნ. დინამო-2 1:2 შევარდენი
აკადემია-1 2:2 თბილისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 22 | 19 | 2 | 1 | 80:21 | 59 |
| 35-ე სკოლა | 23 | 17 | 6 | 0 | 87:19 | 57 |
| ჩემპიონი | 22 | 16 | 3 | 3 | 87:37 | 51 |
| ოლიმპიკი | 24 | 14 | 5 | 5 | 57:25 | 47 |
| ოლიმპი | 24 | 14 | 3 | 7 | 71:24 | 45 |
| აკადემია-1 | 24 | 12 | 6 | 6 | 63:41 | 42 |
| ამერი | 24 | 11 | 6 | 7 | 52:52 | 39 |
| თბილისი | 21 | 11 | 3 | 7 | 48:34 | 36 |
| შევარდენი | 23 | 10 | 5 | 8 | 44:31 | 35 |
| ვეფხვები-1 | 24 | 10 | 4 | 10 | 67:41 | 34 |
| ნ. დინამო-1 | 23 | 9 | 6 | 8 | 79:59 | 33 |
| აკადემია-2 | 24 | 5 | 5 | 14 | 41:72 | 20 |
| იმედი | 23 | 6 | 0 | 17 | 43:72 | 18 |
| საბურთალო | 23 | 5 | 3 | 15 | 46:99 | 18 |
| ლოკომოტივი | 24 | 4 | 5 | 15 | 42:69 | 17 |
| ვეფხვები-2 | 24 | 2 | 0 | 22 | 13:133 | 6 |
| ნ. დინამო-2 | 24 | 1 | 2 | 21 | 37:128 | 5 |

### 1997-წლიანები

ლოკომოტივი 8:0 35-ე სკოლა-1
ამერი 0:2 იმედი
ნ. დინამო-1 4:1 საბურთალო

გადადებული მატჩები

ავაზა 3:2 ლოკომოტივი
საბურთალო 1:4 ნ. დინამო-3
იმედი 2:0 35-ე სკოლა-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი-1 | 18 | 17 | 0 | 1 | 91:20 | 51 |
| 35-ე სკოლა-2 | 18 | 12 | 3 | 3 | 52:19 | 39 |
| ლოკომოტივი | 20 | 11 | 3 | 6 | 69:36 | 36 |
| იმედი (თბ) | 19 | 11 | 3 | 5 | 46:30 | 36 |
| ნ. დინამო-1 | 20 | 11 | 2 | 7 | 65:54 | 35 |
| ავაზა | 19 | 10 | 4 | 5 | 38:30 | 34 |
| თბილისი-2 | 18 | 7 | 4 | 7 | 44:42 | 25 |
| საბურთალო | 19 | 7 | 1 | 11 | 44:51 | 22 |
| 35-ე სკოლა-1 | 19 | 7 | 1 | 11 | 35:66 | 22 |
| აკადემია | 19 | 6 | 3 | 10 | 37:42 | 21 |
| ნ. დინამო-3 | 18 | 4 | 2 | 12 | 33:41 | 14 |
| ამერი | 20 | 3 | 3 | 14 | 19:76 | 12 |
| ნ. დინამო-2 | 19 | 2 | 1 | 16 | 30:96 | 7 |

### 1998-წლიანები

შევარდენი 2:2 ნ. დინამო-3
ლოკომოტივი 3:2 ავაზა
ნ. დინამო-1 0:3 ამერი
გორი 3:0 ნ. დინამო-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 16 | 12 | 1 | 3 | 58:25 | 37 |
| გორი | 16 | 11 | 3 | 2 | 44:23 | 36 |
| ავაზა | 16 | 9 | 0 | 7 | 47:34 | 27 |
| ნ. დინამო-1 | 16 | 7 | 4 | 5 | 34:31 | 25 |
| აკადემია | 16 | 7 | 2 | 7 | 30:28 | 23 |
| შევარდენი | 16 | 7 | 2 | 7 | 34:34 | 23 |
| ნ. დინამო-3 | 16 | 6 | 2 | 8 | 33:46 | 20 |
| ამერი | 16 | 5 | 1 | 10 | 34:43 | 16 |
| ნ. დინამო-2 | 16 | 0 | 1 | 15 | 3:53 | 1 |

სუმო

# სამაისო ბაშოს ქართული იორიკირები და ოშიდაშები

*ქართველი რიკიშები: ლევან ცაგურია (კოკაი) და ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) მაისის ბაშოზე ურიგოდ არ გამოდიან და ორთავეს დადებითი ბალანსი აქვთ. ეს მით უფრო გასახარია, რომ წინა ბაშო ორთავემ ჩააგდო. შეჯიბრის მე-6 დღეს კოკაი და ტოჩინოშინი ერთმანეთსაც შეხვდნენ, რაც ამათი მესამე პაექრობა იყო. ამჯერად კოკაიმ გაიმარჯვა, იქამდე კი თითოჯერ ჰყავდათ ერთმანეთი დოჰიოდან გადაგდებული...*

1 დღე

| | |
|---|---|
| კოკაიმ დაამარცხა ბუსუიამა (დასავლეთის მე-15 მაეგაშირა) | იორიკირი |
| ტოჩინოშინიმ დაამარცხა სიოტენრაო (აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირა) | შიტატენაგე |

2 დღე

| | |
|---|---|
| კოკაი დამარცხდა კაკიძიესთან (დასავლეკთის მე-14 მაეგაშირა) | ოშიდაში |
| ტოჩინოშინიმ დაამარცხა დუჯიმა (დასავლეთის მე-12 მაეგაშირა) | იორიკირი |

3 დღე

| | |
|---|---|
| კოკაიმ დაამარცხდა კიმურაიამა (ალმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა) | ოშიდაში |
| ტოჩინოშინი დამარცხდა ჰუკოტორიკისთან (ალმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა) | ჰოკიოტოში |

4 დღე

| | |
|---|---|
| კოკაი დამარცხდა ჰუკატორიკისთან (ალმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა) | იორიკირი |
| ტოჩინოშინიმ დაამარცხდა ბუსუიამა (დასავლეთის მე-15 მაეგაშირა) | იორიკირი |

5 დღე

| | |
|---|---|
| კოკაიმ დაამარცხა კიტატაიკი (დასავლეთის მე-3 ძურიო) | იორიკირი |
| ტოჩინოშინიმ დაამარცხდა ტოიოჰიბიკი (დასავლეთის მე-11 მაეგაშირა) | იორიკირი |

6 დღე

| | |
|---|---|
| კოკაიმ დაამარცხდა ტოჩინოშინი | იორიკირი |

7 დღე

| | |
|---|---|
| კოკაი დამარცხდა მიაიბიაიმასთან (ალმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა) | ჰატაკიკომი |
| ტოჩინოშინიმ დამარცხდა ტაკამისაკარისთან (ალმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა) | კირიკაეში |

8 დღე

| | |
|---|---|
| კოკაი დამარცხდა ტაკამისაკარი (ალმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა) | იორიკირი |
| ტოჩინოშინიმ დამარცხდა კაკიძოე (დასავლეთის მე-14 მაეგაშირა) | იორიკირი |

## მიმდინარე მდგომარეობა მაისის ბაშოზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაკუჰო (იოკოძუნა) | 8-0 | კოკაი (14 მაეგაშირა) | 5-3 | კიოკუტენჰო (2 მაეგაშირა) | 3-5 |
| ჰარუმაფუძი (ოძეკი) | 8-0 | სიოტენრო (15 მაეგაშირა) | 5-3 | ასასეკირიუ (7 მაეგაშირა) | 3-5 |
| ასასიორიუ (იოკოძუნა) | 7-1 | გოეიდო (სეკივაკე) | 4-4 | ბუსუიამა (15 მაეგაშირა) | 3-5 |
| კაიო (ოძეკი) | 7-1 | ტოკიტენკუ (9 მაეგაშირა) | 4-4 | ტოჩიოძანი (კომუსუბი) | 2-6 |
| კისენოშატო (4 მაეგაშირა) | 7-1 | იამამოტოიამა (9 მაეგაშირა) | 4-4 | ტამანოშიმა (3 მაეგაშირა) | 2-6 |
| ტაკამისაკარი (12 მაეგაშირა) | 6-2 | ტოჩინონადა (5 მაეგაშირა) | 4-4 | ტოიონოშიმა (3 მაეგაშირა) | 2-6 |
| კოტოოსიუ (ოძეკი) | 5-3 | ივაკიაიმა (8 მაეგაშირა) | 4-4 | იოსიკაძე (5 მაეგაშირა) | 2-6 |
| კოტომიცუკი (ოძეკი) | 6-2 | ტამავასი (8 მაეგაშირა) | 4-4 | კიმურაიამა (16 მაეგაშირა) | 2-6 |
| კოტოსიოგიკუ (6 მაეგაშირა) | 6-2 | ალანი (4 მაეგაშირა) | 3-5 | ამინისიკი (1 მაეგაშირა) | 2-6 |
| ტოიოჰიბიკი (11 მაეგაშირა) | 6-2 | ფუტენო (10 მაეგაშირა) | 3-5 | ტიეჰაკუჰო (6 მაეგაშირა) | 2-3 |
| ტეიტეკაიაი (ოძეკი) | 5-3 | დეჯიმა (12 მაეგაშირა) | 3-5 | ტრავმა | |
| მიაიბიაიჩა (11 მაეგაშირა) | 5-3 | ჰოკუტორიკი (13 მაეგაშირა) | 3-5 | სიმოტორი (10 მაეგაშირა) | 1-7 |
| კაკიძოე (14 მაეგაშირა) | 5-3 | ბალტი (სეკივაკე) | 3-5 | ჰიმასიო (1 მაეგაშირა) | 0-8 |
| ტოჩინოშინი (13 მაეგაშირა) | 5-3 | კაკურიუ (კომუსუბი) | 3-5 | ტაკეკაძე (2 მაეგაშირა) | 0-8 |



**კირიკაეში** — კონტრილეთია. მეტოქის მუხლის საკუთარზე წამოგებით უკნიდან გადაგდება



**ჰატაკიკომი** — მეტოქის დოჰიოდან გადაგდება დაბალი პოზიციიდან ხელების მკვეთრი დარტყმით



**ჰიკიოტოში** — მეტოქის ხელის ან მხრის საკუთარ მხარეს მოქაჩვით გადაგდება



**შიტატენაგე** — მეტოქის დაბალი პოზიციიდან გადაგდება



**იორიკირი** — მეტოქის ძალისმიერი მიწოლით გადაყვანა ყოჰიოდან. ყველაზე გავრცელებული ილეთი სუმოში.



**ოშიდაში** — მეტოქის გადააგდება მკერდში ხელის გულების ძლიერი დარტყმებით;

პლაჟის ფრენბურთი



# გეორ-გიამ რეიტინგი იწყინა

**რომში** მსოფლიო ტურის ერთ-ერთი ეტაპი ჩატარდა პლაჟის ფრენბურთში, რომელშიც ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა, რენატო გომეშმა (გეორ) და ჟორჟე ტერშეირომ (გია) მიიღეს მონაწილეობა.

გეორ-გია ტურნირის ორგანიზატორებმა 23-ე ნომრად განთესეს, მაგრამ რენატო და ჟორჟი გვარიანად წინ წავიდნენ.

შეჯიბრის პირველ დღეს მათ ორი მატჩი ჩაატარეს და ორივე მოიგეს. უფრო სწორად, პირველ მატჩში ჩვენებს გამარჯვება უბრძოლველად ერგოთ, რაკი მე-10 რეიტინგის მქონე იტალიური წყვილიდან ერთმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო და იტალიელებმაც თამაშზე უარი თქვეს.

მეორე შეხვედრაში გეორ-გიამ მე-7 ნომრად განთესილ ჩეხებს მოუგო 2:0 (21:14 21:14). შეჯიბრის მეორე დღეს კი ქართველ-ბრაზილიელებმა ერთი მატჩი მოიგეს და ერთიც — დათმეს.

მე-2 რეიტინგის მქონე ბრაზილიელებმა კუნიამ და პედრომ გეორ-გიას 2:0 (21:18 21:16) მოუგეს, რის მერეც ჩვენებმა შვეიცარიელები დაამარცხეს 2:0 (21:16 21:15).

ამ გამარჯვებით გეორ-გიამ 16 საუკეთესოს შორის დაიბევა ადგილი.

მერვედფინალში გეორ-გიას მეტოქე გერმანული წყვილი იყო (მე-8 რეიტინგი) და ჩვენებმა 2:0 (21:16 23:21) მოიგეს. ამის მერე კი რენატო და ჟორჟი სხვა გერმანელებთან (მე-4 რეიტინგი) 0:2 (18:21 18:21) წააგეს.

საბოლოოდ ჩვენებმა მეხუთე-მეექვსე ადგილი დაიკავეს და 9 100 დოლარიც ჩაიჯიბეს.

ცურვა

# ოლიმპიური ჩემპიონი დაქორწინ-დაორსულდა

**ცურვაში** ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი ამანდა ბერდი ფეხმძიმედაა.

ბერდმა 1 მაისს გადაიხადა ქორწილი — ფოტოგრაფ საშა ბრაუნს გაჰყვა ცოლად, ახლა კი აღმოაჩინა, რომ მალე დედა გახდება.

„სექტემბერში ვიმშობიარებ და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ბავშვისთვის დიდი დრო არც დამრჩება, რადგან 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ინტენსიური მზადება უნდა დავიწყო" — განუცხადა პირ და ტანმშვენიერმა ამანდამ ჟურნალისტებს.

ამერიკული ყვითელი პრესის ცნობით, ბერდისა და ბრაუნის ქორწინებამ უჩვეულო ალაგას — ზღვის ნაპირზე ჩაიარა და სტუმარ-მასპინძლები შილიფად ჩაცმულები ფეხშიშველა დაბოტებდნენ ქვიშაზე...

ფოტოდანაც შენიშნავთ, რომ ამანდა შალიფად ჩაცმის მოყვარულია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| ქულები | | თ. | ქულა | % |
|---|---|---|---|---|
| გიორგი მარკოიშვილი | თსუ | 22 | 479 | 21,71 |
| კახა შენგელია | შსს | 12 | 218 | 18,17 |
| ლაშა კეშელავა | ბათუმი | 18 | 311 | 17,28 |
| შიო ხეცურიანი | თსუ | 20 | 345 | 17,25 |
| მიხეილ ბერიშვილი | სსაუ | 10 | 164 | 16,40 |
| ბექა წივწივაძე | სსაუ | 22 | 347 | 15,77 |
| რიჩარდ მათიაშვილი | ავია | 20 | 309 | 15,45 |
| ლუკა შანიძე | თსუ | 21 | 321 | 15,29 |
| გიორგი ჯანგველაძე | მაკაბი | 13 | 196 | 15,08 |
| კოტე ტულუში | ენერჯი | 21 | 313 | 14,90 |

| 3-ქულიანები | | თ. | ჩაგდება | % |
|---|---|---|---|---|
| დავით არწივაძე | ენერჯი | 20 | 18 | 47,37 |
| კოტე ტულუში | ენერჯი | 21 | 43 | 45,74 |
| გოგი ნანიტაშვილი | დინამო | 17 | 27 | 42,19 |
| ლევან ტყეშელაშვილი | სსაუ | 23 | 33 | 40,74 |
| გიორგი მარკოიშვილი | თსუ | 22 | 80 | 40,00 |
| გიორგი პირველაშვილი | ავია | 22 | 14 | 40,00 |
| გიორგი მარხვაშვილი | სსაუ | 20 | 48 | 38,40 |
| ტაირ ბაზშიევი | ნტდ | 18 | 31 | 38,27 |
| ირაკლი ბერიშვილი | ავია | 22 | 52 | 38,24 |
| დავით ბერიშვილი | თსუ | 19 | 34 | 37,78 |

| 2-ქულიანები | | თ. | ჩაგდება | % |
|---|---|---|---|---|
| გიგი ბარბაქაძე | თსუ | 22 | 73 | 67,59 |
| დავით უგრეხელიძე | ენერჯი | 23 | 102 | 67,11 |
| შიო ხეცურიანი | თსუ | 20 | 119 | 63,64 |
| ყოლივეტ ტუჯანი | ენერჯი | 23 | 68 | 61,26 |
| ლუკა შანიძე | თსუ | 21 | 100 | 60,98 |
| ლაშა კეშელავა | ბათუმი | 18 | 58 | 59,18 |
| ბესიკ ლეჟავა | ენერჯი | 22 | 58 | 58,59 |
| გიორგი ყველაშვილი | თსუ | 22 | 58 | 56,86 |
| გულივერ ახალკაცი | თსუ | 21 | 63 | 56,25 |
| რიჩარდ მათიაშვილი | ავია | 20 | 126 | 56,16 |

| საჯარიმოები | | თ. | ჩაგდება | % |
|---|---|---|---|---|
| ირაკლი ბერიშვილი | ავია | 22 | 68 | 21,71 |
| ლაშა კეშელავა | ბათუმი | 18 | 45 | 21,71 |
| მიხეილ ბერიშვილი | სსაუ | 10 | 40 | 21,71 |
| კოტე ტულუში | ენერჯი | 21 | 72 | 21,71 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | ავია | 18 | 51 | 21,71 |
| დავით ბერიშვილი | თსუ | 19 | 57 | 21,71 |
| ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 18 | 38 | 21,71 |
| გიორგი ნიკოლაძე | ავია | 19 | 44 | 21,71 |
| ბექა წივწივაძე | სსაუ | 22 | 74 | 21,71 |
| ზაურ ფაშაევი | ნტდ | 18 | 43 | 21,71 |

| მოხსნა | | თ. | მ. | საშ. |
|---|---|---|---|---|
| კახა შენგელია | შსს | 12 | 137 | 11,42 |
| ილია ლონდარიძე | მაკაბი | 16 | 158 | 9,88 |
| რევაზ ათანელიშვილი | სსაუ | 23 | 220 | 9,57 |
| რიჩარდ მათიაშვილი | ავია | 20 | 168 | 8,40 |
| მამუკა ბოლქვაძე | ბათუმი | 18 | 151 | 8,39 |
| მიხეილ ბერიშვილი | სსაუ | 10 | 82 | 8,20 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | ავია | 18 | 147 | 8,17 |
| ზურაბ ბიბილური | მაკაბი | 13 | 96 | 7,38 |
| პლასიდე როდუმტა | ნტდ | 13 | 96 | 7,38 |
| ლაშა კეშელავა | ბათუმი | 18 | 120 | 6,67 |

| ჩაჭრა | | თ. | ჩ. | საშ. |
|---|---|---|---|---|
| ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 17 | 46 | 2,71 |
| ზაურ ფაშაევი | ნტდ | 18 | 45 | 2,50 |
| მიხეილ ბერიშვილი | სსაუ | 10 | 24 | 2,40 |
| შიო ხეცურიანი | თსუ | 20 | 46 | 2,30 |
| ირაკლი ბერიშვილი | ავია | 22 | 50 | 2,27 |
| ვასილ ბერუაშვილი | შსს | 15 | 34 | 2,17 |
| დავით ბარბაქაძე | თსუ | 18 | 39 | 2,06 |
| ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 18 | 37 | 1,95 |
| ბექა წივწივაძე | სსაუ | 22 | 43 | 1,91 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 22 | 42 | 1,85 |

| პასი | | თ. | პ. | საშ. |
|---|---|---|---|---|
| გიორგი გამყრელიძე | ენერჯი | 21 | 124 | 5,90 |
| ბექა წივწივაძე | სსაუ | 22 | 125 | 5,68 |
| შიო ხეცურიანი | თსუ | 20 | 107 | 5,35 |
| ირაკლი ბერიშვილი | ავია | 22 | 116 | 5,27 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 22 | 106 | 4,82 |
| ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 17 | 74 | 4,35 |
| დავით ბერიშვილი | თსუ | 19 | 77 | 4,05 |
| კოტე ტულუში | ენერჯი | 21 | 85 | 4,05 |
| ზაურ ფაშაევი | ნტდ | 18 | 72 | 4,00 |
| მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 15 | 52 | 3,47 |




# აი, ენერჯის ენერგია!

რუსთაველმა „ენერჯიმ" ისე იოლად დაამარცხა აგრარული უნივერსიტეტის გუნდი, თითქოს, საქართველოს ჩემპიონატის ფინალი კი არა, ვარჯიში ყოფილიყო. 45, 34 და 21 — ამ სხვაობებით დაამარცხა „ენერჯიმ" მეტოქე და ეს რიცხვები ზემოთ ნათქვამის ნათელი დადასტურებაა.

ამგვარად, რუსთაველები მიჯრით მესამედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები!

მესამე ადგილი კი შარშანდელმა ფინალისტმა „ავიამ" დაისაკუთრა თსუ-ს ძლევით — 101:82.

### საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. სამ მოგებამდე

13 მაისი. I მატჩი
**ენერჯი 104:59 სსაუ**
26:8 23:19 29:20 26:12

**ენერჯი:** გამყრელიძე (11), ბაბიაშვილი (19), ლეჟავა (11), ტულუში (14), უგრეხელიძე (14), მაჭავარიანი (2), დიდია (9), ცეკვავა (10), არწივაძე (9), ხმელიძე, ტუჯანი (2), ჭოჭუა (5)
**მწვრთნელი:** დავით უსტიაშვილი
**სსაუ:** გულისაბედაშვილი (9), მ. ბერიშვილი (9), მარხვაშვილი (14), წივწივაძე (3), ათანელიშვილი (2), ყველაშვილი (9), ბარბაქაძე (6), გასიტაშვილი, ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (3), გვიმრაძე, ჩაჩიბაია (4)
**მწვრთნელი:** მიხეილ კობეშავიძე
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

14 მაისი. II მატჩი
**ენერჯი 104:70 სსაუ**
26:15 31:12 28:24 19:19

**ენერჯი:** გამყრელიძე (21), ბაბიაშვილი (17 ქულა, 11 მოხსნა), ლეჟავა (19), ტულუში (13), უგრეხელიძე (10), დვალიშვილი (4), დიდია (10), ცეკვავა (3), არწივაძე (3), აბაიშვილი, ტუჯანი (2), ჭოჭუა (2)
**მწვრთნელი:** დავით უსტიაშვილი
**სსაუ:** მ. ბერიშვილი (16), მარხვაშვილი (3), ტყეშელაშვილი, წივწივაძე (14), ათანელიშვილი (11), ყველაშვილი (13), ბარბაქაძე (5), გასიტაშვილი, ბოქოლიშვილი, ჩაჩიბაია (4), გულისაბედაშვილი (5)
**მწვრთნელი:** მიხეილ კობეშავიძე
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

16 მაისი. III მატჩი
**სსაუ 68:89 ენერჯი**
19:17 16:17 14:30 19:25

**სსაუ:** მ. ბერიშვილი (12), მარხვაშვილი (12), წივწივაძე (11), ათანელიშვილი (6), ჩაჩიბაია (4), ყველაშვილი (13), ბარბაქაძე (3), ყველაშვილი (9), გასიტაშვილი, ბოქოლიშვილი, გულისაბედაშვილი (9), თვაური (2), ცერცვაძე
**მწვრთნელი:** მიხეილ კობეშავიძე
**ენერჯი:** გამყრელიძე (23), ბაბიაშვილი (3), ლეჟავა (13), ტულუში (19), ტუჯანი (8 ქულა, 12 მოხსნა), უგრეხელიძე (12), დვალიშვილი (2), დიდია (1), ცეკვავა (3), არწივაძე (5), ხმელიძე, ჭოჭუა
**მწვრთნელი:** დავით უსტიაშვილი
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

# ფაჩულია თვალის გადავლებით

**ზაზა ფაჩულიასთვის** სეზონი დამთავრდა. რა იქნება მომდევნო სეზონში ჯერ უცნობია, რაკი ზაზას „ატლანტასთან" კონტრაქტის ვადა გასდის. ახლა ასეა: კლუბმა ქართველ ფორვარდს კონტრაქტის გახანგრძლივება 1 ივლისამდე უნდა შესთავაზოს და თუ ასე არ მოხდა, ფაჩულიას ნებისმიერ სხვა გუნდთან მოლაპარაკების დაწყება შეეძლება.

და რაკი ზაზასთვის სეზონი დამთავრდა, ურიგო არ უნდა იყოს, მის ამერიკულ კარიერას სრულად გადავავლოთ თვალი.




მწვრთნელ მაიკ ვუდსონის ზაზას დასატოვებლად ვადა 1 ივლისამდე აქვს

### საშუალო მაჩვენებლები

| სეზონი | გუნდი | მატჩი | წუთი | მოხსნა | პასი | ჯარიმა | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2003-04 | ორლანდო | 59 | 11:18 | 3,0 | 0,2 | 1,5 | 3,3 |
| 2004-05 | მილუოკი | 74 | 18:53 | 5,1 | 0,8 | 2,2 | 6,2 |
| 2005-06 | ატლანტა | 78 | 31:23 | 7,9 | 1,7 | 1,5 | 11,7 |
| 2006-07 | ატლანტა | 72 | 28:06 | 6,9 | 1,5 | 1,5 | 12,2 |
| 2007-08 | ატლანტა | 62 | 15:11 | 4,0 | 0,6 | 1,5 | 5,2 |
| 2008-09 | ატლანტა | 77 | 19:06 | 5,7 | 0,7 | 1,5 | 6,3 |
| **ჯამში** | | **422** | **21:11** | **5,6** | **1,0** | **1,5** | **7,7** |

### აბსოლუტური მაჩვენებლები

| სეზონი | გუნდი | მატჩი | წუთი | მოხსნა | პასი | ჯარიმა | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2003-04 | ორლანდო | 59 | 664 | 174 | 13 | 87 | 194 |
| 2004-05 | მილუოკი | 74 | 1397 | 378 | 60 | 166 | 458 |
| 2005-06 | ატლანტა | 78 | 2452 | 613 | 129 | 286 | 911 |
| 2006-07 | ატლანტა | 72 | 2026 | 500 | 106 | 267 | 875 |
| 2007-08 | ატლანტა | 62 | 944 | 248 | 36 | 140 | 322 |
| 2008-09 | ატლანტა | 77 | 1473 | 436 | 57 | 208 | 481 |
| **ჯამში** | | **422** | **8955** | **2349** | **401** | **1154** | **3241** |

# ფრთხილად: 131 კილოგრამი ბავშვის წინააღმდეგ!

## ლებრონ ჯეიმსი: ატლანტა? სულაც არ გვიხარია



**კარმელო ენტონის კარგმა გარჯამ „დენვერი“ კონფერენციის ფინალში გაიყვანა**

**კონფერენციათა ნახევარფინალი**

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი 90:95 ორლანდო**
**ბოსტონი 112:94 ორლანდო**
**ორლანდო 117:96 ბოსტონი**
**ორლანდო 94:95 ბოსტონი**
**ბოსტონი 92:88 ორლანდო**
**ორლანდო 83:75 ბოსტონი**
**ბოსტონი — ორლანდო**

*დღეს გაიმართება*
*სერიაში 3:3*

„ორლანდოსთან“ მეოთხე მატჩის დასრულებისთანავე მცირე ინციდენტი მოხდა. ბოსტონელთა ფორვარდმა გლენ დევისმა გამარჯვების ბურთი ბოლო წამებზე ჩააგდო და „სელტიკსმა“ ერთი ქულით გაიმარჯვა. რა გასაკვირია, რომ დევისი სიხარულით ცას ეწია, სათადარიგოთა სკამისკენ გაიქცა და თანაგუნდელებთან ხვევნა-კოცნა ატეხა.

ისე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, რომ გზად 12 წლის ბიჭს დაეჯახება. გლენ დევისი 131 კილოს იწონის.

ბიჭს ბევრიც არაფერი დაშავებია, მაგრამ მამამისი გაგიჟებულა და ნბა-ს მესვეურთათვის წერილი მიუწერია, დევისმა ბოდიში მოიხადოსო.

კალათბურთელმაც განაცხადა, თუ ვინმეს უნებლიედ ტკივილი მივაყენე, ცხადია, ვინანიებო.

ჯამში კი ნბა-ს ჩემპიონ „ბოსტონსა“ და ორლანდოს“ შვიდი მატჩი დასჭირდათ და ეს მეშვიდე მატჩი დღეს გაიმართება.

**კლივლენდი 99:72 ატლანტა**
**კლივლენდი 105:85 ატლანტა**
**ატლანტა 82:97 კლივლენდი**
**ატლანტა 74:84 კლივლენდი**

*სერიაში 4:0 კლივლენდის სასარგებლოდ*

„კლივლენდს“ ოთხი მატჩი ეყო „ატლანტას“ დასამარცხებლად და შეგახსენებთ, რომ წინა ეტაპზეც ასევე ოთხ მატჩში სძლია „დეტროიტს“.

გადამწყვეტი შეხვედრის მოგების მერე კლივლენდელთა ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა მიამიტურად იკითხა, რატომ უნდა გამიხარდეს „ატლანტას“ დამარცხებაო? პასუხიც თავად გასცა: ჩვენი მიზანი ნბა-ს ჩემპიონობაა და კონფერენციის ნახევარფინალის მოგება სულაც არ არის წარმატებაო.

ამ მატჩში ზაზა ფაჩულიამ დიდად ვერ გამოიჩინა თავი. მისი შედეგები ასეთია: 26,25 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 5 პერსონალური ჯარიმა.

ნამატევს ატლანტელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა დაიჩივლა, ტრავმებმა მეტისმეტად შეგვაწუხა და ამიტომ ვერ გავუწიეთ სათანადო წინააღმდეგობა მეტოქესო. მწვრთნელმა ჯო ჯონსონის, ელ ჰორფორდის და მარვინ უილიამსის არყოფნა იგულისხმა.

**დასავლეთი**

**დენვერი 109:95 დალასი**
**დენვერი 117:105 დალასი**
**დალასი 105:106 დენვერი**
**დალასი 119:117 დენვერი**
**დენვერი 124:110 დალასი**

*სერიაში 4:1 დენვერის სასარგებლოდ*

„დენვერ ნაგითსი“ მთელი 24 წელი ვერ ახერხებდა კონფერენციის ფინალში გასვლას და ახლა შეძლო.

1985 წელს აქეთ თავის უდიდეს წარმატებას დენვერელები მშობლიურ ქალაქში ჩონსი ბილეპსის დაბრუნებას უნდა უმადლოდნენ. მისმა მისვლამ, რასაც კარმელო ენტონის სრულიად ახლებურად ათამაშებაც მოჰყვა, „ნაგითსი“ გარდასახა.

ნახევარფინალის მეხუთე, გადამწყვეტ მატჩში ენტონიმ 30 ქულა მოიხვეჭა, ბილეპსიმ კი 28 ქულა, რასაც 12 პასი და 7 მოხსნა შემატა.

„დენვერის“ გამარჯვებაში უკვე პირველი ნახევრის მერე ეჭვის შეტანა ძნელი იყო, დალასელებს კი დირკ ნოვიცკის კარგმა თამაშმაც ვერ უშველა (32 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი).

საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე „დალასმა“ ჩამორჩენის 6 ქულამდე შემცირება მოახერხა და თითქოს იმედიც გაუჩნდა, მაგრამ თამაში ერთმა ეპიზოდმა „მოკლა“: მასპინძლებს შეტევისთვის 2 წამი ჰქონდათ დარჩენილი, „დალასი“ კი კარგად იცავდა თავს. ამ დროს კი ენტონიმ სამქულიანი ხაზიდან ბარე ორი მეტრის დაშორებიდან ჩააგდო და ტექნიკური ფოლის გამო ჯარიმის სროლის უფლებაც მოიპოვა. ნოვიცკიმ ნამატჩევს თქვა, ამ ეპიზოდმა ყურები ჩამოგვაყრევინა, თორემ ვინ იცის, ეგებ, მატჩის ბედი საჩვენოდ შეგვებრუნებინაო.

ერთიც ვთქვათ: მეოთხე მატჩში დირკ ნოვიცკიმ 44 ქულა ჩააგდო!

**ლეიკერსი 92:100 ჰიუსტონი**
**ლეიკერსი 111:98 ჰიუსტონი**
**ჰიუსტონი 94:108 ლეიკერსი**
**ჰიუსტონი 99:87 ლეიკერსი**
**ლეიკერსი 118:78 ჰიუსტონი**
**ჰიუსტონი 95:80 ლეიკერსი**

*სერიაში 3:3*

**ლეიკერსი — ჰიუსტონი**

**წუხელ გამთენიისას დასრულდა**

სერიის მეხუთე მატჩში „ჰიუსტონმა“ 40 ქულით წააგო, რაც ამ თავმოყვარე კლუბის საპლეიოფო ანტირეკორდია. მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ტეხასელებს ტრავმის გამო გამოაკლდათ ჩინელი გიგანტი იაო მინი.

თუმცა ჩინელის არყოფნამ „ჰიუსტონს“ მეექვსე მატჩში ვერაფერი დააკლო და 15 ქულით იმარჯვა. ესეც ვთქვათ, რომ თავიდან მასპინძლები 17:1-საც იგებდნენ.

ყოვლისმცოდნე სტატისტიკა კი იმასაც გვამცნობს, რომ „ლეიკერსი“, როგორც წესი, არ აგებს თამაშს, რომლის მოგების შემთხვევაშიც მომდევნო ეტაპზე გადის. ბოლო 18 ასეთი მატჩიდან (ჩოგბურთელთა ენაზე რომ ვთქვათ, მატჩ-პოინტიდან) კალიფორნიელებმა ოდენ მესამე წააგეს.

მეშვიდე თამაში კი ლოს ანჯელესში წუხელ გამთენიისას დასრულდა.

**ირაკლი ნინიძე**

**კონფერენციათა ფინალები**

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი — ბოსტონი ან ორლანდო**

**დასავლეთი**

**დენვერი — ლეიკერსი ან ჰიუსტონი**



ლებრონ ჯეიმსი

## 4 მექული და ერთიც მცველი

**ნაციონალურ** საკალათბურთო ლიგაში ჩემპიონის გამოვლენას არ დაელოდნენ და სეზონის საუკეთესო ხუთეულები დაასახელეს.

გამოკითხვაში უპირობო ლიდერი კლივლენდელი **ლებრონ ჯეიმსი** გახლდათ. ჯეიმსის საამსეზონო მონაგარი მატჩში საშუალოდ 28,4 ქულაა, რაც მეორე შედეგია მაიამელი დუეინ ვეიდის შემდეგ. ამასთანავე ჯეიმსის ანგარიშზე საშუალოდ 7,6 მოხსნა და 7,2 პასია.

საერთოდაც, საუკეთესო ხუთეულში ჩემპიონატის ოთხი ბომბარდირი მოხვდა. ნახსენები **დუეინ ვეიდი** (30,2 ქულა საშუალოდ), ლეიკერსელი **კობი ბრაიანტი** (26,8) და **დირკ ნოვიცკი** „დალასიდან“ (25,9). ხუთეული კი შეავსო ორლანდოელმა **დუაიტ ჰოვარდმა**, ვინაც ამასწინათ სეზონის საუკეთესო დამცველად აღიარეს.

დასახელდა სეზონის მეორე და მესამე სიმბოლური ხუთეულებიც.

*მეორე ხუთეული:* **კრის პოლი** (ნიუ ორლეანი), **ბრენდონ როი** (პორტლენდი), **პოლ პირსი** (ბოსტონი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), **იაო მინი** (ჰიუსტონი);

*მესამე ხუთეული:* **ჩონსი ბილეპსი** (დენვერი), **ტონი პარკერი** (სან ანტონიო), **კარმელო ენტონი** (დენვერი), **პაუ გასოლი** (ლეიკერსი), **შაკილ ონილი** (ფინიქსი).

# მანუჩარი ფინალს მიღმა

**როგორი** იმედი გვქონდა, რომ მანუჩარ მარკოიშვილის „კიევი“ უკრაინის ჩემპიონატის ფინალში გავიდოდა, მაგრამ, სხვაგვარად მოხდა. ნახევარფინალური სერია „დონეცკმა“ 3:1 მოიგო.

ორი კიევური მატჩის მერე ანგარიში 1:1 იყო, ანუ კიეველებმა საკუთარი მოედნის უპირატესობა დაკარგეს და დონეცკს იმ განზრახვით ესტუმრნენ, რომ იქ ერთ თამაშს მაინც მოიგებდნენ და გადამწყვეტ მატჩს შინ ჩაატარებდნენ.

ორივე დონეცკური თამაში იქაურთა გამარჯვებით დასრულდა. მათ ჯერ 85:78 მოიგეს, სერიის მეოთხე მატჩში კი 84:74 იმარჯვეს.

სერიის მესამე მატჩში მანუჩარმა 36 წუთი ითამაშა, რომლის განმავლობაშიც 13 ქულა ჩააგდო, რასაც 7 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა შემატა.

ისიც ვთქვათ, რომ კიეველები 7 ქულით კი დამარცხდნენ, მაგრამ დიდი შესვენებისას 21 ქულასაც აგებდნენ.

ბოლო შეხვედრაში მანუჩარმა 20 ქულა მიითვალა, მაგრამ კიეველებს მისი ასეთი შედეგიანობაც არ ეყოთ. ამ 20 ქულის გარდა ქართველმა კალათბურთელმა ბურთი ოთხჯერ მოხსნა, ამდენივე პასი გააკეთა და სამჯერ ჩაჭრა. თუმცა სამართლიანობისთვის ისიც სათქმელია, რომ თავად მანუჩარმა ცხრაჯერ დაკარგა ბურთი.

ჩემპიონატის მეორე ფინალისტი კი მარიუპოლის „აზოვმაშია“.

**ირაკლი ნინიძე**



ავტოსპორტი

# ორი ჩემპიონატი ერთში

## დიდი ბიუჯეტი, უარესი ბოლიდი VS მცირე ბიუჯეტი, უკეთესი ბოლიდი








**ფორმულა 1-ში ახალი სკანდალია: რამდენიმე გუნდი ბიუჯეტზე ლიმიტის დაწესებას ეწინააღმდეგება და მომდევნო წლიდან სამეფო რბოლის მიტოვებითაც იმუქრება. არადა, როგორი საქმეა — სეზონი ჯერ მხოლოდ ხუთ ეტაპს ითვლის და მესამე სკანდალი აშკარად მეტისმეტია...**

**პირველი** სკანდალი, შეგახსენებთ, „ბრაუნის" ორმაგ დიფუზორს ეხებოდა და საავტომობილო ფედერაციამ, სხვა გუნდების პროტესტის მიუხედავად, ბრაუნელთა ბოლიდებში ვერაფერი დაინახა; მეორე სკანდალი „მაკლარენსა" და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ლუის ჰემილტონს ეხებოდა — ბაჰრეინის გრან პრის მსვლელობისას იარნო ტრულის წესები განზრახ რომ დაარღვევინა და კინაღამ უდანაშაულოდ დასაჯევინა.

ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, უკმაყოფილება საბიუჯეტო საკითხმა გამოიწვია.

აპრილის ბოლოს საერთაშორისო ფედერაციამ საჯინიბოებისთვის საბიუჯეტო ლიმიტად 30 მილიონი გირვანქა განსაზღვრა, მაგრამ მოწინააღმდეგეები რომ გაუჩნდა, 40 მილიონს დაუბრუნდა და გამოაცხადა, ეს ჩვენი ბოლო სიტყვააო.

10-მილიონიან დათმობასაც არ შეუწყვეტია საპროტესტო ტალღა და წინა კვირაში „ფერარიმ", „ტოიოტამ", „რენომ" და „BMW-ზაუბერმა" FIA-ს მუქარა შეუთვალეს, გასხლ ფორმულაში მონაწილეობაზე განაცხადს აღარ შემოვიტანთო.

ეს პრობლემის ზედაპირული მხარეა. ახლა, მოდი, საკითხის არსში გავერკვეთ.

FIA-ს გადაწყვეტილებით, გუნდების ბიუჯეტი 40 მილიონ გირვანქას არ უნდა აღემატებოდეს, ოღონდაც ამ თანხაში არ შედის:

— ახალი ძრავების პროექტირების და დამზადების ხარჯი;

— მარკეტინგული დანახარჯები;

— პილოტების (მათ შორის, ტესტ-პილოტების) ხელფასები;

— საქველმოქმედო ხარჯები;

— ჯარიმები.

ერთი სიტყვით, ნახსენებ 40 მილიონს ჩამოთვლილ პუნქტებს თუ დავუმატებთ, 80-100 მილიონი მაინც გამოდის.

ამავე დროს, საჯინიბოები, რომლებიც ლიმიტის დაწესებას დაემორჩილებიან, უფლება მიეცემათ, ძრავის ბრუნების რაოდენობა შეუზღუდავად გაზარდონ და წინა და უკანა ანტიფრთები თავიანთ ჭკუაზე დააპროექტონ.

ანუ, ვისაც ნაკლები ბიუჯეტი ექნება, უკეთესი ბოლიდის ქონის უფლებას მიიღებს, დიდბიუჯეტიანი გუნდები კი ბოლიდის პარამეტრების შეზღუდვას უნდა დაემორჩილონ.

საავტომობილო ფედერაცია თავისი გადაწყვეტილებით ფორმულაში ახალი გუნდების მოზიდვას ცდილობს. ახსნა ასეთია: ახალი გუნდები უზარმაზარ საბიუჯეტო სახსრებს ვერ მოიძიებენ და ამდენად, მდიდარ გუნდებს კონკურენციას ვერ გაუწევენ. ეს კი მათ „სამეფო რბოლებში" ჩაბმის სურვილს უქრობს.

ხოლო თუ შეზღუდული ბიუჯეტი მათ ბოლიდებს მოდერნიზების საშუალებას გაუჩენს, შანსები თანაბრდება და რბოლაში მონაწილეობის სურვილი აღარ ქრება.

ამ ნოუ ჰაუს მოწინააღმდეგეთა არგუმენტი კი ის არის, რომ ფაქტობრივად ერთ ჩემპიონატში გაერთიანებულ ორ შეჯიბრს იღებენ და რომ FIA სპორტული და ტექნიკური სამართლიანობის ნორმებს არღვევს.

არის ერთი მიზეზიც: აბსოლუტური სიზუსტით დადგენა, გადააცილებს თუ არა გუნდი 40-მილიონიან ზღვარს, პრაქტიკულად შეუძლებელია.

სხვათა შორის, „ფერარის" მუქარა, შეჯიბრის მიტოვების თაობაზე, იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირა. ახალი წესების მომხრეები კი ესენი არიან: „ბრაუნი", „უილიამსი" და „ფორს ინდია".

ამასობაში კი მიმდინარე ჩემპიონატის უპირობო ლიდერ „ბრაუნში" არაჯანსაღი ვითარების ნიშნები გამოჩნდა.

კერძოდ, რუბენს ბარიკელომ თქვა, ფორმულას მივატოვებ, თუკი აღმოჩნდება, რომ გუნდი აქცენტს ჯენსონ ბატონზე აკეთებსო.

აქვე განვმარტოთ: ბარიკელოს თანაგუნდელი ბატონი მსოფლიოს ჩემპიონობის უმთავრესი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი პრეტენდენტია, რაკი ხუთი ეტაპიდან ოთხი მოიგო. მას 41 ქულა აქვს, მეორე ადგილზე მყოფ ბარიკელოს კი — 27.

წინა კვირას ჩატარებული ესპანეთის გრან პრიზე ბარიკელო 19 წრე თავში ედგა პელეტონს და მერელა გაუშვა წინ ბატონი. როგორც თავად ბრაზილიელი პილოტი ამბობს, როცა ის ბოქსში საწვავის შესავსებად შევიდა, გუნდის ბოსმა როს ბრაუნმა ბატონს ტაქტიკა შეუცვალა და ამის გამო ბატონი გალიდერდა.

თუმცა ბარიკელო ამაში შეთქმულებას ჯერჯერობით ვერ ხედავს და ამბობს: „თუკი დავინახავ, რომ გუნდი უპირატესობას ბატონს აძლევს, მაშინვე წავალ. თუმცა არ მგონია, რომ ასე იყოს. როს ბრაუნმა თავად მთხოვა მის გუნდში გამოსვლა და კარგად იცის, რომ მე ნაღდი, სამართლიანი ბრძოლა მინდა."

**ირაკლი ნინიძე**

ჰოკეი

# რიმეიქის მოლოდინი

**კონფერენციათა ნახევარფინალი**

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| ვაშინგტონი 3:2 პიტსბურგი | ვანკუვერი 5:3 ჩიკაგო |
| ვაშინგტონი 4:3 პიტსბურგი | ვანკუვერი 3:6 ჩიკაგო |
| პიტსბურგი 3:2 (ოტ) ვაშინგტონი | ჩიკაგო 1:3 ვანკუვერი |
| პიტსბურგი 5:3 ვაშინგტონი | ჩიკაგო 2:1 (ოტ) ვანკუვერი |
| ვაშინგტონი 3:4 (ოტ) პიტსბურგი | ვანკუვერი 2:4 ჩიკაგო |
| პიტსბურგი 4:5 (ოტ) ვაშინგტონი | ჩიკაგო 7:5 ვანკუვერი |
| ვაშინგტონი 2:6 პიტსბურგი | *სერიაში 4:2 ჩიკაგოს სასარგებლოდ* |
| *სერიაში 4:3 პიტსბურგის სასარგებლოდ* | დეტროიტი 3:2 ანაჰაიმი |
| ბოსტონი 4:1 კაროლინა | დეტროიტი 3:4 (ოტ) ანაჰაიმი |
| ბოსტონი 0:3 კაროლინა | ანაჰაიმი 2:1 დეტროიტი |
| კაროლინა 3:2 (ოტ) ბოსტონი | ანაჰაიმი 3:6 დეტროიტი |
| კაროლინა 4:1 ბოსტონი | დეტროიტი 4:1 ანაჰაიმი |
| ბოსტონი 4:0 კაროლინა | ანაჰაიმი 2:1 დეტროიტი |
| კაროლინა 2:4 ბოსტონი | დეტროიტი 4:3 ანაჰაიმი |
| ბოსტონი 2:3 (ოტ) კაროლინა | *სერიაში 4:3 დეტროიტის სასარგებლოდ* |
| *სერიაში 4:3 კაროლინას სასარგებლოდ* | |

**წუხელ** ნაციონალურ ჰოკეის ლიგაში „დეტროიტისა" და „ჩიკაგოს" მატჩით კონფერენციათა ფინალები დაიწყო.

ყველაფერი კი იქითკენ მიდის, რომ სტენლის თასისთვის ბრძოლა შარშანდელის მსგავსი გამოვიდეს. შარშან ფინალში „დეტროიტი" და „პიტსბურგი" შეხვდნენ („დეტროიტმა" მოიგო) და ეს გუნდები ახლაც კონფერენციათა ფინალებში არიან გასულები.

ისიც შევნიშნოთ, რომ გათამაშებას შემორჩენილი 4 გუნდიდან ერთი კანადურია (პიტსბურგი), „დეტროიტი", „კაროლინა" და „ჩიკაგო" კი ამერიკულები არიან.

**კოტე კეკელია**

**კონფერენციათა ფინალი**

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| პიტსბურგი : კაროლინა | დეტროიტი : ჩიკაგო |



„კაროლინა" კონფერენციის ფინალში სკოტ უოლკერის მიერ ოვერტაიმში გატანილი ამ გოლით გავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიხადე და გადახტი!

**ძველ დროში, ოლიმპიური თამაშებისას, ათლეტები დედაშობილანი გადიოდნენ შეჯიბრებზე. მერე ოლიმპიური თამაშები რამდენიმე საუკუნით შეწყდა და როცა განახლდა, სპორტსმენები შემოსილები არიან. სამაგიეროდ გულშემატკივრებმა დაიწყეს გაშიშვლება და ამით ზოგი ფულის შოვნას ლამობს , ზოგი რაღაცას აპროტესტებს. სტრიკერობის ტრადიცია კი ინგლისიდან იღებს სათავეს. პირველი სტრიკერი მოედანზე 1974 წელს, თვიქნემში, ინგლისისა და საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრებების მატჩისას გადახტა. მერე კი გაგრძელდა და გარგძულდა...**



**ისტორიამ** თვიქნემელი სტრიკერის ვინაობაც შემოინახა — მაიკლ ობრაიენი.

პოლიცია ამგვარ არაორდინალურ და მანამდე არნახულ ვითარებაში უმალ გაერკვა. ობრაიენს ხელები გადაუგრიხეს, ერთმა პოლისმენმა კი საკუთარი ქუდი ააფარა სადაც საჭირო იყო.

მაიკლ ობრაიენი ახლა წარმატებული ბიზნესმენია და ახალგაზრდობის ღრიანცელ ონავრობას ღიმილით იხსენებს.

1982 წელს მსოფლიომ პირველი სტრიკერი ქალი გაიცნო. იმავ თვიქნემში სარაგბო მატჩის დროს გაშიშვლდა 24 წლის გამყიდველი ერიკა როუ. ლუდით გაჭყეპილმა გოგომ მაისური გაიძრო და მოედანზე ჩახტა. მისმა ვკარიანად დიდმა მკერდმა გულგრილი არავინ დატოვა და 40-წამიანმა შოუმ ერიკა ლონდონელი კულტურის მაღალგანაზღაურებად მოდელად აქცია.

22 წლის ავსტრალიელმა ტრეისი კოლისონმა რადიოში მოისმინა, რომ მას, ვინც რადიოსადგურის ლოგოტიპს ყველაზე ბევრ ადამიანს დაანახებდა, 10 ათასი დოლარი ერგებოდა.

საზრიანმა გოგომ ბოიფრენდს ტანზე ნახსენები ლოგო დაახატინა და რაგბის მატჩისას მოედანზე გადახტა.

თავიდან არ გაუმართლა — რადიოსადგურმა ფულის გადახდა იუარა, ჩვენ ეგეთი რეკლამა არ გვიგულისხმიაო, პოლიციამ 650 დოლარით დააჯარიმა, მშობლებმა კი საშინელი სკანდალი მოუწყვეს.

ბოლო კი „კეთილი" აღმოჩნდა: „ჰასტლერის" გამომცემელმა, განთქმულმა ლარი ფლინტმა, ტრეისის მაგივრად ჯარიმაც გადაიხადა და პორნოინდუსტრიაში თბილი ადგილიც გამოუძებნა.

23 წლის სტუდენტი მელისა ჯონსონი კი უიმბლდონის ფინალისას ჩახტა ცენტრალურ კორტზე 1996 წელს. ის ფინალი რიჩარდ კრაიჩეკმა მოიგო და გოგო მისი თაყვანისმცემელი ყოფილა.

თუმცა მელისას ცოტათი შერცხვა და წინსაფარი აიფარა.

**ბოტე ბებელია**







ცურვა

# დედიკოს ბიჭის გატაცებანი

## მაიკლ ფელპსის მეთხუთმეტე ოქროს მედალი



მაიკლ ფელპსმა, ვინაც შეგახსენებთ, ცურვაში 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონია, დისკვალიფიკაცია მოიხადა და ვარჯიში განაახლა. ამერიკელმა მოცურავემ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ არდადეგები მოიწყო და კარგადაც გაერთო. იმდენად კარგად, რომ თებერვალში მარიხუანას ნევაშიც ამხილეს, ბოდიშიც მოახდევინეს, და სამთვიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს. თავადაც თქვა, სპორტსმენ კაცს ასეთი რამეები არ მეკადრებაო. ფელპსმა, ეგებ, გულწრფელადაც მოინანია და აღარ ეწევა, მაგრამ სხვანაირ გასართობებზე კი უარი არ უთქვამს. ამ რამდენიმე დღის წინ ბალტიმორელმა ტერეზა უაითმა საქვეყნოდ და უსირცხვილოდ განაცხადა, მე და კიდევ ერთ გოგოს ფელპსთან დიდებული სექსი გვქონდაო...



**ტერეზა უაითი** სტრიპტიზიორია, ამბავს კი ასე ყვება:

„გაზეთებში მაიკლის ფოტოები რომ დაიბეჭდა მარიხუანას წევის დროს, ამან ძალიან ცუდ ხასიათზე დააყენა. მე ის იმ ამბიდან რამდენიმე დღის მერე ვნახე და ლამის ტიროდა. მითხრა, რომ ვერ ხვდება, ეს როგორ მოხდა და რომ მისი კარიერა ამით დასრულდა. ძალიან საცოდავი სანახავი იყო. იმდენად გამწარდა, რომ მობილური ტელეფონიც კი მოისროლა.

მაიკლი როდის გაიცანი? შარშან ნოემბერში. სტრიპტიზკლუბში მოვიდა, სადაც მე ვმუშაობ. მაიკლი მეგობრებთან ერთად იყო. ჩემი გამოსვლა დამთავრებული მქონდა და ვსვამდი. მაგრად რომ დავთვერი, მასთან მივედი და სექსი შევთავაზე. მაიკლს იდეა მოეწონა და მითხრა, შენნაირი დაბალი გოგოები მომწონსო. გამიკვირდა და გამეცინა, თვითონ ხომ ძალიან მაღალია. მერე ერთ გოგოზე მიმითითა, ისიც წავიყვანოთ, ორ გოგოსთან ერთად აქამდე არასდროს ვყოფილვარო. სასტუმროს ნომერში ავედით და დაახლოებით სამი საათი ლოგინში ვგორაობდით. ამ სასიყვარულო მარათონისთვის მაიკლს ერთი ოქროს მედალი ნაღდად ეკუთვნის."

მაიკლ ფელპსს ტერეზასთან დროსტარება ისე მოსწონებია, რომ მთელი ნოემბერ-დეკემბერი კვირაში ორი სამჯერ მიდიოდა მასთან კლუბში, მოინახულებდა და მერე სიყვარულს მიეცემოდნენ.

ტერეზამ ისიც თქვა, მაიკლი მარიხუანას პეკინიდან დაბრუნების მერე ეწეოდა — თავად მითხრაო.

ფელპსი ტერეზასთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენას თაკილობდა, რასაც გოგო გაუბრაზებია.

— რამდენჯერმე დამპირდა მაგარ რესტორანში წავიდეთო, მაგრამ პირობა არ შეუსრულებია, ერთი ორჯერ წამიყვანა მექსიკურ ფასტ ფუდში და სულ ეგ იყო, არადა, მილიონერია! — თქვა ტერეზამ — ჩემთან ურთიერთობას სულ მალავდა, ალბათ, ჩემი პროფესიის გამო რცხვენოდა. მეუბნებოდა, რომ ვუყვარვარ, მაგრამ მე ხომ ვხვდები, რომ ჩემთან სექსის გარდა არაფერი აინტერესებდა. ისიც გავიგე, რომ ჩემს გარდა ხუთ თუ ექვს გოგოს კიდევ ხვდებოდა.

ჩემთან მარიხუანა არასდროს მოუწევია, თამბაქოს კი ღეჭავდა. როცა თვრებოდა, ყვიროდა ხოლმე. კიდევ აპარატებზე პოკერის თამაში უყვარს და ამაში ბლომად ფულსაც ხარჯავს. ვიცი, რომ ჩვენს ურთიერთობას მომავალი არ აქვს. თავადაც მითხრა, რომ დაოჯახებას არ აპირებს და რომც მოენდომებინა, დედამისი ჩემზე დაქორწინების უფლებას არ მისცემდა. მაიკლი ნამდვილი დედიკოს ბიჭია.

**ქოტე ქექელია**

ჩოგბურთი



# გასკეს კოკაინს ცუდი სუნი აუვიდა

**მსოფლიო** საჩოგბურთო რეიტინგის 23-ე ნომერი რიშარ გასკე კოკაინის ყნოსვაში ამხილეს.

მარტში, მაიამის ტურნირზე ჩასულ ფრანგს ტურნირის წინ დოპინგ-ტესტი ჩაუტარეს, რომლის შედეგი ახლა გამოქვეყნდა და გასკეს კოკაინისადმი ტრფიალიც გამოაშკარავდა. თუ მეორე ტესტიც დადებით პასუხს აჩვენებს, 22 წლის სპორტსმენს 2-წლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ამ ამბავში სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს) ის არის, რომ გასკეს მაიამიში საერთოდ არ უთამაშია, რაკი მხარი იტკინა და მონაწილეობაზე უარი თქვა.

მის კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა კი უიმბლდონის ნახევარფინალში თამაშია.

კრივი

# კლიჩკოს მამამდე გენერლობა აკლია



**იცოდით**, რომ ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოების მამა, უფროსი ვლადიმირ კლიჩკო უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-მაიორია?

ეს იმად გავიხსენეთ, რომ ვიტალი კლიჩკომ წინა კვირაში თადარიგის მაიორის სამხრეები მიიღო, რაც უკრაინის ქვეითი ჯარების მთავარსარდლის ბრძანებით გადაეცა.

ვიტალი კლიჩკო: „იმედი მაქვს, თადარიგის ოფიცრად დავრჩები და არასოდეს დამჭირდება სამხედრო გამოცდილების ბრძოლის ველზე გამოყენება. ალბათ გსმენიათ, რომ მე და ჩემი ძმა სამხედრო ავიატორების ოჯახიდან ვართ და ჩვენს დინასტიაში მრავალი თაობა სამხედრო სამსახურში იყო. მე და ვლადიმირი ბავშვობაში სუვოროვის სასწავლებელის კურსანტობაზეც ვოცნებობდით."

მოგეხსენებათ, კლიჩკოებმა ბავშვობის ოცნება მოკრივის ხელთათმანებზე გაცვალეს.

ვიტალის პროფესიულ რინგზე 39 ბრძოლიდან 37 მოგებული აქვს და ამათგან 34 — ნოკაუტით. ის WBC-ის ვერსიით მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია.

ვლადიმირ კლიჩკო კი IBF-ის და WBO-ს ვერსიებით არის მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი. პროფესიულ კარიერაში მან 55-დან 52 ბრძოლა მოიგო და ამათგან 46 ნოკაუტით. ის ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონიცაა.

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენები

# შავი ბომბდამშენის აღზევება და დაცემა

**იმ დღეს პატარა ჯო ლუისმა პირველად მოატყუა დედა. უთხრა, რომ მუსიკაზე მიდიოდა, სინამდვილეში კი საკრივო სექციისკენ გადაუხვია და მთელი შეგროვებული ფულიც თან წაიღო. მისგან ეს ფრიად უცნაური საქციელი გახლდათ, რაკი ძალიან წესიერი ბიჭი იყო. ქუჩაში უსაქმოდ არ დაყიალობდა და დედას მუდამ უჯერებდა. ერთი სიტყვით, მშვიდი, კარგად აღზრდილი ბიჭი იყო. მაგრამ რაღაც უხილავი ძალა კრივის სექციისკენ ექაჩებოდა, სადაც, ბაგირით შემორაგული რინგის შიგნით კუნთმაგარი ბიჭები ოფლად და ხშირ შემთხვევებში, სისხლადაც იღვრებოდნენ...**



მაქს შმელინგი და ჯო ლუისი

**კრივის** სექციაში შერჩევის უმკაცრესი მეთოდები ჰქონდათ. მსურველი უამრავი იყო და სუსტებზე დრო რომ არ დაეკარგათ, პირველივე ცდაზე გამოცდილ მოკრივესთან აჩხუბებდნენ. თუ ნაგვემი ახალბედა მეორედაც გაბედავდა სექციაში მისვლას, მას უკვე ყურადღებით აკვირდებოდნენ.

ჯო ლუისი გამონაკლისი არ ყოფილა. მწვრთნელმა მასაც გამოცდილი და თავდაჯერებული მოკრივე დაუყენა, რომელსაც მანიაკურ სიამოვნებას ჰგვრიდა ახალბედების გალახვა. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ჯო ფეხზე დარჩა, მისი მეტოქე კი, რომელსაც ერთი, მაგრამ ულონიერესი მუშტი მოხვდა, რინგზე უგონოდ ეგდო. გაკვირვებულმა მწვრთნელმა წაქცეულს ერთი ვედრო წყალი გადაასხა გონზე მოსაყვანად, ჯოს კი მიუბრუნდა და უთხრა: „ვიმუშაოთ!"

მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი 1914 წლის 13 მაისს დაიბადა მრავალშვილიან ოჯახში, ალაბამას შტატის პატარა ქალაქში, სადაც ზანგები მაინცდამაინც არ უყვარდათ. მშობლები ბამბის პლანტაციაში მუშაობდნენ და მონურ შრომაში გროშებს იღებდნენ.

არავინ იცის რატომ, მაგრამ დედას ჯო სხვა შვილებისგან გამორჩეულად უყვარდა და ოცნებობდა, მევიოლინე გამოსულიყო. წლების მანძილზე აგროვებდა ფულს და ერთ დღესაც, საკმარისი თანხა რომ შეაგროვა, ჯოს მისცა და დაარიგა: „ამ ფულით მუსიკის ნამდვილ მასწავლებელთან შეგიძლია იარო."

ჯომ დედის ფული გამოართვა და სადაც წავიდა, თავში მოგახსენეთ.

მწვრთნელი მალე მიხვდა, რომ შესანიშნავი მონაცემების მქონე ბიჭი ჩაიგდო ხელში, რაკი ჯო უკვე იმხანად გამოირჩეოდა ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემებით და საოცარი შრომისუნარიანობით. მას საოცრად ძლიერი და ზუსტი დარტყმა ჰქონდა და ამავე დროს, უაღრესად მოქნილი იყო და ისე მოძრაობდა, თითქოს რინგზე კი არ იბრძოდა, არამედ საყვარელ მელოდიას უკრავდა ვიოლინოზე.

მალე ოჯახი დეტროიტში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ჯომ მამასთან ერთად „ფორდის" ქარხანაში დაიწყო მუშაობა. კრივი არ მიუტოვებია და სულ რამდენიმე კვირაში მისი სახელი ამერიკის საავტომობილო დედაქალაქის ყველა კრივის მოყვარულმა იცოდა.

ყურადღება ძველმა მოკრივემ და იმ დროის ცნობილმა მწვრთნელმა ჯეკ ბლექბერნმა მიაქცია. ჯომ ის უშიშრობითა და რბილი მოძრაობით მოხიბლა. მალე მათ მაიკლ ჯაკობე შეუერთდა, ვინაც მენეჯერობა შესთავაზა.

ბლექბერნმა და ჯაკობემ მშვენივრად იცოდნენ, რომ ბრწყინვალე მომავლის მქონე მოკრივესთან ჰქონდათ საქმე და მოვლენებს არ აჩქარებდნენ. თავიდანვე სარეიტინგო ბრძოლებში არ გაუშვეს და ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებდნენ იმ დროისთვის, როცა ჯო მართლა დაუმარცხებელი გახდებოდა.

ეს დრო 1934 წელს დადგა და 20 წლის ჯო ლუისმა პროფესიონალი მოკრივის ლიცენზია მიიღო.

ბლექბერნმა და ჯაკობემ ჩათვალეს, რომ ნაღდი კრივის დაწყება შეიძლებოდა და ბრძოლები დაუნიშნეს.

ჯო ლუისი ელვის სისწრაფით მიიწევდა ზევით. ისეთი მონდომებით ჩხუბობდა, რომ 37 ბრძოლის მერე წაგება არ იცოდა და ამ ჩხუბებიდან 34-ჯერ მისი მეტოქეები რინგიდან გასატანნი გახდნენ.

ბლექბერნი და ჯეკობე ნელ-ნელა უფრო და უფრო ძლიერ მეტოქეებს ახვედრებდნენ და ის დღეც დადგა, ჯო მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ პრიმო კარნერას რომ შეახვედრეს.

ხალხი, მაგარ ჩხუბს რომ ელოდა, იმედგაცრუებული დარჩა, რადგან სამი ნოკდაუნის მერე ჯომ იტალიელი ნოკაუტშიც გაგზავნა და ბრძოლამ მხოლოდ ექვს რაუნდს გასტანა.

პრიმერას სხვა განთქმული მოკრივეები მიჰყვნენ: მაქს ბერი, კინგ ლევინსკი, ჩარლი რეტცალერი, პაულინო უზკუდუკი. უკვე ცხადი გახდა, რომ რინგს იქამდე არნახული ძალის მოკრივე მოევლინა.

ჯოს სახელი მთელ ამერიკაში ქუხდა, ხალხი მისი ჩხუბის სანახავად დარბაზებს ავსებდა და ჯომაც ისწავლა, როგორ მოეგო ხალხის გული. სწრაფ მოგებას აღარ ცდილობდა და ყოველ რაუნდში მცირე სპექტაკლებსაც აწყობდა. მეტსახელიც შეარქვეს: „შავი ბომბდამშენი".

ბრწყინვალე გამარჯვებათა გზაზე ჯოს დაბრკოლება გადაეღობა. თავი უძლეველად რომ იგრძნო, ყურადღება მოუჩლუნგდა, რასაც სპორტი და მეტადრე უმაღლეს მიღწევათა სპორტი, არავის პატიობს.

ეს 1936 წლის 19 ივნისს მოხდა ნიუ იორკში. 40 ათასი მაყურებელი შეიკრიბა ჯო ლუისის და მაქს შმელინგის (სრული სახელია მაქსიმილიან ადოლფ ოტო შმელინგი) ჩხუბის სანახავად.

ჯო მშვენიერ ხასიათზე იყო და ხალხის საამებლად გერმანელს კატა-თაგვობანას თამაში დაუწყო — მეტოქის მოქნეულ მუშტებს ოსტატურად იცილებდა და გულშემატკივრებს აგრძნობინებდა, შმელინგს ცოტას კიდევ გავეთამაშები და მერე დავბომბავო.

მაგრამ შმელინგი ნაღდი გერმანული პედანტობით ცდილობდა მეტოქის კუთხეში მიმწყვდევას. გერმანელის მონდომებამ შედეგი მოიტანა, ჯო სამჯერ გაგზავნა ნოკდაუნში.

ჯო გაბრაზდა და თამაშიდან ნაღდ კრივზე გადასვლა მოინდომა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჯოს აღარაფერი გამოსდიოდა, თანაც ცალი თვალი დასისხლიანებული ჰქონდა და ვეღარაფერს ხედავდა. რაუნდებს შორის შესვენებებისას ბლექბერნი ამაოდ ცდილობდა წარბიდან, ტუჩიდან და ცხვირიდან სისხლდენის შეჩერებას.

ჯოს ისე გაუჭირდა და გამწარდა, რომ შმელინგს გონგის მერე დაარტყა და გაფრთხილება მიიღო. ამის მერე კი წარმოუდგენელი რამ მოხდა: მომდევნო რაუნდში ჯო ლუისი ნოკაუტით დამარცხდა.

მწარე გაკვეთილი იყო და ჯო გასახდელიდან შავი სათვალით და თვალებზე ჩამოფხატული ქუდით გაიპარა. გარეთ მომლოდინე ხალხის შერცხვა.

მაქს შმელინგი სამშობლოში გმირად დაბრუნდა. ჰიტლერმა დიდებული დახვედრა მოუწყო და ბრძანებაც გასცა, მისი ბიუსტი გამოექანდაკებინათ.



ჯო ლუისის მუშტის სკულპტურა დეტროიტში

ჯოსთვის კი გაკვეთილი, როგორც ვთქვით, მწარე, მაგრამ უაღრესად სასარგებლო გამოდგა. ერთი წლის მერე, როცა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ჯეიმს ბრედოკს შეხვდა, ხალხმა სულ სხვა ლუისი იხილა.

თუმცა პირველ რაუნდში არ გაუმართლა — ფეხი დაუცდა და მეტოქის დარტყმამ ნოკდაუნში გაისტუმრა. მაგრამ ამის მერე რინგზე მხოლოდ ერთი მოკრივე იყო და საქმე იქამდე მივიდა, რომ მერვე რაუნდში ბრედოკის სეკუნდანტმა რინგზე პირსახოცი გადმოფინა...

ჯო უკვე მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მაგრამ შმელინგზე შურისძიების წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა. დაჟინებით მოითხოვდა, მასთან ახალი ჩხუბის ორგანიზებას.

ნაცისტები ცოტა არ იყოს, შეშინდნენ და მოლაპარაკებებს შლიდნენ. თუმცა საბოლოოდ, თავად შმელინგმა განაცხადა, რომ მზად იყო ჯო ლუისთან შესახვედრად და ადგილიც ძველი დაუთქვა — ნიუ იორკი, სადაც პირველად გალახა და თავის კარიერაში უბრწყინვალეს გამარჯვებას მიაღწია.

ბრძოლამ ორ წუთსა და ოთხ წამს გასტანა — გერმანელი რინგიდან გაიტანეს.

ჯო ლუისი 11 წლისა და 10 თვის განმავლობაში ფლობდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს და ეს შედეგი დღემდე ვერავინ გაიმეორა. სულ 27 საჩემპიონო ბრძოლა ჩაატარა და ეს შედეგი უფრო შთამბეჭდავიც იქნებოდა, მეორე მსოფლიო ომი რომ არა.

ჯო ჯარში არ გაუწვევიათ, მაგრამ ომის მსვლელობისას მუდმივად დადიოდა სამხედრო ჰოსპიტალებში და დაჭრილ ჯარისკაცებს ამხნევებდა.

ამ გასაოცარი ამბის სინამდვილეს ვერ დავიჟინებთ, მაგრამ ლეგენდა გვამცნობს, რომ ნორმანდიაში, მეორე ფრონტის გახსნის მერე რამდენიმე გერმანელი დივერსანტი და ჯაშუში გამოააშკარავეს ჯო ლუისის წყალობით: თუკი ეჭვმიტანილი ვერ პასუხობდა კითხვას, ვინ იყო „შავი ბომბდამშენი", ცხადი ხდებოდა, რომ გერმანელ აგენტთან ჰქონდათ საქმე...

ომი დამთავრდა და ასაკშეპარული ჯო ლუისი რინგზე ისევ გავიდა. ძველებურად უძლეველი იყო და ერთ-ერთ მეტოქედ რუსი ნიკოლაი კოროლიოვი ისურვა. ბრძოლა არ ჩატარებულა — ლავრენტი ბერიამ იგუმანა, რომ ჩხუბი ამერიკელის გამარჯვებით დასრულდებოდა და კოროლიოვს ლუისთან შეხვედრა აუკრძალა.

1948 წელს ჯომ გამოაცხადა, რომ ხელთათმანებს ლურსმანზე კიდებდა, მაგრამ უკვე მომდევნო წელს საქმოსანთა ზეწოლას ვერ გაუძლო და დაბრუნდა.

დაბრუნდა და, მსოფლიოს ჩემპიონის ტახტისკენ ჯიქურ მიმავალ ეზარდ ჩარლზთან დამარცხდა.

მერე რამდენიმე ჩხუბი მოიგო და კარიერის ბოლო, ლეგენდად ქცეული ბრძოლა გამართა როკი მარჩიანოსთან — ერთადერთ მოკრივესთან მსოფლიო კრივის ისტორიაში, რომელიც არასდროს დამარცხებულა.

ამ ჩხუბში ჯომ კარიერაში მესამე მარცხი იწვნია. როკი ჩვეული ცინით ცდილობდა ჯოს მიბეგვას. მართალია, ლუისი უკვე ის აღარ იყო, მაგრამ ამ ჩხუბში დანდობა შეუძლებელი გახლდათ.

ჯო ლუისი არაერთი ვერსიით, მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს მოკრივედ არის აღიარებული და ივივე როკი მარჩიანოსა და კასიუს კლეიზე წინ აყენებენ. სულ 65 ბრძოლა მოიგო და სამში დამარცხდა.

კრივიდან რომ წავიდა, ჯოს ბანკში 5 მილიონი დოლარი ჰქონდა და უზრუნველად შეეძლო ეცხოვრა. მაგრამ ბიზნესს მიჰყო ხელი, რომელშიც კრივისგან განსხვავებით სრულიად უნიჭო გამოდგა — ყველაფერი დაკარგა. რესტორანში მეკარედერობედაც უხდებოდა მუშაობა, ლუკმა-პური რომ ეშოვა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ცოლმა ფსიქიატრიულ კლინიკაშიც მიიყვანა, სადაც 5 თვე იმკურნალა პარანოიის დიაგნოზით.

1981 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა. ამერიკის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ბრძანება გასცა, არლინგტონის ნაციონალურ სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაეკრძალათ. ხარჯების ნაწილი სახელმწიფომ გაიღო. რატომ ნაწილი? იმიტომ, რომ ჯო ლუისის ერთმა მეგობარმა ითხოვა, ნაწილს მე გადავიხდიო. ეს მეგობარი... მაქს შმელინგი იყო.

თავად შმელინგი 2005-ში, 100 წლისა გარდაიცვალა.

**გიორგი დარჯანია**

# მერაბ კვირიკაშვილის რჩევა

# ყოველთვის გვერდით და ერთად!



**რთველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მერაბ კვირიკაშვილი თბილისშია — საკლუბო სეზონი დაასრულა და ახლა სანაკრებო მატჩებისთვის ემზადება. გეცოდინებათ, 1 ივნისიდან „ბორჯღალოსნები“ ჩერჩილის თასის გათამაშებაში ჩაერთვებიან და „მეკოც“ სულმოუთქმელად ელის, როდის მოუწევს აშშ-ში წასვლა... მერაბ კვირიკაშვილი რედაქციაში ვისტუმრეთ და ეს ინტერვიუც ჩამოვართვით...**

**— საკლუბო ამბებით დავიწყოთ: როგორი გამოდგა „მასისთვის“ ეს სეზონი?**

— თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მშვენიერი პირობები გვქონდა და წარმატებულადაც ვთამაშობდით, მაგრამ ბოლო პერიოდში სიტუაცია აირია. ფინანსურად გაგვიჭირდა და ამან შემადგენლობაზეც იმოქმედა, რამდენიმე მორაგბემ დატოვა გუნდი...

**— თუმცა ქართველებიდან ყველამ ჩაამთავრეთ სეზონი...**

— კი, მე, დადუნაშვილი, სუთიაშვილი და გიგაური ბოლომდე დავრჩით გუნდში და ფედერალ I-ის მერვედფინალში გავედით. მეტი ვეღარ შევძელით...

**— ფინანსურად გაგვიჭირდაო და, ეს მსოფლიო კრიზისის ბრალი იყო თუ...**

— დიახ, საფრანგეთში განსაკუთრებით იგრძნობა კრიზისი და, სამწუხაროდ, ეს „მასისაც“ შეეხო...

**— და რას აპირებ?**

— ჯერ ზუსტად არ ვიცი... შეიძლება, გუნდი შევიცვალო...

**— უფრო კონკრეტულად არაფრის თქმა შეგიძლია?**

— არა, არაფერია გარკვეული. მუშაობა მიდის და ვნახოთ, რა ვარიანტები გამოჩნდება...

**— ისევ საფრანგეთში აპირებ კარიერის გაგრძელებას თუ სხვა ქვეყანაზეც არ იტყვი უარს?**

— არა, ალბათ უფრო საფრანგეთში დავრჩები.

**— ფრანგული კარიერა „ფიჟაკში“ დაიწყე, მერე პრო 2-ის „პოში“ გადახვედი, ბოლოს კი ფედერალ I-ის „მასი“ იყო. უფრო მაღალი დონის კლუბზე არ ფიქრობ?**

— რა თქმა უნდა, მსურს, რანგით მაღალ ლიგაში გავაგრძელო კარიერა და „მასიდან“ შესაძლო წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

**— რაგბიში ძალიან ხშირი არ არის პოზიციების ცვლა, შენ კი თამაში 9 ნომრად დაიწყე, მერე 10 იყავი, ბოლოს კი 15 ნომრად თამაშობ...**

— გეთანხმებით. 9 და 10 ნომერი კიდევ ახლოს არიან ერთმანეთთან, აი, 15 კი განსხვავებული ამპლუაა. ბავშვობაში ვიყავი 9 ნომერი, მერე სულ 10-ზე ვთამაშობდი, ამ ბოლო დროს კი 15-საც შევეჩვიე. სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ უხერხულობას არ ვგრძნობ. მწვრთნელის გადასაწყვეტია, სად დამაყენებს.

**— შენი ასარჩევი რომ იყოს?**

— ძნელი სათქმელია... სამივე პოზიციას თავისი პლუსი აქვს და მიჭირს რომელიმეს გამორჩევა... ალბათ, მაინც უფრო 10 ნომრისკენ გადავიხრებოდი...

**— ნაკრებში 10 და 15 ნომრად გვინახიხარ და კლუბში როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

— დაახლოებით იგივე სიტუაციაა კლუბშიც. თითქმის მთელი სეზონი 10 ნომრად ვითამაშე, ბოლოსკენ კი ერთი მორაგბე დაგვიშავდა და 15 ნომერზე მომიწია დადგომამ.

**— ნომრების ცვლის მიუხედავად, საჯარიმოების თუ გარდასახვების დარტყმას არც ახლა უარობ. შეგიძლია, ეს სპეციფიკა აგვიხსნა? ანუ რას ვგულისხმობ — ყოველი დარტყმისას მორაგბეები საგულდაგულოდ ითვლიან ნაბიჯებს და ემზადებიან დარტყმის შესასრულებლად. არასოდეს გიცდია, რომ ვთქვათ, ასეთი რიტუალის გარეშე დაგერტყა?**

— არიან ასეთი მორაგბეებიც, რომლებიც მოუმზადებლად ურტყამენ, თუმცა მათი სარგებლიანობა 40-50 პროცენტია. დიდი წუნი აქვთ. ამ ნაბიჯების გადათვლით და სუნთქვის კონტროლით, უბრალოდ, იმის ალბათობას ამცირებ, რომ მიზანი გაგიცუდდეს. შეიძლება ითქვას, იმ ნაბიჯებს დგამ უკან, რაც მერე წინ უნდა გადადგა...

**— ვინ არის ის მორაგბე, ვისი თამაშითაც ბავშვობიდან აღფრთოვანებული იყავი?**

— ადრე სამხრეთაფრიკელი 9 ნომერი ვესტჰოიზენი მომწონდა ძალიან. ახლა კი ჯონი უილკინსონის ფანი ვარ. ასეთი ძლიერი მორაგბე არ მინახავს. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ 14 ოპერაცია აქვს გადატანილი, მაგრამ მაინც ძალიან მაგარია!

**— და რაგბიმდე სხვა სპორტით იყავი დაკავებული?**

— ოთხი წელი ჩოგბურთზე დავდიოდი. ცურვაზეც დიდი ხანი ვიარე, მერე კი რაგბის დროც დადგა...

**— საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი უკვე მოიგო, ახლა მსოფლიოს თასზე გასვლაა მიზანი. როგორ უყურებ მომავალ მატჩებს?**

— დიდი იმედით. მსოფლიოს თასზე აუცილებლად უნდა გავიდეთ — ესაა ჩვენი უმთავრესი მიზანი და ამის მისაღწევად არაფერს დავიშურებთ.

**— თუმცა მაინცდამაინც სახარბიელო კალენდარი არ გვაქვს...**

— ამას უკვე ვეღარ შევცვლით... პორტუგალიაში და რუმინეთში გასვლა და რუსეთთან ნეიტრალურზე გვიწევს ბრძოლა, თუმცა ამისთვის მზად ვართ.

**— რუსეთთან, ალბათ, საფრანგეთში იქნება თამაში, რაც ჩვენს წისქვილზე უნდა ასხამდეს წყალს — „ბორჯღალოსნების“ უმრავლესობა ხომ ამ ქვეყანაში თამაშობთ...**

— მე როგორც ვიცი, შესაძლოა, თურქეთში დაინიშნოს ეს თამაში, თუმცა ასეც და ისეც, როგორც ყოველთვის, რუსებს არაფერს დავუთმობთ.

**— რუმინეთში გასვლაც ვახსენეთ და, ამ თამაშს მთელი საქართველო გაათკეცებული ჟინით ელოდება. მიხვდებოდი, „დინამო“ — „ფარულის“ მატჩისას ნაცემ ქართველებს ვგულისხმობ...**

— ცუდი ფაქტი მოხდა, მაგრამ ასე ხელაღებით ძნელი სათქმელია, რომ ეს მხოლოდ ქართველებს მოუწყვეს. იმ ჩხუბში ჩვენების გარდა სხვებსაც მაგრად მოხვდათ და ხელს ვერ დავადებთ, გინდა თუ არა, ქართველები ცემეს და სხვები არაო.

**— გასაგებია, მაგრამ მათ საქციელს მაინც არ აქვს გამართლება...**

— ეგ რა თქმა უნდა. არც მთლად ისე იქნებოდა საქმე, რომ ქართველებისთვის ხელი დაეფარებინათ... ალბათ გულში ჩაიდეს თბილისური წაგება. არა უშავს, ჩავალთ და საკადრის პასუხს გავცემთ!

**— უფრო შორსაც გავიხედოთ: ერთა თასის მომდევნო გათამაშების მოგებაზე უკვე აღარ ვიმკითხავოთ და რა მიზნებით ჩავა საქართველოს ნაკრები მომავალ მსოფლიოს თასზე?**

— ჯერ ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. ჩვენ ყველა თამაშისთვის მოსაგებად გავდივართ მოედანზე და ასე იქნება ყოველთვის. მიზანი ალბათ მინიმუმ ერთი თამაშის მოგება უნდა იყოს. თუ მეორეც მოვიგეთ, ამას რა აჯობებს. რაგბი სხვა სახეობებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ რთულია გრანდებთან წარმატებაზე ფიქრი, თუმცა ჩვენ გასულ მსოფლიოს თასზეც დავამტკიცეთ, რომ იოლად არაფერს დავთმობთ. რაც მთავარია, ახლა უფრო მეტი ამბიციით ჩავალთ ახალ ზელანდიაში და დარწმუნებული ვარ, მწვრთნელიც კარგად მოგვამზადებს.

**— რა წამოიღო გუნდმა წინა ორი მსოფლიოს თასიდან? ანუ რა არის ის, რამაც მომავალ მსოფლიოს თასზე უნდა გაგიიოლოთ თამაში?**

— პირველ რიგში, გამოცდილება. იმაშიც დავრწმუნდით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური მომზადება — ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც კი სისულელეა. ასე რომ, მოსამზადებელ ეტაპზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**— ამაში, ალბათ, კლუბებმაც უნდა შეგვიწყონ ხელი. გვახსოვს, ადრე ყოველთვის პრობლემა იქმნებოდა კლუბების მიერ თქვენი დროულად არგამოშვების გამო...**

— ეს პრობლემა ირბ-მ უკვე მოაგვარა. წლეულს ასე აღარ არის და თუ ირბ-ის ეგიდით თამაში ტარდება, კლუბს უფლება არ აქვს, მორაგბე შეაყოვნოს.

**— 7-კაცა ნაკრებზეც ვთქვათ. მით უმეტეს, მისი წევრი ხარ. მოდი, ავუხსნათ მკითხველს რა სპეციფიკური განსხვავებაა 15-კაცა და 7-კაცა ნაკრებებს შორის...**

— ერთი და იგივე სპეციფიკაა. უბრალოდ, 7-წუთიანი ტაიმებია და მაქსიმალურად ფიქრობ ქულების სწრაფად მოპოვებაზე. იქ იმის დრო არ გაქვს, მიზანმიმართულად შეუტიო მეტოქეს და ნელ-ნელა გატეხო. 7-კაცაში პირიქითაც კი ხდება, უკან-უკან სიარული შეგიძლია და როგორც კი პატარა ინტერვალს დაინახავ, იქ უნდა გაძვრე და ლელო დადო. 15-კაცაში კი ასე არ არის — უკან ვერ წახვალ, იქ სულ წინ უნდა იყურო და ასე შეუტიო...

**— და ამათგან განსხვავებულია 13-კაცა...**

— 13-კაცაც მითამაშია და აბსოლუტურად სხვა რამეა. იქ უამრავი განსხვავებული წესია...

**— საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ის იშვიათი სათამაშო სახეობის გუნდია, რომელიც სტაბილურად აღწევს წარმატებებს და გადის მსოფლიოს თასზე. როგორ ფიქრობ, რატომ ვერ აკეთებს იგივეს, ვთქვათ, ფეხბურთის და კალათბურთის ნაკრებები?**

— ეგ რომ ვიცოდე, მივიდოდი მათთან და აღალად ვეტყოდი...

**— ანუ რამე განსაკუთრებული „საიდუმლო“ არაფერი გაქვთ ქართველ მორაგბეებს?**

— როგორ გითხრათ... ჩემთვისაც ძნელი ასახსნელია, რატომ ხდება ასე. ისინიც ხომ ჩვენსავით ქართველები არიან, ნიჭიც აქვთ, თამაშიც შეუძლიათ... ვერ გეტყვით... მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მით უმეტეს, ფეხბურთელებიც და კალათბურთელებიც მეგობრები მყავს და ვერც მათ გაუგიათ ამის მიზეზი.

**— გავრცელებული აზრით, მორაგბეთა ნაკრები იმით გამოირჩევა, რომ შეკრული გუნდია და ეს განსაკუთრებულად იგრძნობა მათი თამაშის ნახვისას...**

— ალბათ ეს უფრო იქნება მიზეზი... ამდენი წარუმატებლობა შიდა პრობლემების ბრალი უფრო მგონია, ვიდრე სხვა რამის. რაც შეეხება ჩვენს ერთიანობას, ამასაც განგებ არავინ აკეთებს — უბრალოდ, ასე გამოდის. ყოველთვის გვერდით ვუდგავართ ერთმანეთს, რადგან თუ ერთი გუნდის წევრები ვართ, სხვანაირად არ გამოვა. ფეხბურთის ნაკრების თამაშზეც მივსულვართ მთელი გუნდი ერთად, ოღონდ ეს იმის გამო არ გაგვიკეთებია, რომ ვინმეს დაენახა და ეთქვა, აი, მორაგბეები მოვიდნენო. მე შემეძლო, იმ დღეს სხვაგან წავსულიყავი და ფეხბურთი არ მენახა, მაგრამ როცა მთელმა გუნდმა ვთქვით, რომ წავიდეთ და ბიჭებს ვუქომაგოთო, იქ უკვე უფლება არ ჰქონდა ვინმეს, სხვანაირად მოქცეულიყო...

**— კეთილი. და ისევ რაგბით დავასრულოთ: მალე ჩერჩილის თასზე სათამაშოდ მიდიხართ...**

— სერიოზული ტურნირია და მიხარია, რომ იქ თამაში მომიწევს. საფრანგეთში გავივლით შეკრებას და დენვერში 28 მორაგბე წავალთ. სამწუხაროდ, ყველა ვერ ახერხებს წამოსვლას, რადგან ზოგს ჯერ საკლუბო სეზონი არ დაუსრულებია, თუმცა ვინც მივდივართ, ბოლომდე საბრძოლველად მზად ვართ...

**ქახა შალამბერიძე**




# შვიდკაცაამ ევროპა სოპოტით დაიწყო

**პოლონურ** სოპოტში ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩატარდა შვიდკაცა რაგბიში, რომელშიც ჩვენმა ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა.

მოგეხსენებათ, რომ სულ შვიდი ეტაპი ტარდება და თითოეულ გუნდს ამათგან ორ ეტაპში გამოსვლა შეუძლია. ამის მერე კი ქულები ჯამდება და საუკეთესონი ევროპის ჩემპიონატზე გამოდიან.

სოპოტში ამ ნაკრებებმა მოიყარეს თავი: პორტუგალია, **საქართველო**, **პოლონეთი**, შვედეთი, ლატვია, **დანია**, **ჩეხეთი**, ლუქსემბურგი, უნგრეთი, **ნორვეგია**.

გუნდები ორ ჯგუფში განაწილდნენ და მუქი შრიფტით საქართველოს ჯგუფში მყოფები გვბავს გამოყოფილი.

შაბათს, პირველ სოპოტურ მატჩში ქართველმა შვიდეულმა ნორვეგიას სძლია 35:5.

სოპოტური ტური ქართველმა მორაგბეებმა ჩეხეთთან მატჩით გააგრძელეს და 14:12 მოუგეს.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ „ბორჯღალოსნებს" გაუჭირდათ, არადა, ჩეხეთი სულაც არ არის განსაკუთრებული ძალის გუნდი. თანაც პირველი 7-წუთეული ჩვენებმა 7:12 დათმეს.

შაბათის მესამე მატჩში ქართველები მასპინძელ პოლონელებს შეხვდნენ და 24:26 დამარცხდნენ. თანაც ჩვენებმა პირველი ტაიმი 0:19 დათმეს. მერე კი ამოქაჩეს და ლელოები დადეს, მაგრამ...

ამ შედეგით პოლონეთი ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა, ქართველებმა კი საქმე მეორე ადგილისთვის გადადეს.

საკვირაო მატჩების შედეგებს კი ბოლო გვერდზე გაგაცნობთ.

**ირაკლი ნინიძე**

**საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა. III ტური**

**რუსთავი 6:24 ბათუმი**
**ყორჩები 12:17 აკადემია**
**ლოკომოტივი 21:9 აია**
**ლელო 29:16 უნივერსიტეტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 3 | 3 | 0 | 0 | 49:29 | 6 |
| ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | 88:35 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 63:47 | 4 |
| ყორჩები | 2 | 1 | 0 | 1 | 30:32 | 2 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 63:94 | 2 |
| რუსთავი | 3 | 1 | 0 | 2 | 24:40 | 2 |
| აია | 2 | 0 | 0 | 2 | 24:39 | 0 |
| უნივერსიტეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 33:58 | 0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინარას სერენას სუნთქვაც არ ესმის

## ნადალმა ჯოკოვიჩი დროში დაამარცხა

**წინა** კვირაში ქართველი ჩოგბურთელების ამბები ასეთი იყო: მანანა შაფაქიძე და ანა ჯიქია ანთალიაში 10-ათასიან ტურნირზე იბრძოდნენ. მანანა მერვედფინალში გერმანელ პერკოვიჩთან დამარცხდა 3:6 6:7, ხოლო წყვილებში ბელარუს ლუკოსთან ერთად ბელგიელ გოგონებთან ნახევარფინალში წააგო — 7:6 4:6 6:7. არადა, შაფაქიძე-ლუკო ტურნირზე პირველ ნომრად იყვნენ განთესილნი.

ჯიქიაც შაფაქიძის დარად მერვედფინალში დამარცხდა იტალიელ სულპიციოსთან — 2:6 1:6.

წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში დამარცხდა დღეისთვის საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი, ვინაც საფრანგეთში, სენ გოდენის 50-ათასიან ტურნირზე გამოდიოდა. ანას და კანადელ ფიჩმანს ჩეხმა ჩეტკოვსკამ და ფრანგმა პიშემ 7:6 4:6 7:6 მოუგეს. ამავე ტურნირის ერთეულთა თანრიგს ანა მერვედფინალიდან დაემშვიდობა — პეტრა ჩეტკოვსკასთან დამარცხდა.

ნიუკასლის 10-ათასიან ტურნირს პირველივე წრის მერე გამოემშვიდობა ლაზარე კუხალაშვილი, ვინაც ფრანგ დავიდ გუეზთან 1:6 3:6 დამარცხდა.

მსოფლიო ჩოგბურთის მთავარქალაქი კი წინა კვირაში მადრიდი იყო, სადაც ქალებმაც და კაცებმაც მასტერსის ტურნირი და გვარიანი საპრიზო ფონდი გაითამაშეს.

კაცთა ფინალში ახლანდელი და ძველი პირველი ჩოგნები გავიდნენ. ამათი მატჩი წუხელ გვიან დამთავრდა და შედეგს ბოლო გვერდზე გაგაცნობთ, აქ კი ცოტაოდენი ისტორია გავიხსენოთ.

ნადალი და ფედერერი აქამდე 19-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ამათგან ესპანელმა 13 დაპირისპირება მოიგო.

ამასთანავე ნადალმა ბოლო ხუთ შეხვედრაში მიჯრით მოიგო ერთ დროს „მხიარული როჯერი" და სწორედ ამის გამო გადმოვარდა შვეიცარიელი მსოფლიო ტახტიდან, რომელზედაც, არცთუ შორეულ წარსულში, ძალზედ მყარად იჯდა.

ამ ფინალამდე როჯერ ფედერერს მასტერსის კლასის ტურნირებში 14 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. ნადალს — ერთით მეტი.

ნადალმა წლეულს აქამდე 6 ტურნირი მოიგო, კარიერაში — 36. ფედერერი კი, გასაოცრად, წელს ერთი ჯილდოს მფლობელიც არ გამხდარა.

და არ იქნება, აქვე ერთი საინტერესო ამბავიც არ ვთქვათ, ნახევარფინალში რომ მოხდა. ტურნირის ამ ეტაპზე ნადალმა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი 4 საათსა და 3 წუთში დაამარცხა.

ნადალისთვის კარიერაში ეს მესამე უხანგრძლივესი მატჩი გახლდათ. უიმბლდონის შარშანდელ ფინალში ნადალმა ფედერერის დამარცხებას 4 საათი და 48 წუთი მოანდომა, ხოლო წელს ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ფერნანდო ვერდასკოს 5 საათსა და 14 წუთში სძლია.

ბარემ აქვე ღია პირველობების ეპოქის (1968 წელს აქეთ) უხანგრძლივესი მატჩიც ვახსენოთ: 2004 წელს, საფრანგეთის ღია პირველობაზე ფაბრის სანტორომ არნუდ კლემენტის დამარცხებას 6 საათი და 33 წუთი შეალია.

ქალებში კი მსოფლიოს პირველი ჩოგანი დინარა საფინა მიჯრით მესამედ გავიდა WTA-ს ეგიდით ჩატარებული შეჯიბრების ფინალში, წინა ორიდან კი ერთი მოიგო.

ამ ჯერზე რუსმა გოგომ გადამწყვეტ მატჩში დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი დაამარცხა, ვინაც თავის მხრივ, ნახევარფინალიდან ყოფილი პირველი ჩოგანი ამელი მორესმო გააგდო.

და ვინაიდან სერენა უილიამსმა პირველივე წრეში ტრავმის გამო უარი თქვა ფრანჩესკა სკიავონესთან თამაშის გაგრძელებაზე (პირველი სეტი იტალიელმა მოიგო), ახალ მსოფლიო რეიტინგს რომ გამოაქვეყნებენ, დინარა სერენაზე უკვე ორიოდე ათასი ქულით წინ იქნება. ეს კი ნიშნავს, რომ რუსის პირველჩოგნობას ჯერჯერობით ვერავინ დაემუქრება.



დინარა საფინა

**ირაკლი ნინიძე**

**კაცები**
**მადრიდ ოუფენი**
**მადრიდი, ესპანეთი**
**თიხნარი. 3 700 000 ევრო**

### II წრე

**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:3 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 6:1 6:7 7:6; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:4 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:3 6:3; **ანდრეას სეპი** (იტალია) — სემ კვერი (აშშ) 6:3 4:6 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) 6:4 7:5; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:3 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:2 4:1 უარი; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ჟერემი შარდი (საფრანგეთი) 6:4 7:5; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 3:6 7:6 6:2; **ენდი მიურეი** (დიდი ბრიტანეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 7:6 6:4; **ენდი როდიკი** (აშშ) — ტომი ჰაასი (გერმანია) 1:6 7:6 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — ფლორან სერა (საფრანგეთი) 7:5 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:7 6:4 7:6; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:1 7:5

### III წრე

**რაფაელ ნადალი** — ფილიპ კოლშრაიბერი უარი; **ფერნანდო ვერდასკო** — ხუან მონაკო 7:5 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** — ანდრეას სეპი 6:4 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** — ჟილ სიმონი 3:6 6:4 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო** — სტანისლას ვავრინკა 4:6 6:4 6:4; **ენდი მიურეი** — ტომი რობრედო 7:5 6:1; **ენდი როდიკი** — ნიკოლაი დავიდენკო უარი; **როჯერ ფედერერი** — ჯეიმს ბლეიკი 7:5 6:7 6:1

### მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** — ფერნანდო ვერდასკო 6:4 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** — ივან ლიუბიჩიჩი 6:4 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო** — ენდი მიურეი 7:6 6:3; **როჯერ ფედერერი** — ენდი როდიკი 7:5 6:7 6:1

### ნახევარფინალი

**რაფაელ ნადალი** — ნოვაკ ჯოკოვიჩი 3:6 7:6 7:6; **როჯერ ფედერერი** — ხუან მარტინ დელ პოტრო 6:3 6:4

### ფინალი

რაფაელ ნადალი — როჯერ ფედერერი

**ქალები**
**მადრიდ ოუფენი**
**მადრიდი, ესპანეთი**
**თიხნარი. 4 500 000 დოლარი**

### II წრე

**დინარა საფინა** (რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:3 7:6; **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — ენ კიოავონი (დიდი ბრიტანეთი) — 6:1 7:5; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 1:6 6:2 7:6; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 7:5 6:2; **ელენა ვესნინა** — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 7:5 6:3; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:2 6:4; **ნადეჟდა პეტროვა** (რუსეთი) — ანალენა გრონეფილდი (გერმანია) 4:6 7:6 7:6; **ვიქტორია აზარენკო** — შუაი პენი (ჩინეთი) 6:4 6:1; **აგნეშ სავაი** (უნგრეთი) — არავან რეზაი (საფრანგეთი) 2:6 7:5 6:2; **ამელი მორესმო** (საფრანგეთი) — ცზე ცზენი (ჩინეთი) 6:2 7:5; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ლურდეს დომინგეს-ლინო (ესპანეთი) 6:3 6:2; **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) — ვინუს უილიამსი (აშშ) 6:3 3:6 7:5; **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია) — ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:3 6:1; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 4:6 6:1 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:4 6:2

### III წრე

**დინარა საფინა** — ლუსი შაფაროვა 6:0 4:6 6:3; **ალიონა ბონდარენკო** — ანა ჩაკვეტაძე 6:0 2:6 6:3; **ელენა იანკოვიჩი** — ელენა ვესნინა 6:2 6:2; **პატი შნიდერი** — ნადეჟდა პეტროვა 6:4 6:7 7:6; **აგნეშ სავაი** — ვიქტორია აზარენკო 4:6 6:2 6:2; **ამელი მორესმო** — ელენა დემენტიევა 1:6 6:4 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი** — ალისა კლეიბანოვა 6:2 6:2; **ვერა დუშევინა** — ფრანჩესკა სკიავონე 6:3 4:6 6:2

### მეოთხედფინალი

**დინარა საფინა** — ალიონა ბონდარენკო 6:4 6:3; **პატი შნიდერი** — ელენა იანკოვიჩი 7:6 6:3; **ამელი მორესმო** — აგნეშ სავაი 5:7 6:1 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი** — ვერა დუშევინა 6:0 6:4

### ნახევარფინალი

**დინარა საფინა** — პატი შნიდერი 6:4 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი** — ამელი მორესმო 7:6 6:3

### ფინალი

**დინარა საფინა** — კაროლინ ვოზნიაცკი 6:2 6:4

# რეიტინგები

| კაცები | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 15360 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 10170 |
| 3. ერდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) | 8990 |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 8920 |
| 5. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 4720 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 4040 |
| 7. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 4030 |
| 8. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3900 |
| 9. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 3455 |
| 10. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 3310 |
| 11. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3265 |
| 12. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2945 |
| 13. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2645 |
| 14. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 2635 |
| 15. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2455 |
| 16. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2370 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2350 |
| 18. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 2135 |
| 19. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 2090 |
| 20. მარატ საფინი (რუსეთი) | 2015 |

| ქალები | |
|---|---|
| 1. დინარა საფინა (რუსეთი) | 9011 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 8053 |
| 3. ვინუს უილიამსი (აშშ) | 7452 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 7330 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 6991 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 5890 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 5206 |
| 8. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 4894 |
| 9. ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) | 4506 |
| 10. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 3840 |
| 11. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 3790 |
| 12. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3686 |
| 13. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 3304 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 3210 |
| 15. ალიზე კორნე (საფრანგეთი) | 2665 |
| 16. ციე ჟენი (ჩინეთი) | 2609 |
| 17. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 2505 |
| 18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 2415 |
| 19. კაია კანეპი (ესტონეთი) | 2410 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2377 |

# როცა მასპინძელი უკმაყოფილოა



ვანო ნორაკიძე და „დარი"

**როდესაც** 2004 წელს დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანზე საქართველოს ნაკრებმა დაბრკოლებათა გადალახვაში (ირაკლი ბულისკერია — „გალერა", გეგი მეტონიძე — „დავლური", ცოტნე ლაბაშია — „პაგი", ირაკლი ნარმანია — „ბრაუნი") მეოთხედ მოიგო „კავკასიის თასი", საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის მასპინძელმა გენერალურმა მდივანმა ვანო ყურუამ საზეიმოდ დაჯილდოების მერე პირადად გამაცნო ტურნირის მთავარი მსაჯი, ირანელი რაქმან როდპოური. იგი პირველად 2001 წლის ოქტომბერში ეწვია ამ ტურნირს. მთავარი მსაჯი ბერძენი ქალბატონი ლენა ლევიდისი იყო, რადპოურს კი, ირანის ცხენოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს, მარშრუტების შედგენა ევალებოდა. კლასიკური ცხენოსნობის გულშემატკივრებს, ალბათ, კარგად ახსოვთ ცხენოსნობის მსოფლიო ფედერაციის — უდიდესი ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციის — წარმომადგენლების ნამდვილად მაღალკვალიფიციური და პასუხისმგებლობით აღსავსე შრომა იმ დღეების მანძილზე. ახალგაცნობილ მთავარ მსაჯს კი ვითარების შესატყვისი ორიოდე შეკითხვის მერე სიტყვა ჩამოვუგდე XI საუკუნის სპარსელი კლასიკოსის ამირ ქეი-ქავუსის თხზულებაზე — „ქაბუს-ნამეზე" (ქართულად „დარიგებათა წიგნი"), რომელიც ცხენოსნობის შესახებაც შეიცავს საგულისხმო ამბებს. მართალია, საუბრის ეს თემა მისთვის, როგორც შევატყვე, ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში რაიმე კონკრეტული ცოდნა არც წიგნზე და არც მის ავტორზე არ გამოუმჟღავნებია; მაგრამ როცა ისიც ვუთხარი, რომ ამ რაინდულ დიდაქტიკურ ნაშრომს შუა საუკუნეებიდან იცნობდნენ საქართველოში, ხოლო მწიგნობარმა მეფემ ვახტანგ VI-მ, ქართული „ცხენის კარაბადინის" ერთ-ერთი ვარიანტის ავტორმა, თვითონ თარგმნა შემოკლებულად (ჯერ პროზად და მერე ლექსადაც), ხოლო ოცი წლის წინათ ახალი, თანამედროვე თარგმანიც გამოქვეყნდა-მეთქი, დიდი სიხარული და სიამაყე აღებეჭდა სახეზე.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ, ჩემი აზრით, საკუთრივ ფეი-ს მყარი სპორტული ტრადიციებისა და ძველი კეთილშობილური რაინდული სულისკვეთებითაც დაეხმარა რადპოურს — ბაქოში წინა კვირას (8-10 მაისს) ჩატარებული საერთაშორისო ტურნირის მთავარ მსაჯს — უყოყმანოდ, ზედმეტი დავიდარაბის გარეშე მიეღო სწორი გადაწყვეტილება ნაძალადევი პრობლემების გამო, რაც ჩვენს დროში ზოგჯერ სანატრელიც არის.

მოკლედ ჯერ თვითონ ამ ტურნირზე მოგახსენებთ: უკვე ტრადიციად იქცა ბაქოში ჰეიდარ ალიევის თასის გათამაშება დაბრკოლებათა გადალახვაში. წელს კი ამ პირადმა შეჯიბრებამ მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის (ორვარსკვლავიანის) სტატუსი შეიძინა და ამდენად მისი მნიშვნელობაც გაიზარდა. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში ამჯერად სამი მხედარი (გიორგი სამხარაძე, შალვა გაჩეჩილაძე, ვანო ნორაკიძე) იყო. მაგრამ ცხენსაზიდზე თბილისშივე ჯერ სამხარაძის ფაშატი დაზიანდა, ხოლო ბაქოში ჩასვლის შემდეგ მოულოდნელად ანთებითი გართულების გამო „ეკლერი" დაილუპა. ასე რომ, გუნდიდან მარტო ნორაკიძე დარჩა თავისი 6 წლის წმინდა სისხლის „ეროსით" და 10 წლის ბუდიონური ჯიშის „დარით". არადა, აზერბაიჯანში საცხენოსნო აღმავლობა არ ცხრება. ჩვენი საცხენოსნო ამქრისთვის კარგად ნაცნობი მეცენატი მ. მ. აგრძელებს საკონკურსოდ დასპეციალებული, გაწაფული ცხენების ყიდვას გერმანიაში, ნიჭიერ ახალგაზრდებსაც აგზავნის იქ საწვრთნელად და პრესტიჟულ შეჯიბრებებზე გამოცდილ უცხოელი მხედრებსაც იწვევს, რათა მისი კლუბის და, საერთოდ, აზერბაიჯანის სახელით გამოვიდნენ.

აი, ასეთ ორგანიზებულ მეტოქეებთან გაჯიბრება მოუწია ქართველ მხედარს და, რაც მთავარია, მისი გამოსვლა წარმატებული გამოდგა. პირველ დღეს „სისწრაფის და მართვის" კონკურში (სიმაღლე — 130 სმ) 5 მონაწილე უჯარიმოდ გამოვიდა. გაიმარჯვა (სისწრაფით) სეიდ მუსაევმა. ვანო „დარით" მეორე იყო. კონკური „ქულათა მაქსიმუმი" ალტერნატიული დაბრკოლებით — „ჯოკერით" მოიგო რუსეთიდან მიწვეულმა, გამოცდილმა ოსტატმა გენადი გაშიბაიაზოვმა; ვანო ენდო „დარს": „ჯოკერზე" (150 სმ) ორჯერ უშეცდომოდ გადახტა და აქაც მეორე დარჩა.

გადამწყვეტ კონკურზე, რომელზეც ჰეიდარ ალიევის თასიც თამაშდებოდა, და საეტაპო დიდი პრიზიც, მხოლოდ 12 მხედარი გამოვიდა. ოღონდ რახან მსოფლიო თასის ფინალში გასვლას ეტაპებზე მოპოვებული შედეგების ჯამი წყვეტს, ორცხენიანმა მხედარმა წინასწარ უნდა დათქვას, რომელი ცხენი ჰყავს შეგულებული ეტაპების ჩასათვლელად. აქ კი ბულგარეთიდან მოწვეულ, ადრე სულაც მ. მ.-ის საცხენოსნო კლუბის მწვრთნელს ვენტო ტენევს გერმანიაში ახლად ნაყიდმა „აქსევალმა" არ გაუმართლა: „ალიევის თასი" უჯარიმოდ კი მოიგო („ბპარით"); მაგრამ მეორე ბედაურით, სხვა ოთხ მონაწილესავით („მკვიდრი" ბაქოელი სამედ მუსაევი, გაშიბაიაზოვი, ნორაკიძე) 2 დაბრკოლება დააზიანა. ვანოსა და „დარის" სისწრაფემ გადაწყვიტა დიდი პრიზის ბედი: ეტაპი (სიმაღლე — 140 სმ, უმაღლესი C კლასი) ტურნირის უმრწემესმა მონაწილემ, ნორაკიძემ მოიგო.

თვითონ ვანოს არ მიაჩნია, რომ ეს შეჯიბრი „დარისთვის" სიმაღლოვანი მიღწევების რაღაც ახალი საფეხურია. შარშან ბაქოში „კავკასიის თასზე" მან „6 დაბრკოლების" კონკურზე 160 სმ ბარიერი ადვილად დაძლია, მაგრამ თვითონ ბედაურის ხასიათის გამოკეთება, გაჯიუტების მოშლა კი ახარებს.

**— კვირაცხოვლობის წინ „ეროსით" გამოსვლამ იმედი მოგვცა, რომ ბაქოში, პირველ კონკურში მაინც, კარგად უნდა გამოსულიყავი. რა დაემართა, გადაიღალა, მგზავრობამ იმოქმედა, რატომ გიმტყუნა?**

— ჯერ ერთი, 22-მონაწილიან შეჯიბრზე მეხუთე ადგილი არცთუ ცუდი შედეგია, თუმცა, ცხადია, უკეთესადაც შეეძლო. მაგრამ ცხენს ვერ დავაბრალებ; საქმე ისაა, რომ მეტისმეტად ვნერვიულობდი. პირველ ნომრად გამოვდიოდი (რახან 2 ცხენით ვმონაწილეობდი, კენჭისყრით ასე შემხვდა). თანაც ერთადერთი მონაწილე ვიყავი ჩემი ქვეყნიდან. რომ წარმოვიდგენდი უცხენოდ დარჩენილ გიო სამხარაძის, შალვა გაჩეჩილაძის, ჩვენი მწვრთნელების, ფედერაციის წამომადგენელთა მოლოდინს, თავლაში შესვლამდე სუნთქვა მეკვროდა. ჰო, შეიძლება, რაღაცნაირად დამალო ეს განწყობილება, საკუთარ თავსაც არ გამოუტყდე, მაგრამ ჯერ სანამ შეკაზმავდე, მერე, რომ შეჯდები და სადავეს ხელში აიღებ, ცხენი აღარ ტყუვდება და ისიც შემკრთალი გამოდის.

„დარის" ამბავი სხვაა. უკვე მაყურებელსაც ვეჩვეოდი, დახურული მანეჟის ტრიბუნები გადაჭედილი იყო (თბილისში ჩვენ ხომ მხოლოდ შინაური მცირერიცხოვანი მაყურებელი გვყავს). გამოცდილი ხალხის გამხნევება და რჩევაც არ მაკლდა, თანაც „დარი" ისეთი იმპულსიანია, ნერიულობის დროს აღარ გიტოვებს...

**— ამ წარმატების მერე რა გეგმები დასწყვეთ? თანაც ვიცი, რომ განათლების გაგრძელების გზასაც ადგახარ...**

— „ეროსის" დიდი იმედი კვლავაც მაქვს. „დარს" კი თუ შიგადაშიგ მოულოდნელი სიჯიუტე მოვაშლევინეთ, უფრო დამჯერი გავხადეთ, სიმაღლეების დაძლევა აღარ გაგვიჭირდება. ეს საწვრთნელ გეგმებს ზოგადად რაც შეეხება. მე პირადად, როგორც მხედარი, მოუთმენლად ველი იმ შეჯიბრს, რომელიც კვლავ ბაქოში აგვისტოში უნდა ჩატარდეს. ისეთი კონკურისტი, ტენევი რომ არის, თანაც „აქსევალზე" ამხედრებული, ორ დაბრკოლებას აღარ დააზიანებს. არც გაშიბაიაზოვია ნაკლები, მე და „დარმა" („ეროსიც" მხარში დაგვიდგება), უნდა დავუმტკიცოთ, რომ გამარჯვება ცხენოსნობაში შემთხვევით არ მოდის. რაც შეეხება მათი მეცენატის უსაფუძვლო პრეტენზიას, უფროს, თანაც ცხენოსნობის მხრივ ნამდვილად პატივსაცემ კაცზე, აუგის თქმა ჩემთვის შეუფერებელია, მაგრამ ჩვენი მომავალი მუშაობით მაინც უნდა გავცეთ პასუხი.

რაც შეეხება სწავლის ამბავს, დიახ, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი დავამთავრე და ახლა ევროპული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ვაგრძელებ მეცადინეობას სამოქალაქო სამართლის სპეციალობით, ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაშიც გავდივარ სტაჟირებას. ორგანვე ყოველმხრივ ხელს მიწყობენ, რომ ჩემს სპორტულ პროფესიას არავერი დავაკლო და მწვრთნელის, თანაგუნდელები არ დავაღალატო. ალბათ, ამ მხრივაც მომემატება საშუშაო, მაგრამ დაუძლეველი არ უნდა გამიხდეს. არც ფიზიკურ მომზადებას ვივიწყებ, ძალიან მეხმარება ჩვენს უბანში მინი-ფეხბურთის და ჩოგბურთის მოედნები. ოღნავ წონის მომატებისას იქ ვარ...

ეს ტურნირის მონაწილის თვალით დანახული ერთი ასპექტია. მწვრთნელებს, გუნდის ხელმძღვანელობას სხვა უფრო ვრცელი საზრუნავი ექნებათ, რაზეც აქ ახლა ვერ შევაჩერდებით. მკითხველს კი მოკლედ განვუმარტავთ, თუ რა იგულისხმება მეცენატის უსაფუძვლო პრეტენზიებში და რაც წერილის დასაწყისშივე მივანიშნეთ.

საქმე ისაა, რომ რომ აზერბაიჯანელი მასპინძლები (კერძოდ, მეცენატი მ.მ.) იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპის დიდი პრიზის მოგებას, რომ შეჯიბრის დამთავრებისთანავე შეეცადნენ წინასწარი დათქმის გაყალბებას, თითქოს ტენევს ჩასათვლელად „ბპარი" ჰყავდა შეგულებული. როცა საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის ენერგიული ჩარევის შედეგად ეს უკადრისი კორექტივი უმალვე გამჟღავნდა, მ. მ.-მ ახალი პრეტენზია წამოაყენა: გამარჯვებული ქართველი მხედრის ცხენი იმდენად ენერგიული ჩანდა მესამე დღის დამღლელ შეჯიბრზე, ალბათ, სტიმულატორი ექნებოდა მიღებული და უნდა შევამოწმოთო. რახან ეს რთული საქმეა, სისხლის ანალიზს ჩემსავე ლაბორატორიაში ჩავატარებთო.

მთავარმა მსაჯმა, ზემოთ ერთგვარ ისტორიულ-ლიტერატურულ კონტექსტში მოხსენიებულმა რადპოურმა დამაჯერებლად განუმარტა, რომ ტურნირზე, სადაც დოპინგკონტროლი არ იყო ნავარაუდევი, ასეთი წინადადების მიღება, თანაც რაიმე კონკრეტული არგუმენტის გარეშე, ფეი-ს წესდებას ეწინააღმდეგებაო.

კონფლიქტიც ამით ჩაცხრა. იგი, იმედია, გავლენას ვერ იქონიებს საქართველოს და აზერბაიჯანის ცხენოსნების კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე. მ.მ.-ის ნამდვილად დიდი ამაგი მიუძღვის თავის ქვეყანაში საცხენოსნო სპორტის განვითარებაზე. მისი ყურადღება, რამდენადაც ვიცი, არც ჩვენს ცხენოსნებს მოჰკლებიათ. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გულშემატკივრულმა ჟინმა სძლია ნამდვილი მოყვარულის გონივრულ მიდგომას. ასეთი წამიერი აფეთქება კი, ალბათ, დროს გაჰყვება.

**ნოდარ ეგრალიძე**

## ჯიროს ისტორიიდან



ეუჯენიო კოსტამანია

ჯიროს დამაარსებელი და მთავარი სპონსორია „გაძეტა დელო სპორტი". გაზეთის მთავარი რედაქტორი ეუჯენიო კოსტამანია ჯიროს პირველი დირექტორი გახდა. საერთოდ კი, ველორბოლის 100-წლიან ისტორიაში, მას სულ 4 დირექტორი ჰყავდა.

1908 წლის 7 აგვისტოს — პირველ ჯირომდე ერთი წლით ადრე, „გაძეტამ" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ცნობა, ახალი მრავალდღიანი ველორბოლის დაარსების შესახებ. ამ ცნობამ მკითხველთა უდიდესი ყურადღება მიიპყრო და საუკეთესო რეკლამა გამოდგა რედაქციისთვის.

პირველმა ჯირომ სტარტი 1909 წლის 13 მაისს ლორეტოში აიღო იქაური დროით 14:53 საათზე, ბოლო პუნქტი კი მილანი იყო.



ჯიროს პირველი ფინიში

სულ 8 ეტაპი ჩატარდა, რომელთა საერთო სიგრძე 2488 კილომეტრი გახლდათ. ეს ნიშნავს, რომ თითო ეტაპის დისტანცია საშუალოდ 311 კილომეტრს შეადგენდა, რაც ფანტასტიკური რიცხვია. ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ 127 მრბოლიდან ფინიშამდე მხოლოდ 47-მა მიაღწია.

პირველი ჯიროს გამარჯვებული გახდა ლუიჯი განა, რომელმაც საპრიზო ფონდიდან 5 325 ლირა მიიღო. ბოლო ადგილზე გასულ სპორტსმენს 300 ლირა ერგო.

შედარებისთვის: ჯიროს დირექტორის, „გაძეტას" რედაქტორ ეუჯენიო კოსტამანიას ჯამაგირი თვეში 150 ლირა იყო.



ლუიჯი განა

# 100 Giro d'Italia

ასი წელი შესრულდა ჯიროს დაარსებიდან და ეს ხომ თავისთავად მატებს ინტრიგას წლევანდელ რბოლას, ამასთანავე ყურადღება მიპყრობილია ლეგენდარული ლენს არმსტრონგისკენ, ვინაც კარიერაში პირველად ინება ამ მრავალდღიან რბოლაში მონაწილეობა.

თუმცა დიადი ამერიკელი გენერალურ კლასიფიკაციაში ჯერ მხოლოდ მე-15 ადგილზეა და ამ კვირაში როგორ შეძლებს პოზიციის გაუმჯობესებას, ვნახოთ.

საერთო ჩათვლაში კი ლიდერობს იტალიელი დანილო დი ლუკა „ბრეიკს-ფარნეს ვინის" გუნდიდან, ვინაც ერთი ეტაპი მოიგო, დანარჩენებზე კი სტაბილურად ტრიალებდა ლიდერთა სიახლოვეს.

ისიც ვთქვათ, რომ მეექვსე ეტაპიდან პელეტონმა ავსტრიაში გადაინაცვლა და მეშვიდეს ბოლოს დაბრუნდა იტალიაში.

დი ლუკას ლიდერის ვარდისფერი მაისურა აცვია, სხვა ფერები კი ჯერჯერობით ასეა განაწილებული: თეთრი (საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისა) — 25 წლის თომას ლოვკვისტისაა; მწვანე (სამთო ეტაპების ლიდერისა) — რუს დენის მენშოვს ერგო.

### 1 ეტაპი. ლიდო — ვენეცია. 20,5 კმ. გუნდური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მარკ კავენდიში | დ. ბრიტანეთი | კოლამბია-ჰაი როუდი | 21,50 წთ |
| 2 | მარკო პინოტი | იტალია | კოლამბია-ჰაი როუდი | იგივე დრო |
| 3 | ედვალდ ჰაგენი | ნორვეგია | კოლამბია-ჰაი როუდი | იგივე დრო |

### 2 ეტაპი. იესოლო — ტრიესტე. 156 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ალესანდრო პეტაჩი | იტალია | ბრეიკს-ფარნეს ვინი | 3:43.07 სთ |
| 2 | მარკ კავენდიში | დ. ბრიტანეთი | კოლამბია-ჰაი როუდი | იგივე დრო |
| 3 | ბენ სვიფტი | დ. ბრიტანეთი | კატიუშა | იგივე დრო |

### 3 ეტაპი. გრადო — ვალდობიადენე. 198 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ალესანდრო პეტაჩი | იტალია | ბრეიკს-ფარნეს ვინი | 4:45.27 სთ |
| 2 | ტაილერ ფარარი | აშშ | ჯერმინ-სლიპსტრიმი | იგივე დრო |
| 3 | ფრანჩესკო გავაცი | იტალია | ლამპრე | იგივე დრო |

### 4 ეტაპი. პადოვა — სან მარტინო. 162 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | დანილო დი ლუკა | იტალია | ბრეიკს-ფარნეს ვინი | 4:15.04 სთ |
| 2 | სტეფანო გარძელი | იტალია | კაფე მოკამბო | იგივე დრო |
| 3 | ფრანკო პელიცოტი | იტალია | ლიკიგასი | იგივე დრო |

### 5 ეტაპი. სან მარტინო — სიესარი. 125 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | დენის მენშოვი | რუსეთი | რაბობანკი | 3:15.24 სთ |
| 2 | დანილო დი ლუკა | იტალია | ბრეიკს-ფარნეს ვინი | +2 წმ |
| 3 | თომას ლოვკვისტი | შვედეთი | კოლამბია-ჰაი როუდი | +5 წმ |

### 6 ეტაპი. ბრიქსენი — მაირჰოფენი. 248 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიკელე სკარპონი | იტალია | დიკიჯოვანი-ანდრონი | 5:49.55 სთ |
| 2 | ედვალდ ჰაგენი | ნორვეგია | კოლამბია-ჰაი როუდი | +32 წმ |
| 3 | ალენ დევისი | ავსტრალია | ქუიკ სტეპი | იგივე დრო |

### 7 ეტაპი. ინსბრუკი — ჩავენა. 244 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ედვალდ ჰაგენი | ნორვეგია | კოლამბია-ჰაი როუდი | 5:56.53 სთ |
| 2 | რობერტ ჰანტერი | ს. აფრიკა | ბარლოვორლდი | იგივე დრო |
| 3 | პაველ ბრუტი | რუსეთი | კატიუშა | იგივე დრო |

### 8 ეტაპი. მორბენო — ბერგამო. 209 კმ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | კონსტანტინ სიუცუ | ბელარუსი | კოლამბია-ჰაი როუდი | 5:04.34 სთ |
| 2 | ედვალდ ჰაგენი | ნორვეგია | კოლამბია-ჰაი როუდი | +21 წმ |
| 3 | დანილო დი ლუკა | იტალია | ბრეიკს-ფარნეს ვინი | იგივე დრო |

### გენერალური კლასიფიკაცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | დანილო დი ლუკა | იტალია | ბრეიკს-ფარნეს ვინი | 33:13.35 |
| 2 | თომას ლოვკვისტი | შვედეთი | კოლამბია-ჰაი როუდი | +13 წმ |
| 3 | მიხაელ როჯერსი | ავსტრია | კოლამბია-ჰაი როუდი | +44 წმ |
| 4 | ლევი ლეიპაიმერი | აშშ | ასტანა | +51 წმ |
| 5 | დენის მენშოვი | რუსეთი | რობობანკი | +58 წმ |
| 6 | ივან ბასო | იტალია | ლიკიგასი | +1.14 წთ |
| 7 | კარლოს სასტრე | ესპანეთი | კარველო ტესტი | +1.24 წთ |
| 8 | კრის ჰორნერი | აშშ | ასტანა | +1.25 წთ |
| 9 | ფრანკო პელიცოტი | იტალია | ლიკიგასი | +1.35 წთ |
| 10 | დევიდ აროიო | ესპანეთი | კეის დეპარნი | +1.49 წთ |



დანილო დი ლუკა

## ჯიროს ისტორიიდან

უინტერნეტო ეპოქაში რბოლის მსვლელობის გაგება გულშემატკივრებს ტელეფონით შეეძლოთ. 3368-ზე უნდა დაერეკათ და ბოლო ინფორმაციას შეიტყობდნენ.

ჯიროს ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა ფაუსტო კოპი 1940 წელს. ის 20 წლის 8 თვის და 25 დღის იყო.

უხუცესი გამარჯვებულიც ვახსენოთ: ფიორენცო მანი, ვინაც 1955 წელს 35 წლისა იყო.



ალფონსინა სტრადა

ჯიროს ყველაზე გრძელი ეტაპი იყო 1914 წელს ლუკადან რომამდე — 430 კილომეტრი. ამავე წელს ფინიშამდე ოდენ 8 არაქათგამოცლილმა სპორტსმენმა მიაღწია.

გინახავთ ქალი ჯიროზე? 1925 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქალები სულაც არ იყვნენ ემანსიპირებულები, ვინმე ალფონსინა სტრადამ დაიჟინა ჯიროში მონაწილეობა და საწადელი აისრულა კიდეც. პელეტონის მაჩანჩალა იყო და რამდენჯერმე ველოსიპედიდანაც გადავარდა, მაგრამ მილანში მაინც ჩააღწია და ოვაციაც დაიმსახურა.



ალფრედო ბინდა

იყო ასეთი ლეგენდარული მრბოლი — ალფრედო ბინდა, რომელმაც სამჯერ უდიდეს მოიგო ჯირო (1927,28,29). მოგებაც არის და მოგებაც — იმხელა უპირატესობით იგებდა, რომ შეჯიბრის ინტერესი ეკარგებოდა. ჰოდა, 1930 წელს, ჯიროს დირექტორმა სთხოვა, შეჯიბრში მონაწილეობა აღარ მიეღო. ბინდამ უპასუხა: „კარგი, თანახმა ვარ. ახლა კი დავსხდეთ და ვიანგარიშოთ. გადამიხადეთ ჰონორარი, რაც ყველა ეტაპის და საერთო ჩათვლის მოგებაში მეკუთვნის და სახლიდან ფეხს არ გავადგამ. ოჯახს მივხედავ".

და რა გგონიათ? გადაუხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | ფორა | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უეფა. უეფას თასი ფინალი | | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | | |
| 22:45 | 1 | შახტარი-ვერდერი | | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| 22:45 | 2 | შახტარი-ვერდერი | 1:0 | 1.50 | 4.20 | 4.80 | | | |
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 23:00 | 3 | პორტსმუთი-სანდერლენდი | | 2.15 | 3.20 | 3.50 | 1.28 | 1.33 | 1.67 |
| 23:00 | 4 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 0:1 | 4.00 | 3.80 | 1.70 | | | |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 22:00 | 125 | კონკორდია-სტ.გალენი | | 5.20 | 3.80 | 1.50 | 2.19 | 1.16 | 1.07 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 22:30 | 216 | ბულონი-სტრასბური | | 2.70 | 2.80 | 2.75 | 1.37 | 1.36 | 1.38 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 19:15 | 303 | ქიჭკოვი-სლავია | | 3.30 | 3.40 | 2.00 | 1.67 | 1.24 | 1.25 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 21:00 | 342 | ნორდსიელანდი-ვეილე | | 1.85 | 3.40 | 4.10 | 1.19 | 1.27 | 1.85 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 21:00 | 389 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 21:00 | 390 | იორგრიტე-ჰეკენი | | 2.60 | 3.25 | 2.40 | 1.44 | 1.24 | 1.38 |
| 21:00 | 391 | იურგორდენი-აიკ | | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 20:00 | 424 | კუოპიო-ინტერი | | 4.80 | 3.50 | 1.70 | 2.02 | 1.25 | 1.14 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 21:15 | 432 | ბრეიდაბლიკი-ჰაფნარფიორდური | | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 22:45 | 507 | გროსეტო-ბრეშა | | 2.50 | 2.80 | 2.90 | 1.32 | 1.34 | 1.42 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 21:15 | 508 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 23:15 | 510 | ფრამი-ფილკირი | | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 23:15 | 511 | ფიოლნირი-გრინდავიკი | | 1.90 | 3.30 | 3.35 | 1.20 | 1.21 | 1.66 |
| 23:15 | 512 | კეფლავიკი-ვალური | | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | უეფა. ევროპის ჩემპიონატი (17) ფინალი გერმანია | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 13:00 | 513 | გერმანია17-ჰოლანდია17 | | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა ფინალი | | | | | | | |
| | | 27 მაისი | | | | | | | |
| 22:45 | 515 | ბარსელონა-მანჩესტერი | | 2.60 | 3.30 | 2.60 | 1.45 | 1.29 | 1.45 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | | |
| 22:30 | 1000 | რომა-ბიელა | | 1.15 | 15.00 | 4.90 | 1.06 | 1.00 | 3.69 |
| 22:30 | 1004 | ტერამო-მილანი | | 1.60 | 13.00 | 2.25 | 1.42 | 1.00 | 1.91 |
| 22:30 | 1008 | სიენა-სკავოლინი | | 1.03 | 18.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 6.82 |
| 22:30 | 1012 | ტრევიზო-ფორტეზა ბოლონია | | 1.50 | 15.00 | 2.60 | 1.36 | 1.00 | 2.21 |

### I ტაიმის შედეგი

| № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10125 | კონკორდია-სტ.გალენი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10216 | ბულონი-სტრასბური | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10303 | ქიჭკოვი-სლავია | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10342 | ნორდსიელანდი-ვეილე | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10389 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10390 | იორგრიტე-ჰეკენი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10391 | იურგორდენი-აიკ | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10424 | კუოპიო-ინტერი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10507 | გროსეტო-ბრეშა | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10508 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10513 | გერმანია17-ჰოლანდია17 | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10001 | შახტარი-ვერდერი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10515 | ბარსელონა-მანჩესტერი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |

### II ტაიმის შედეგი

| № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19003 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19125 | კონკორდია-სტ.გალენი | 5.00 | 2.60 | 1.80 | 1.71 | 1.32 | 1.06 |
| 19216 | ბულონი-სტრასბური | 3.00 | 2.20 | 2.75 | 1.26 | 1.43 | 1.22 |
| 19303 | ქიჭკოვი-სლავია | 3.70 | 2.30 | 2.25 | 1.41 | 1.39 | 1.13 |
| 19342 | ნორდსიელანდი-ვეილე | 2.25 | 2.30 | 4.20 | 1.13 | 1.46 | 1.48 |
| 19389 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.75 | 2.40 | 6.50 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| 19390 | იორგრიტე-ჰეკენი | 2.90 | 2.40 | 2.65 | 1.31 | 1.38 | 1.25 |
| 19391 | იურგორდენი-აიკ | 3.25 | 2.65 | 2.20 | 1.45 | 1.31 | 1.20 |
| 19424 | კუოპიო-ინტერი | 4.50 | 2.55 | 1.85 | 1.62 | 1.31 | 1.07 |
| 19507 | გროსეტო-ბრეშა | 2.70 | 2.40 | 2.90 | 1.27 | 1.39 | 1.31 |
| 19508 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.35 | 2.50 | 3.50 | 1.21 | 1.40 | 1.45 |
| 19513 | გერმანია17-ჰოლანდია17 | 2.15 | 2.50 | 3.90 | 1.15 | 1.38 | 1.52 |
| 19001 | შახტარი-ვერდერი | 3.00 | 2.20 | 2.75 | 1.26 | 1.43 | 1.22 |
| 19515 | ბარსელონა-მანჩესტერი | 2.90 | 2.40 | 2.65 | 1.31 | 1.38 | 1.25 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11125 | კონკორდია-სტ.გალენი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11216 | ბულონი-სტრასბური | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11303 | ქიჭკოვი-სლავია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11342 | ნორდსიელანდი-ვეილე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11389 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11390 | იორგრიტე-ჰეკენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11391 | იურგორდენი-აიკ | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11424 | კუოპიო-ინტერი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11507 | გროსეტო-ბრეშა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11508 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11513 | გერმანია17-ჰოლანდია17 | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11001 | შახტარი-ვერდერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11515 | ბარსელონა-მანჩესტერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| № | მატჩი | | |
|---|---|---|---|
| 16003 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.52 | 2.20 |
| 16125 | კონკორდია-სტ.გალენი | 3.60 | 1.23 |
| 16216 | ბულონი-სტრასბური | 1.80 | 1.80 |
| 16303 | ქიჭკოვი-სლავია | 2.30 | 1.48 |
| 16342 | ნორდსიელანდი-ვეილე | 1.32 | 3.00 |
| 16389 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.11 | 5.70 |
| 16390 | იორგრიტე-ჰეკენი | 1.82 | 1.82 |
| 16391 | იურგორდენი-აიკ | 2.20 | 1.50 |
| 16424 | კუოპიო-ინტერი | 3.30 | 1.25 |
| 16507 | გროსეტო-ბრეშა | 1.80 | 1.85 |
| 16508 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.50 | 2.30 |
| 16513 | გერმანია17-ჰოლანდია17 | 1.25 | 3.40 |
| 16001 | შახტარი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 16515 | ბარსელონა-მანჩესტერი | 1.82 | 1.82 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)**

| | | |
|---|---|---|
| 13003პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13216ბულონი-სტრასბური | 1.60 | 2.00 |
| 13342ნორდსიელანდი-ვეილე | 1.60 | 2.00 |
| 13389ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.90 | 1.70 |
| 13390იორგრიტე-ჰეკენი | 1.80 | 1.80 |
| 13391ოურგორდენი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13424კუოპიო-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13507გროსეტო-ბრეშა | 1.70 | 1.90 |
| 13508ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.50 | 2.10 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| *15003 პორტსმუთი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15125 კონკორდია-სტ.გალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15216 ბულონი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15303 ჟიჯკოვი-სლავია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15342 ნორდსიელანდი-ვეილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15389 ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15390 იორგრიტე-ჰეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15391 ოურგორდენი-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15424 კუოპიო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15507 გროსეტო-ბრეშა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15508 ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15513 გერმანია17-ჰოლანდია17 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15001 შახტარი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15515 ბარსელონა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**პირველი ტაიმი ფრეს გარეშე**

| | | |
|---|---|---|
| 23003პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.27 | 1.75 |
| 23125კონკორდია-სტ.გალენი | 2.55 | 1.10 |
| 23216ბულონი-სტრასბური | 1.47 | 1.47 |
| 23303ჟიჯკოვი-სლავია | 1.75 | 1.24 |
| 23342ნორდსიელანდი-ვეილე | 1.14 | 2.25 |
| 23389ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.00 | 3.65 |
| 23390იორგრიტე-ჰეკენი | 1.50 | 1.47 |
| 23391ოურგორდენი-აიკ | 1.70 | 1.27 |
| 23424კუოპიო-ინტერი | 2.35 | 1.12 |
| 23507გროსეტო-ბრეშა | 1.42 | 1.50 |
| 23508ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.25 | 1.80 |
| 23513გერმანია17-ჰოლანდია17 | 1.12 | 2.40 |
| 23001შახტარი-ვერდერი | 1.47 | 1.47 |
| 23515ბარსელონა-მანჩესტერი | 1.50 | 1.47 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| *14003 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.75 | 2.10 |
| *14125 | კონკორდია-სტ.გალენი | 2.50 | 1.30 |
| *14216 | ბულონი-სტრასბური | 1.90 | 1.90 |
| *14303 | ჟიჯკოვი-სლავია | 2.20 | 1.70 |
| *14342 | ნორდსიელანდი-ვეილე | 1.65 | 2.30 |
| *14389 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.20 | 2.60 |
| *14390 | იორგრიტე-ჰეკენი | 1.95 | 1.85 |
| *14391 | ოურგორდენი-აიკ | 2.10 | 1.75 |
| *14424 | კუოპიო-ინტერი | 2.40 | 1.45 |
| *14507 | გროსეტო-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| *14508 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.75 | 2.10 |
| *14513 | გერმანია17-ჰოლანდია17 | 1.45 | 2.40 |
| *14001 | შახტარი-ვერდერი | 1.95 | 1.85 |
| *14515 | ბარსელონა-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *12003 პორტსმუთი-სანდერლენდი | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| *12125 კონკორდია-სტ.გალენი | 2,5 | 2.30 | 1.40 | |
| *12216 ბულონი-სტრასბური | 2,5 | 1.60 | [illegible] | 6.00 |
| *12303 ჟიჯკოვი-სლავია | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| *12342 ნორდსიელანდი-ვეილე | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12389 ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12390 იორგრიტე-ჰეკენი | 2,5 | 1.80 | 1.80 | |
| *12391 ოურგორდენი-აიკ | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12424 კუოპიო-ინტერი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12507 გროსეტო-ბრეშა | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12508 ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2,5 | 1.90 | 1.60 | 5.00 |
| *12513 გერმანია17-ჰოლანდია17 | 2,5 | 1.90 | 1.70 | |
| *12001 შახტარი-ვერდერი | 2,5 | 1.90 | 1.80 | 5.00 |
| *12515 ბარსელონა-მანჩესტერი | 2,5 | 1.70 | 2.00 | 5.25 |

**გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად)**

| | | |
|---|---|---|
| 17003პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17125კონკორდია-სტ.გალენი | 1.85 | 1.95 |
| 17216ბულონი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17303ჟიჯკოვი-სლავია | 1.85 | 1.95 |
| 17342ნორდსიელანდი-ვეილე | 1.85 | 1.95 |
| 17389ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17390იორგრიტე-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17391ოურგორდენი-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17424კუოპიო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17507გროსეტო-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17508ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17513გერმანია17-ჰოლანდია17 | 1.85 | 1.95 |
| 17001შახტარი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17515ბარსელონა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |

უცხოური ფეხბურთი

# კარლოს ტევესმა დიახ მოისმინა



ალექს ფერგიუსონი და კარლოს ტევესი

**რა ხანია**, იწერება, რომ კარლოს ტევესი „მანჩესტერ იუნაიტედში" თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და იქიდან აბარგება სურს. წინა „სარბიელშიც" გაუწყეთ, რომ არგენტინის ნაკრების ფეხბურთელს რომელიმე სხვა ინგლისურ კლუბში გადასვლა უნდა, რაკი იქაურობას კარგად შეეგუა. „მანჩესტერიდან" წასვლის სურვილი კი ტევესს სათადარიგოთა სკამის ხეხვამ გაუჩინა.

თუმცა, შესაძლოა, ტევესი არსადაც არ წავიდეს. ამის თქმის საფუძველს კლუბის აღმასრულებელი დირექტორის დევიდ ჯილის განცხადება იძლევა: „ყველაფერი სულ მალე, ივნისის დასაწყისში გადაწყდება. ჩვენ ტევესის თაობაზე მუდმივად ვფიქრობთ. ის ძალიან სასარგებლო ფეხბურთელია. მართალია, სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, მაგრამ შეცვლაზე შესულს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. დიახ, ჩვენ გვსურს ტევესის შენარჩუნება, თუმცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც უნდა გავითვალისწინოთ."

ამის მერე დირექტორს პირდაპირ ჰკითხეს: სურს თუ არა პირადად ალექს ფერგიუსონს ტევესის დატოვებაო, რაზეც ჯილმა უპასუხა: „დიახ".

შეგახსენებთ, რომ ტევესის საკონტრაქტო უფლებები საქმოსან კია ჯურაბჩიანის საკუთრებაა და ის ფეხბურთელში 38 მილიონ დოლარს ითხოვს. ამჟამად „მანჩესტერს" არგენტინელი იჯარით ჰყავს და ამ იჯარას ვადა ერთ წელიწადში გასდის. კლუბს იჯარის გახანგრძლივება არ სურს და ნახსენები 38 მილიონის სანაცვლოდ ფეხბურთელის გამოსყიდვა ურჩევნია.

**ქოტე ქექელია**

# ფიფა გააფრთხილებთ!

**ფიფამ** ბოსნიისა და პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციები გააფრთხილა: თუ მათი ნაკრებების გულშემატკივრები კვლავაც ისე უმსგავსოდ მოიქცევიან, როგორც ეს აქამდე იყო, ორივე ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან მოიკვეთება.

ფიფას ეს მუქარა შესარჩევი ციკლის 28 მარტის თამაშებისას მომხდარ არეულობებს მოჰყვა, რომელზეც მხოლოდ ახლა იმსჯელეს. ბოსნიელი გულშემატკივრები ბელგიასთან მატჩისას მოედანზეც კი გადახტნენ, ხოლო პოლონელებმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩისას პოლიციას რაღაცები ესროლეს.

ფიფამ ორივე ფედერაცია დააჯარიმა და ოფიციალურად განაცხადა, რომ შემდგომში ქულებსაც ჩამოაჭრის და თუ საჭიროდ ჩათვლის, საერთოდაც მოკვეთს შესარჩევი ციკლიდან.

**ირაკლი ნინიძე**



# ბოროტი და ნაკლებ ბოროტი ენების ვერსიები

**„სტემფორდ ბრიჯის"** ლოჟაში, „ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩის გვერდით მოკალათებულან დაშა ჟუკოვა (მარცხნივ) და ემა უოტსონი.

ჟუკოვა, შეგახსენებთ, აბრამოვიჩის სატრფოა, რომლის კომპანიაშიც აბრამოვიჩი ცოლთან გაყრის მერე ლამის მთელ დროს ატარებს და ცოლად მოყვანაზეც ფიქრობს.

ემა უოტსონი კი, ჰარი პოტერზე გადაღებული ფილმების ერთ-ერთი მთავარი გმირია და ჰერმიონ გრეინჯერის როლს ასრულებს.

ემა 12 წლისა იყო, ეპოპეის პირველ ნაწილში რომ გადაიღეს და უმალ უპოპულარულეს გოგონად იქცა, ახლა კი 19 წლისაა.

ბოროტი ენები ამბობენ, რუსმა მილიარდერმა მეტად საეჭვოდ დაიახლოვა ემაო და ვარაუდობენ, ეგებ, დაშასაც შეელიოსო. არგუმენტად კი ის მოჰყავთ, რომ აბრამოვიჩმა ჟუკოვასთან ქორწილი გადადო და მიზეზად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი თქვა.

ნაკლებ ბოროტი ენები კი იძახიან, ემა უოტსონის ლოჟაში მიწვევა დაშას სურვილით მოხდა და აბრამოვიჩი არაფერ შუაშიაო.

**ქოტე ქექელია**



# ვან გაალის მიუნხენური ცდუნება
## ბაიერნს მეგობრობამ ფული დააზოგინა

**რასაც** რამდენიმე კვირის განმავლობაში ვარაუდობდნენ, ამ რამდენიმე დღის წინ აღსრულდა — მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელად ლუის ვან გაალი დაინიშნა.

მიუნხენური კლუბის ბოსები ჰოლანდიაში იყვნენ ჩასულები და იქ შეუთანხმდნენ განთქმულ სპეციალისტს 2-წლიან კონტრაქტზე, რომელიც ძალაში 1 ივლისიდან შედის. თავად კონტრაქტზე ხელმოწერა კი მიუნხენში, კლუბის ოფისში მოხდა.

„კმაყოფილები ვართ, რომ ასეთი მაღალი კლასის მწვრთნელთან შეთანხმება შევძელით — თქვა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ — გვჯერა, რომ ლუის ვან გაალი „ბაიერნს“ არაერთ გამარჯვებას მოაპოვებინებს.“

მიუნხენელები იმითაც კმაყოფილები არიან, რომ „ალკმაარისთვის“ კომპენსაციის გადახდა არ მოუწევთ, რაკი ვან გაალს ჰოლანდიის ჩემპიონთან მოქმედი კონტრაქტი გაუწყვიტეს.

კომპენსაციაზე უარის თქმა, კეთილი ჟესტი იყო ჰოლანდიური კლუბის მხრიდან.

თავად ვან გაალმა კი თქვა: „ალკმაარში“ გატარებულმა ოთხმა სეზონმა დიდი სიხარული მომიტანა. კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი გაშვება არ სურდა, მაგრამ „ბაიერნმა“ ყველაფერი იღონა, რათა ეს გადაწყვეტილება მიგვეღო. მადლობელი ვარ ალკმაარელების, რადგან მათ კომპენსაციაზე უარი თქვეს და მეგობრებად დავრჩით.“

ამასობაში „ალკმაარმა“ გამოაცხადა, რომ ხმები კლუბში კო ადრიანსეს ან მარტინ იოლის შესაძლო დანიშვნის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება და რომ ლუის ვან გაალის წასვლის მერე ახალ მწვრთნელს კვლავაც ეძებენ.

**კოტე კეკელია**

**ლუის ვან გაალის სამწვრთნელო მიღწევები**

| | | |
|---|---|---|
| 1992: | უეფას თასის მფლობელი | აიაქსი |
| 1993: | ჰოლანდიის თასის მფლობელი | აიაქსი |
| 1994: | ჰოლანდიის ჩემპიონი | აიაქსი |
| 1994: | კრუიფის სახელობის ტურნირის გამარჯვებული | აიაქსი |
| 1995: | ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული | აიაქსი |
| 1995: | საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი | აიაქსი |
| 1995: | ევროპის სუპერთასის მფლობელი | აიაქსი |
| 1995: | ჰოლანდიის ჩემპიონი | აიაქსი |
| 1995: | კრუიფის სახელობის ტურნირის გამარჯვებული | აიაქსი |
| 1996: | კრუიფის სახელობის ტურნირის გამარჯვებული | აიაქსი |
| 1998: | ევროპის სუპერთასის. მფლობელი | ბარსელონა |
| 1996: | ჰოლანდიის ჩემპიონი | აიაქსი |
| 1998: | ესპანეთის ჩემპიონი | ბარსელონა |
| 1998: | ესპანეთის სამეფო თასის მფლობელი | ბარსელონა |
| 1999: | ესპანეთის ჩემპიონი | ბარსელონა |
| 2009: | ჰოლანდიის ჩემპიონი | ალკმაარი |

# რას უნდა ნიშნავდეს?
## მილანში დროგბას აგენტი შენიშნეს



**დიდიე დროგბას** აგენტი ისა ტრაორე პარასკევს მილანში შენიშნეს.

ტრაორე ევებ, სულაც მილანური ბუტიკების შემოსავლელად იყო ჩასული მსოფლიო მოდის დედაქალაქში, მაგრამ ცხადია, რომ პირველ რიგში ეჭვი შესაძლო საფეხბურთო გარიგებაზე გაჩნდა.

მოგეხსენებათ, დიდიე დროგბა „ჩელსიში“ თამაშობს, ხოლო მილანის „ინტერს“ ლონდონელთა ყოფილი თავკაცი ჟოზე მოურინიუ წვრთნის. თანაც ფეხბურთელს აქამდეც არ დაუმალავს იტალიაში გადაბარგების სურვილი.

თავად აგენტი მილანში ყოფნას ადასტურებს, მაგრამ „ინტერის“ ბოსებთან შეხვედრას და რაიმე მოლაპარაკების წარმოებას უარყოფს.

ერთიც შევნიშნოთ: თუ „ინტერსა“ და დროგბას შორის მართლა არსებობს რაიმე კავშირი, ბოლო ინციდენტმა ეს კავშირი შესაძლოა შეარყიოს და კლუბი კარგად დააფიქროს, სანამ კოტდივუარელ ფორვარს იყიდის.

გეხსომებათ, „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგის სკანდალური ნახევარფინალის მერე დროგბა მსაჯთან მიიჭრა და აგინა. ეს ამბავი უეფამ ახლო მომავალში უნდა განიხილოს და თითქმის ეჭვგარეშეა, რომ დროგბას დისკვალიფიკაცია არ ასცდება. ამ შემთხვევაში „ინტერმა“ შესაძლოა უარიც თქვას ფეხბურთელზე, რომელიც მომდევნო სეზონში ლიგის რამდენიმე მატჩში ვერ დაეხმარება.

**კოტე კეკელია**

# ბონეკის ფასი ასი სომხური დრამია



**უცნაური** ამბავი: სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მოჭრა მონეტა... ზბიგნევ ბონეკის გამოსახულებით.

დიახ, ცნობილი პოლონელი ფეხბურთელის გამოსახულებიანი მონეტა უკვე ბრუნვაშია — ბონეკის სახე პოლონეთის დროშის ფონზეა ამოტვიფრული და 100 სომხურ დრამს უდრის (დაახლოებით 1 აშშ დოლარი).

გასული საუკუნის 80-იან წლებში „ვიძევისა“ და „იუვენტუსის“ ცნობილი ნახევარმცველი უკვე მეხუთე ფეხბურთელია, სომხურ ვალუტას რომ ამშვენებს — აქამდე ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა პელეს, ეუსებიოს, ფრანც ბეკენბაუერის და ლევ იაშინის გამოსახულებიანი მონეტებიც დაბეჭდეს.

**კახა ზალამბერიძე**

# მე-7 წუთზე ინფარქტით...

**ყაზახური** ფეხბურთისა და ალმათის „კაირატის“ ლეგენდა ანატოლი იონკინი გარდაიცვალა.

იონკინმა ყაზახეთის ჩემპიონატის პირველი ლიგის სეზონი გახსნა, ტრიბუნაზე ავიდა და... „აკჟაიკ“ — „გეფესტის“ მატჩის მე-7 წუთზე ინფარქტით დალია სული.

იონკინი 59 წლისა იყო და ბოლოს ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობდა...

ამ ამბის გამო ყაზახეთში ყველა ლიგის ტური ერთი დღით გადაიდო...

# სეიტარიდისი მანიშეს დაეწია



**მადრიდის** „ატლეტიკომ“ ბერძენ მცველ იურკას სეიტარიდისს კონტრაქტი გაუბათილა და ის თავისუფალი აგენტი გახდა.

„სეიტარიდისს შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს ნებისმიერ კლუბთან“ — ნათქვამია „ატლეტიკოს“ ოფიციალურ განცხადებაში.

სეიტარიდისი მადრიდელებმა მანიშეს „მიაყოლეს“, რომელიც წინა თვეში გაუშვეს გუნდიდან.

მანიშე და სეიტარიდისი არ დაესწრნენ „ატლეტიკოს“ მატჩს, რომლის განცხადშიც არ იყვნენ, მაგრამ დასწრება მათთვის სავალდებულო იყო.

ამის გამო გაბრაზდა მწვრთნელი და ორივეს გაშვება მოითხოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლუკაშ პოდოლსკიმ კლინსმანით გაიხარა

**ლუკაშ პოდოლსკიმ,** ვინაც იურგენ კლინსმანის დროს „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, თქვა, რომ კლინსმანის წასვლის მერე გუნდს რწმენა დაუბრუნდა.

პოდოლსკიმ დროებითი მწვრთნელის იუპ ჰაინკესის ხელში ძირითად თერთმეტეულში ადგილი დაიმკვიდრა და ორ მატჩში ორი გოლიც გაიტანა.

„ჩვენ გუნდს დავემსგავსეთ. ვარჯიშები გაცილებით უკეთესია და ეს შედეგებსაც მალევე დაეტყო — განაცხადა ფორვარდმა — ჰაინკესმა თავდაჯერებულობა დამიბრუნა იმიტომ, რომ თავიდანვე მათამაშებს და ნდობა მე გოლებით დავუფასე“.

რას იზამს პოდოლსკი ლუის ვან გაალის ხელში, დრო გვიჩვენებს. ისე, წინდახედული ფეხბურთელი დროებით მწვრთნელს ასე არ უნდა აქებდეს, როცა ნამდვილი მწვრთნელი უკვე დანიშნულია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ქველმოქმედი



უთმოდ და თმით



ჩახდილი

**ის და როი კინი ერთ საგრაფოში დაიბადნენ და ერთ ქალაქში გახდნენ პოპულარულები. დადიოდა ვარდისფერდისკებიანი ჯიპით და გოლს ტრუსის ჩახდით ზეიმობდა. მისი ცრუპენტელობა აღიზიანებდა მთელ ბრიტანეთს და მისივე ქველმოქმედება პატივისცემას იწვევდა. აღარ უნდა იმ ქვეყნის ნაკრებში თამაში, რომლის სახელიც მაისურაზე აწერია, მაგრამ ძალიან უნდა იმ გუნდში თამაში, რომლის სახელიც მის გულშია. ერთი წლის წინ ჩვეულებრივი ფეხბურთელი იყო, ამ სეზონში კი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის ლიდერად იქცა. ის სტივენ აირლენდია — ფეხბურთელი, რომლის ცხოვრებაც ნაირნაირი ამბების მონაცვლეობაა...**

# ბებიის მკვლელის თმითნათრევი ვარდისფერი შეყვარებული

### პირველი ამბავი: ჩვეულებრივი

სტივენ აირლენდი 1986 წლის 22 აგვისტოს კორკის საგრაფოში დაიბადა, სადაც მის გაჩენამდე 15 წლით ადრე ქვეყანას როი კინი მოევლინა.

კარიერა ორივემ „კობ რამბლერსში" დაიწყო და მერე ბედის საძიებლად ინგლისში გაწიეს.

აირლენდის საქმეს ის ართულებდა, რომ ოსტეოქონდროზი სჭირდა და მუხლზე ფეხის ოდნავი მორტყმაც კი საშინელ ტკივილს იწვევდა.

ამას ხელი არ შეუშლია 12 წლის ბიჭისთვის, რომ 22 ინგლისური კლუბისგან მიეღო მიწვევა და მათგან 11 მოიარა.

„ექიმმა მითხრა, სამი თვე მაინც უნდა დაისვენო ფეხბურთისგან, რათა მუხლი სრულად მოგირჩეს, მაგრამ ისე ძალიან მინდოდა თამაში, ყოველ უქმეებზე გუნდებს ვიცვლიდი და ვისინჯებოდი. ბოლოს დავიტანჯე და „სელტიკში" ისეთი მუხლით მივედი, რომ ვერ ვთამაშობდი და ოთხი დღე მოედნის გარშემო ვსეირნობდი" — გაიხსენა აირლენდმა.

15 წლისა „მანჩესტერ სიტიში" აღმოჩნდა და ბოლო-ბოლო საკუთარი ადგილი იპოვა.

თავიდან უფრო მეტ ხანს მკურნალობდა, ვიდრე თამაშობდა, მაგრამ ნელ-ნელა მუხლი მოურჩა და 2005 წლის სექტემბერში მისი დებიუტი შედგა კლუბშიც და ირლანდიის ნაკრებშიც.

იმ სეზონში „სიტის" მაისურით 28 მატჩი გამართა და მათ შორის 16 ძირითად შემადგენლობაში.

აირლენდს ნაკრებში ადრევე შეეძლო თამაში, მაგრამ მაშინდელ მწვრთნელთან, ბრაიან კერისთან უბრობდა. ამიტომ სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ გამოსვლაზეც კი ფიქრობდა.

მერე კერი სტივ სტონტონმა შეცვალა და სიტელსაც ნაკრებში უხმეს.

მაგრამ პრობლემა ამით არ დამთავრებულა.

### მეორე ამბავი: არა სასაცილო

2007 წლის სექტემბერში ირლანდია შესარჩევ მატჩში ბრატისლავაში სლოვაკებს ხვდებოდა.

შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე აირლენდს გელფრენდმა ჯესიკამ დაურეკა და მოატყუა, რომ ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და ეხვეწებოდა, რაც შეიძლება მალე ჩასულიყო მასთან.

სტივ სტონტონმა ფეხბურთელს ნერვიულობა დაატყო და მიზეზი ჰკითხა.

აირლენდმა უპასუხა, რომ მის ოჯახში უბედურება დატრიალდა.

იმავ დროს ჯესიკა ურეკავს მწვრთნელის მდივანს დაეუბნება, რომ აირლენდს ბებია გარდაეცვალა.

„დავპანიკდი — გაიხსენა მოგვიანებით ფეხბურთელმა — არ მინდოდა, ვინმეს ცხვირი ჩაეყო ჩემი ოჯახის საქმეში, თან, როცა გავიგე, რომ ჯესიკამ იხუმრა, ამის თქმას როგორ გავუბედავდი. მწვრთნელს, რომელმაც ნამატჩევს თვითმფრინავით გამამგზავრა სახლში".

აირლენდმა სლოვაკებთან ითამაშა და გოლიც გაიტანა, მატჩის მერე კი საცოლესთან გაემგზავრა, თან ნაკრებელებს სთხოვა, რომ ეს ამბავი მედიაში არ გაჟონილიყო.

მაინც გაჟონა და რამდენიმე დღეში მთელმა ბრიტანეთმა იცოდა, რომ აირლენდს ბებია გარდაეცვალა, უფრო სწორად, ჟურნალისტებმა უმალ დაადგინეს, რომ ქალბატონი პატრისია ტელონი სალსალამათია.

აირლენდმა თავის მართლება სცადა, ტყუილს ტყუილი მიაყოლა.

ჯერ თქვა, რომ სულ სხვა ბებია მიიცვალა და არა პატრისია, მერე კი გადააკეთა და ბაბუის მეორე ცოლი მოკლა.

ამ ტყუილების მოკლე ფეხებიც მალე გამოჩნდა.

სანამ მთელ ნათესავებს გაწყვეტდა, სტივმა სიმართლე აღიარა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მწვრთნელი სტივ სტონტონი გაცოფდა, და აირლენდი ნაკრებში აღარ გამოუძახია.

მთელმა ირლანდიამ შეიძულა იმ ტყუილის გამო და ჯერაც ვერ უპატიებიათ.

### მესამე ამბავი: საიდუმლო

ნაკრებში შესაძლო დაბრუნების ისტორია ბუნდოვანი და ჩახლართულია.

ირლანდიულ მედიაში არაერთხელ გაჩნდა ცნობა ეროვნულ გუნდში აირლენდის დაბრუნებაზე. თითქოს ახალი მწვრთნელი მას ეხვეწებოდა კიდეც, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ასე თქვა:

„როცა ნაკრებში 17 წლის მოვხვდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ტყუილია, რომ მე პატრიოტი არ ვარ, მაგრამ აქვე შეცდომებსაც ვაღიარებ.

სამწუხაროა, ხალხი დღემდე რომ მაკრიტიკებს. კიდევ დიდი ხანი გავა, სანამ ეს ამბავი ჩაწყნარდება და ნაკრებში ისევ ვითამაშებ, მაგრამ უნაკრებოდაც საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს.

გაზეთში წავიკითხე, თითქოს ჯოვანი ტრაპატონი ჩემთან ლაპარაკს აპირებს, მაგრამ ეს ტყუილია. თუმცა, არასოდეს თქვა არასოდეს".

ამას წინათ, ტრაპატონიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რამდენადაც ვიცი, უახლოეს თვეებში, აირლენდი ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებსო.

ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ჯეკი ჩარლტონმა ბრძანა, რომ აირლენდმა ან ბოდიში უნდა მოიხადოს და ითამაშოს ეროვნულ გუნდში, ან წავთრეს".

აირლენდი გაოგნდა და ჩარლტონს ასე უპასუხა: „მან თქვა, წაეთრესო? აბა მე რა გავაკეთე? ვერ გავიგე, რაღას გულისხმობს?"

რატომ წაეთრა აირლენდი ნაკრებიდან, ამაზე რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე ახლოს სიმართლესთან ისაა, რომ მან თანაგუნდელებთან ურთიერთობა ვერააწყო. თითქოს, სლოვაკებთან მატჩის წინა ღამეს ორი ირლანდიელი ფეხბურთელი სასტუმროში აირლენდის ოთახში შეიპარა. მათ სურდათ იმის გარკვევა, ნამდვილი თმა ჰქონდა სტივს თუ პარიკს ატარებდა.

თმით ითრიეს და საწოლიდან გადმოუგდიათ.

ამ ამბავს არავინ ადასტურებს, მაგრამ აირლენდის თმის ისტორია საკმაო ხანს გასარჩევი ამბავი იყო.

### მეოთხე ამბავი: უცნაური

პრემიერლიგაში გამოჩენის დღიდან, ვინც აირლენდს აკვირდებოდა, მიხვდებოდა, რომ ბიჭს თმა სცვიოდა და მალე გამელოტდებოდა.

მაგრამ მოულოდნელად, წინა სეზონის დასაწყისში, იგი ქოჩორით გამოჩნდა.

ზოგმა თქვა, რომ თმა გადაინერგა, ზოგი ამბობდა, პარიკი აქვსო. ირლანდიელს მოსწყინდა ეს ჭორები და თავი გადაიპარსა.

### მეხუთე ამბავი: სისულელე

ბებიის ამბიდან რამდენიმე კვირაში აირლენდი ახალ შარში გაეხვა.

ასეთებს სანთლით ეძებენ ბრიტანული ტაბლოიდები.

ერთ-ერთ საჭორაო საიტზე დარეგისტრირდა ნიკით Daddy Dick და კითხვაზე, თუ რა სძულს, პასუხობდა — ფეხბურთიო.

მალევე გაირკვა, რომ Daddy Dick იყო აირლენდი და ახლა ეს გახდა სალაპარაკო ბრიტანულ მედიაში.

„სულელური ხუმრობა გამოვიდა" — თავი იმართლა სტივმა.

### მეექვსე ამბავი: სახალისო

ერთ-ერთი ტაბლოიდის ფოტოგრაფმა გადაიღო ჯიპის სურათი, რომელსაც აირლენდი მართავდა და მანქანას ჰქონდა ვარდისფერი დისკები.

კარგა ხანი დასცინოდნენ ფეხბურთელს ამის გამო, მან კი თქვა, რომ ჯიპი მისი საცოლის იყო და მხოლოდ ერთხელ დაჯდა იმ მანქანის საჭესთან: „არ გამიმართლა, მაინცდამაინც მაშინ გამომიჭირა ფოტოგრაფმა".

ვარდისფერდისკებიანი ავტომობილი ჯესიკამ მალევე გაყიდა.

### მეშვიდე ამბავი: პიკანტური

2007 წლის შემოდგომაზე აირლენდმა „სანდერლენდს" გამარჯვების გოლი გაუტანა და ტრუსი ჩაიხადა. საცვალზე ეწერა „სუპერმენი"

### მერვე ამბავი: საქველმოქმედო

სტივენ აირლენდი საშარო ამბებით გახდა ცნობილი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კარგი საქმეების კეთებაში.

„სიტის" ფეხბურთელი ქველმოქმედებაში ჩაერთო და მძიმე ავადმყოფ ბავშვებს მუდმივად ეხმარება.

„ბავშვი საოცრებაა — ერთადერთი რაც მსურს, ისაა, რომ ამ ავადმყოფებს დავეხმარო".

სტივმა გააკეთა ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია იყიდოს აირლენდის მაისურა მისივე ავტოგრაფით ან მისი თანაგუნდელების ანაც ნებისმიერი პრემიერლიგელის და ამით შეიტანოს წვლილი ქველმოქმედებაში.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXXVII ტური



### ინგლისის ჩემპიონები 1889-2009

| | |
|---|---|
| ლივერპული | 18 |
| მანჩესტერი | 18 |
| არსენალი | 13 |
| ევერტონი | 9 |
| ასტონ ვილა | 7 |
| სანდერლენდი | 6 |
| ნიუკასლი | 4 |
| უენსდი | 4 |
| ჰადერსფილდი | 3 |
| ვულვერჰემპტონი | 3 |
| ლიდსი | 3 |
| ბლექბერნი | 3 |
| ჩელსი | 3 |
| პრესტონი | 2 |
| ბორნმუთი | 2 |
| ბარნლი | 2 |
| ტოტენჰემი | 2 |
| მანჩესტერ სიტი | 2 |
| დერბი | 2 |
| შეფილდი | 1 |
| ვესტ ბრომვიჩი | 1 |
| იფსვიჩი | 1 |
| ნოტონგემი | 1 |

# მილიონამდე ბევრად ნაკლები წელი

**მანჩესტერი 0:0 არსენალი**

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ევანსი, ევრა, ვიდიჩი, ოში, კარიკი, ფლეტჩერი, გიგზი, რუნი (ანდერსონი 90), ტევესი (პარკი 67), რონალდუ

მწვთრნელი: ალექს ფერგიუსონი

არსენალი: ფაბიანსკი, სონგი, ტურე, გიბსი (ებუე 77), სანა, დენილსონი, დიაბი, ფაბრეგასი, არშავინი (უოლკოტი 69), ნასრი (ბენდტნერი 69), ვან პერსი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ვან პერსი, არშავინი, ფაბრეგასი, ნასრი, სონგი

მსაჯი: მაიკ დინი

75 468 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 ჰალი**

1:0 სტეინსონი (26), 1:1 ფაგანი (46)

გაფრთხილება: სამუელი (ბოლტონი), დოუსონი, ბოატენგი (ჰალი)

**ევერტონი 3:1 ვესტ ჰემი**

0:1 კოვაჩი (24), 1:1 საა (38პ), 2:1 იობო (48), 3:1 საა (76)

გაფრთხილება: ბაინესი (ევერტონი), სპექტორი, ბოა მორტე (ვესტ ჰემი)

გაძევება: ტომკინსი (37, ვესტ ჰემი)

**მიდლსბრო 1:1 ასტონ ვილა**

1:0 სანლი (14), 1:1 კარეუ (57)

გაფრთხილება: ბარი, მილნერი (ასტონ ვილა)

**ნიუკასლი 0:1 ფულემი**

0:1 კამარა (41)

გაფრთხილება: მერფი, ნევლანდი, დემპსი (ფულემი)

გაძევება: ბასონგი (ნიუკასლი)

**სტოკი 2:0 უიგანი**

1:0 ფულერი (69), 2:0 ბიტი (76)

**ტოტენჰემი 2:1 სიტი**

1:0 დეფო (29), 1:1 ბოინოვი (65), 2:1 კინი (86პ)

გაფრთხილება: საბალეტა (სიტი)

**ვესტ ბრომვიჩი 0:2 ლივერპული**

0:1 ჯერარდი (28), 0:2 კუიტი (63)

გაფრთხილება: გრინინგი, ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი)

ჩელსი 2:0 ბლექბერნი

1:0 მალუდა (4), 2:0 ანელკა (59)

გაფრთხილება: ბოსინგვა (ჩელსი), ხიზანიშვილი, დორანი (ბლექბერნი)

**გადადებული მატჩი**

**უიგანი 1:2 მანჩესტერი**

